



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ცენტრი ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEOGRIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

GEORGIAN

MANUSCRIPT BOOK

5th-19th centuries

ALBUM

Prepeared by Maia Karanadze, Lela Shatirishvili, Nestan Chkhikvadze,
with participation Tamar Abuladze

Editor: Nestan Chkhikvadze

Second Revised Edition

Tbilisi 2018

ქართული ხელნაწერი ციბნი

V-XIX საუკუნეები

აღმოჩენა

შეადგინეს მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხილვაძემ,
თამარ აბულაძის მონაწილეობით

ნესტან ჩხილვაძის რედაქციით

მეორე გადამუშავებული გამოცემა

თბილისი 2018

*ეძღვნება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 60 წლის იუბილეს*

ნინამდებარე გამოცემაში გამოქვეყნებული ეპიგრაფიკული ფოტომასალის მოწოდებისათვის
მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

ალბომში გამოქვეყნებული ფოტომასალისა და თითოეული მონაკვეთის რამე ფორმით
(ელექტრონული, ბეჭდური) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების
მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ISBN 978-9941-9564-4-7

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
© ნ. ჩხიკვაძე, ლ. შათირიშვილი, მ. კარანაძე, თ. აბულაძე

წინამდებარე ალბომში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (A, H, S, Q) დაცული V-XIX საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნები და უცხოეთის (სინის მთა, იერუსალიმის ბერძნული საპატიოარქო) ქართული კოლექციების ის ფოტოასლები, რომელთა გამოყენების უფლებასაც ფლობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალბომში შესული ადიშის ოთხთავის მხატვრული ასლი შესრულებულია ავტორთა მიერ შედგენილი აღნერილობისა და მითითებების საფუძველზე. ყველა ეს ხელნაწერი თვალნათლივ ასახავს წიგნის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

ალბომი შედგება ოთხი თავისგან. მასში თავმოყრილ მასალას ახლავს ზოგადი შინაარსის საინფორმაციო ტექსტი და სათანადო ფოტონიმუშები ანოტაციების თანხლებით. ალბომს ერთვის ძირითადი ბიბლიოგრაფია.


ალბომი გამიზნულია ქართული წერილობითი კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

This album presents the 5th-19th cc. Georgian manuscript book preserved in the fonds of the National Centre of Manuscripts and photocopies of Georgian collections abroad (Mount Sinai, the Greek Patriarchate in Jerusalem) the right of whose use is owned by the CNS. The artistic copy of the Adishi Four Gospels, entered in the collection, is executed on the basis of the description and instructions of the authors. All these MSS graphically reflect the history of the origin and development of book as cultural-historical phenomenon.

The album is comprised of four parts. The subject matter is accompanied by an informative text of general content and relevant photo-specimens, with annotations. A general bibliography is appended.

The album is designed for readers interested in the history of Georgian written culture.


ქართულ ხელნაწერთა შექმნისა და გადაცვლების რუკა (V-XVII სს.)



ქართული ნორილობითი კულტურის სათავეები. დამთანმდებრის ნარმოშობა

ქართული ხელნაწერი წიგნი ქართული წერილობითი კულტურის 16-საუკუნოვანი ისტორიის მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტია. V საუკუნიდან დაწყებული, იგი ასახავს როგორც ქართული დამწერლობის, ასევე სხვადასხვა ეპოქის ინტელექტუალური ცხოვრების, მხატვრული აზროვნებისა და მატერიალური კულტურის განვითარების საინტერესო პროცესს. ქართული ხელნაწერი წიგნი წარმოიშვა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის პირობებში. ამასთანავე მის განვითარებას ბიძგი მისცა სახელმწიფოებრიობისა და კულტურული იდენტურობის დაცვის აუცილებლობამ. ამ იდენტურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენს ქართული დამწერლობის წარმოშობა წარმოადგენდა.

როდის და რა ვითარებაში შეიქმნა ქართული დამწერლობა? ამ კითხვის პასუხს მეცნიერება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეძებს. ქართული ანბანის ძირებს უკავშირებენ ფინიკიურ, არამეულ, ბერძნულ დამწერლობებს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მისი წარმოშობის დროც. მკვლევართა ნაწილი ქართულ ანბანს პრექტისტიანული ეპოქის მოვლენად მიიჩნევს, ხოლო ნაწილი – ქრისტიანობის შემდგომ ჩამოყალიბებულ სისტემად. აზრთა ასეთ სხვადასხვაობას ხელს უწყობს ანტიკური ხანის საქართველოს შესახებ არსებული ბერ-



არმაზის ბილინგვა. ახ. წ. 150 წ.




ვესპასიანეს ბერძნულენოვანი
სტელა არმაზიდან. ახ. წ. 75 წ.

ძნული წყაროები (აპოლონიოს როდოსელი, ძვ. წ. 295-215; სვიდას ლექსიკონი, X ს.), რომელთა თანახმად, ჯერ კიდევ არგონავტების ეპოქის კოლხეთში არსებობდა ტყავზე ნაწერი წიგნები. ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი (XI ს.) კი ქართული დამწერლობის ნარმოშობას უკავშირებს ქართლის მეფე ფარნავაზს (ძვ. წ. III ს.): „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაა ქართული და არღარა იძრახებოდა სხუა ენაა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მნიგნობრობაა ქართული“. მაგრამ ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხოლოდ V საუკუნიდან დასტურდება. მაშ, რა საფუძველი ჰქონდა მემატიანეს წერილობითი კულტურის დასაწყისი ჩვენში ძვ. წ. III საუკუნით დაეთარიღებინა? ამ კითხვას ერთგვარად ეხმიანება საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომელზეც დადასტურებულია ძვ. წ. III – ახ. წ. III საუკუნეებით დათარიღებული ბერძნული, არამეული და ებრაული წარწერები. ეს წარწერები გვხვდება როგორც საკულტო-სარიტუალო, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთებზე – სამკაულებზე, საბეჭდავებზე, თიხის, მინისა და ვერცხლის ჭურჭელზე, საფლავის ქვებსა თუ სტელებზე. ეს ფაქტები სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან საქართველოს – სამხრეთ კავკასიის ქვეყანას – უძველესი მჭიდრო კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა როგორც ანტიკურ საბერძნეთთან, ასევე მცირე და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ ურთიერთობათა საფუძველზე, გარდა მატერიალური კულტურის ნიმუშებისა, ჩვენში შემოდიოდა ამ კულტურული სივრცისთვის დამახასიათებელი ცოდნა და გამოცდილება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზოგადად დამწერლობათა განვითარების ისტორიაში ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებმა განსაკუთრებული როლი იკისრეს, გასაკვირიც არ იქნება, რომ მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ საქართველოსაც ადრევე მიეღო და გაეთვალისწინებინა ეს გამოცდილება, გამოეყენებინა უკვე არსებული ანბანური სისტემები. როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, ძვ. წ. III – ახ. წ. III საუკუნეებში საქართველოში ბერძნული და არამეული დამწერლობები პარალელურად გამოიყენებოდა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს არმაზის ხევში აღმოჩენილი ახ. წ.

II საუკუნით დათარიღებული ორენოვანი ეპიტაფია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არმაზის ბილინგვის სახელითაა ცნობილი. საყურადღებოა ერთი გარემოება: ბილინგვის არამეული ანბანი ჩრდილო მესოპოტამიური არამეულის დამოუკიდებელ შტოს ე. წ. არმაზულ დამწერლობას წარმოადგენს. როგორც ჩანს, სწორედ იგი უნდა ყოფილიყო ქართლის სახელმწიფო-საკანცელარიო ენაცა და ანბანიც. რაც შეეხება ებრაულს, იგი ქართლში კომპაქტურად დასახლებული ებრაული ეთნოსის დამწერლობას წარმოადგენდა.

ამ ანბანური სისტემების გამოყენებას არც ლიტერატურული და, შესაბამისად, არც ხელნაწერი ტრადიცია არ წარმოუშვია. თუმცა არმაზული დამწერლობის არსებობა უკვე მიგვანიშნებს, რომ ქართულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ აზროვნებას ერთი ბიძგილა სჭირდებოდა საკუთარი ანბანური სისტემისა და სამწერლობო-დოკუმენტური კულტურის ჩამო-საყალიბებლად. ამგვარი ბიძგი ქრისტიანობა იყო.

ქრისტიანობა ჩვენში აღმოსავლეთიდან მოვიდა. ისტო-რიული გადმოცემის თანახმად, მოძღვრება ქართველთა შორის I საუკუნეში გაავრცელეს სვიმეონ კანანელმა და ანდრია პირველწოდებულმა. უნდა ვიფიქროთ, მოციქულთა შემოსვლამ თავდაპირველად ჩამოაყალიბა მხოლოდ მცირე ქრისტიანული თემი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განსაზღვრავდა ქვეყნის კულ-ტურულსა და ინტელექტუალურ ცხოვრებას, მაგრამ, უთუოდ, ამზადებდა დიდი ცვლილების ნიადაგს. ახალი მოძღვრების შეთვისება ახალი ცოდნის საფუძველიც უნდა გამხდარიყო. ძლიერ წარმართულ მითოლოგიურ ზეპირ მეხსიერებას უნდა დაპირისპირებოდა წიგნიერი, წერილობითი ტრადიცია. ალ-ბათ, ამიტომაც იყო, რომ ადრეულმა ქრისტიანობამ სწორედ წერილობით დააფიქსირა იესო ქრისტეს განკაცებასა და ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა ისტორია, ყველა ქრისტიანულ თემში დაცული თხრობა, რომელთაგან ზოგიერთი ბიბლიის კანონიკურ კოდექსში შევიდა და ზოგი კი გაფორმდა როგორც ბიბლიური წიგნების პარალელურად არსებული ე. წ. აპოკრიფული ლიტერატურა, რომელმაც კარგად ასახა პირველ ქრისტიანთა რელიგიური წარმოდგენები და ამიტომაც დღეს ქრისტიანობის ისტორიის კვლევაში მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბუნებრივია, საქართველოში ჩამოყალიბებული პირველი ქრისტიანული თემიც შექმნიდა იმგვარ



ძალისის ნაქალაქარი.
აბანოს მოზაიკის ნაშთი.
ახ. წ. III ს.



ებრაულენოვანი სტელა
სამთავროს სამარკანი. IV-V სს.



მაცხოვრის კვართი პერალდიკაში

აპოკრიფულ თხრობას, რომელშიც აისახებოდა ქართველობის, როგორც ერთ-ერთი ადრე გაქრისტიანებული ერის, სარწმუნოებრივი და კულტურული იდენტობა ახალ მსოფლმხედველობრივ სამყაროსთან. და მართლაც, გადმოცემა ჯვარცმული იქსო ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამოტანისა და დაცვის შესახებ მიგვითითებს სწორედ პირველი ქრისტიანული თემის ისტორიაზე. ეს ზეპირი გადმოცემა ქართველებმა საკუთარი მოქცევისა და სახელმწიფოებრივი ისტორიის ქვაკუთხედად აღიარეს.

ქრისტიანობა იქცა ქართველთა კულტურული და ინტელექტუალური ცხოვრების, ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნების საყრდენად. ამასთანავე ქართულმა წერილობითმა ტრადიციამ, პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველზე, ყურადღების მიღმა არ დატოვა არც მუსლიმური აღმოსავლეთისა და არც ახალი დროის ევროპული წიგნიერი გამოცდილების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები.

ქართული ანბანი. 326 წელს საქართველომ აღიარა ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია. მას შემდგომ ქართულმა კულტურამ უარი თქვა მისთვის უკვე კარგად ცნობილი ანბანური სისტემების გამოყენებაზე და თავად შექმნა საკუთარი ანბანური დამწერლობა, რომლის პროტოტიპადაც ბერძნული ანბანი ივარაუდება.

ქართული ანბანი ერთ-ერთი სრულყოფილი წერითი სისტემაა, ვინაიდან მასში გრაფიკულ სიმბოლოთა (ასოთა) რაოდენობა ზუსტად შეესატყვისება ქართული ენის ფონემური ერთეულების (სამეტყველო ბერძნულის) რიცხვს. ქართულმა ანბანმა, კერძოდ, მისმა გრაფიკულმა მოხაზულობამ, განვითარების სამი საფეხური განვლო; მის უძველეს სახეობას ასომთავრული (იგივე მთავრული), ანუ მრგლოვანი ანბანი წარმოადგენს. ამ ანბანითაა შესრულებული V-IX საუკუნეების ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ტექსტები.

IX საუკუნიდან მთავრულის პარალელურად გვხვდება კუთხოვანი, ანუ ნუსხური, იგივე ხუცური დაწერილობა. ნუსხურით გადაწერილ ტექსტებში სათაურები და საზედაო ასოები ნაწერია მთავრულით, რომელიც ერთგვარ დეკორატიულ ფუნქციასაც ითავსებს და გაბმულ ტექსტში სააქცენტო მონაკვეთების გამოსაყოფად გამოიყენება. ალბათ, ამიტომაც ეწოდა

მრგლოვან ანბანს მთავრული. რაც შეეხება სახელწოდება ნუსხურს, რომელიც კუთხოვანი ანბანისთვის იხმარება, იგი უკავშირდება სიტყვა „ნუსხას“, რომელიც ქართველი მწერლი-სა და ლექსიკოგრაფის, სულხან-საბა ორბელიანის, განმარტებით, „ჩქარად აღწერილს“ ნიშნავს. და მართლაც, თუ თვალს გავადევნებთ X-XI საუკუნეების მთავრულით გადაწერილ ქართულ ხელნაწერებს, შევნიშნავთ, როგორ ყალიბდება ცალკეული სწრაფად მოხაზული ასოსგან მისი კუთხოვანი გრაფიკა.

ხელნაწერი ტრადიციის მიხედვით, X-XI საუკუნეებიდან კი ამ ორი ანბანის პარალელურად ვითარდება მხედრული, ანუ თანამედროვე ქართული ანბანი. სახელწოდება მხედრული დაწერილობამ იმის საფუძველზე მიიღო, რომ იგი უპირატესად

სვეტიცხოველი

იესო ქრისტეს კვართის განსასვენებელი. საქართველოს მთავარი სალოცავი. საპატრიარქო ტაძარი. პირველი ეკლესია აიგო IV საუკუნეში. მისი დანგრევის შემდგომ, V საუკუნის II ნახევარში, მეფე ვახტანგ გორგასალმა აღმართა ბაზილიკა. 1010-1033 წლებში კათალიკოს მელქისედეკის ინიციატივით აიგო ჯვარგუმბათოვანი ტაძარი.





საამშენებლო წარწერა

ბოლნისის სიონი, 492/3-502 ნნ. სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობა. სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო.

გამოიყენებოდა საერო შინაარსის ძეგლებში. მაშასადამე, უკვე X საუკუნეში განვითარებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ანბანის ეს სამი გრაფიკული ფორმა წარმოიქმნა წერის ტექნიკის განვითარების საფუძველზე და არ წარმოადგენს ქართული ანბანის სისტემური ცვლის შედეგს.

დაბოლოს, თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ უძველეს, V-VI საუკუნეების მთავრულით შესრულებულ ქართულ წერილობით ძეგლებს, ნათელი გახდება ქართული დამწერლობის წარმოშობის მთავარი საფუძველი. ეპიგრაფიკული ძეგლების პარალელურად არსებული V-VIII საუკუნეების პალიმფსესტური ფურცლები, რომლებზეც დასტურდება როგორც ბიბლიური, ასევე აპოკრიფული და აგიოგრაფიული ტექსტები, აშკარად მიგვანიშნებს, რომ ქართული დამწერლობა იმთავითვე ჩამოყალიბდა არა როგორც საკანცელარიო, არამედ როგორც სამწიგნობრო ანბანი. უძველესი ქართული პალიმფსესტურის, რომლებიც დღეს დაცულია როგორც საქართველოში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ასევე ოქსფორდში, კემბრიჯში, ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ასოთა გრაფიკული დახვეწილობა, ნაწერი სტრიქონების პროპორციული განლაგებისა და შესრულების მანერა, მათზე დაცული ტექსტების რეპერტუარი სავსებით არაორაზროვნად მიგვითითებს, რომ V-VI საუკუნეებში არსებობდა უკვე მყარი წერილობითი კულტურა.


ლეთისმშობლის მიძინების ტაძრის ფრესკული ფრაგმენტი. უშგული



სასულიერო ხელნაწერები

ქართული ხელნაწერი ტრადიცია სასულიერო წიგნების თარგმნითა და გადაწერით იწყება. იგი ფეხდაფეხს მისდევს ქართველთა მიერ ქრისტიანული კულტურის შეთვისების, ახალი ცოდნის მიღებისა და გამყარების პროცესს. წიგნიერმა ქრისტიანობამ საქართველოში მოიგანა როგორც სამყაროს ახლებური ხედვა, მისწრაფება მისი სულიერი წვდომისკენ, ასევე ყოველდღიური ცხოვრების, მატერიალური ყოფის რადიკალური ცვლილებები; მან ბუნებრივად გამოიწვია ერის შემოქმედებითი შესაძლებლობების გაფართოვება.

ქართული წერილობითი კულტურის განვითარების ინიციატივა ეკლესიის წიაღიდან იღებს სათავეს. თავისი არსებობის დასაწყისში კი ქართულ ეკლესიას მეტად რთული წინააღმდეგობის გადალახვამ მოუნია, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ შემორჩენილ წარმართულ მეხსიერებასა და, მეორე მხრივ, მაზდეანურ იდეოლოგიასთან დაპირისპირებაში, რმელიც სპარსეთის პოლიტიკური ზენოლის შედეგად იკიდებდა ფეხს. ამ წინააღმდეგობათა დაძლევის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ იარაღს კი სწორედ წერილობითი კულტურა წარმოადგენდა. ამიტომაც თავდაპირველად ქართული ხელნაწერი ტრადიციის ყურადღება მიმართული იყო იმ ლიტერატურული ძეგლებისკენ, რომელთაც საფუძველი უნდა შეექმნათ ქრისტიანობის რეალური ისტორიის შესწავლის, სარწმუნოებრივი



დაპადება


პალიმფსესტის ქვედა ფენაზე იკითხება დაპადების (9,11-13) მუხლების უძველესი თარგმანი. შესრულებულია ხანმეტური – V-VI საუკუნეების ენობრივი ნორმით. დაპადების ტექსტი დაცულია მთლიანი ხელნაწერის 85-87 გვერდებზე. წიგნის ქვედა ფენაზე დასტურდება სხვადასხვა დროის ტექსტები; ზედა ფენაზე გადაწერილია ფსალმუნი.

ქვედა ფენა: V-VI სს.; ზედა ფენა: XIII-XIV სს.

ეტრატი, 162 ფ., გადაკეცილი ფურცლის ზომა: 15.2×11.5 სმ.
H-999

მორალის შემეცნებისა და საეკლესიო-საღვთისმსახურო პრა-
ქტიკის, ანუ ლიტურგის განვითარებისთვის.

ქრისტიანობის გავრცელებისა და ქართული ხელნაწერი
ტრადიციის დასაწყისში ქართული ლიტურგია სამრევლო-კა-
თედრალური ხასიათისა იყო და, შესაბამისად, საღვთისმსა-
ხურო პრაქტიკა, უპირველესად, მოწოდებული იყო მრევლის
განათლებისა და ღვთისმსახურებაში მისი წიგნიერი ჩარ-
თვისაკენ. ამიტომაც ქართული ეკლესიის წიაღში მოღვაწე
ხელნაწერთა შემქმნელების განსაკუთრებული ყურადღება
მიიპყრო ბიბლიამ: ახალი აღთქმის წიგნებიდან – სახარებამ,
და სამოციქულომ, ხოლო ძველი აღთქმიდან – ფსალმუნმა,



თთხთავი

სახარების უძველესი ხანმეტური რედაქცია, დაცულია პალიმფსესტის ქვედა ფენაზე. ტექსტი დაყოფილია მუხლებად; ყოველი მუხლი იწყება სადა საზედაო ასოთი, რომლის თავზე მოთავსებულია ამონიოს ალექსანდრიელისეული ტექსტის დაყოფის მაჩვენებელი. ზედა ფენაზე იკითხება იოვანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანება“.

ქვედა ფენა: VI-VII სს.; ზედა ფენა: XI ს.

ეტრატი, 439 ფ., ზომა: 2.5×27.5 სმ.

A-89

დაბადების, სოლომონის იგავებისა და წინასწარმეტყველთა წიგნების უძველეს ლექციონარებში შესულმა საკითხავებმა. მათ პარალელურად ითარგმნა და გადაიწერა ზოგიერთი ადრეული აპოკრიფი. მაზდეანურ ირანთან მწვავე დაპირისპირების პირობებში განვითარდა ორიგინალური აგიოგრაფიული მწერლობა, გაჩნდა ამავე უანრის პირველი ქართული თარგმანები. 476-482 წლებით დათარიღებული ორიგინალური თხზულების, „შუშანიკის წამების“, თანახმად, V საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში უკვე არსებობდა სახარების, პავლეს ეპისტოლების, ფსალმუნისა და წმინდა მოწამეთა, ანუ აგიოგრაფიული წიგნები.

სახარება ერთ-ერთი პირველი ბიბლიური წიგნია, რომელიც ქართველებმა ქრისტიანობის მიღებისთანავე თარგმნეს. მისი უძველესი თარგმანები გვხვდება V-VII საუკუნეებით დათარიღებულ პალიმფსესტურ ფურცლებზე. ეს პირველი ტექსტები გადაწერილია მთავრული ანბანით, მათში დასტურდება აღნიშნული ეპოქის ენობრივი თავისებურება – ზმინის სუბიექტური და ობიექტური პირებისა და ხარისხის ფორმების „ხან“ პრეფიქსით წარმოება. ამიტომაც ასეთ ტექსტებს ხანმეტ რედაქციებს უწოდებენ. პალიმფსესტურ ფურცლებზე გადაწერილი ოთხთავები ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული საზედაო ასოებითა და სხვა ორნამენტული ელემენტებით. ამგვარ წიგნებში დეკორის ფუნქციას მუხლის დასაწყისში გამოყენებული მონუმენტური საზედაო ასოები ასრულებს. სახარებების მხატვრული ელემენტებით შემკობა მოგვიანებით, IX-X საუკუნეებიდან, დაიწყო.

ცალკეული ძეგლების თარგმნის პარალელურად შედგა საღვთისმსახურო-ლიტურგიკული დანიშნულების კრებულები:

ლექციონარი – სამრევლო და სამონასტრო მსახურებაში სხვადასხვა დღესასწაულისთვის დადგენილი წესგანგება, რომელიც მოიცავს ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის კრებულის VII საუკუნის ნიმუში, რომელიც თავის დროზე სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავის საკუთრება იყო, ამჯერად დანაწევრებული სახით ინახება გრაცის უნივერსიტეტსა (ავსტრია, 27 ფურცელი) და ბირმინგემში (ბრიტანეთი, 2 ფურცელი). ეს არის ერთადერთი ადრეული ხელნაწერი, რომლის ფურცლებიც ხელახლა არ გამოუყენებიათ საწერ მასალად. იერუსალიმურ ლექციონარის ფრაგმენტებს განეკუთვნება პალიმფსესტური ფურცლები H-999 ხელნაწერიდან. ლექციონარმა, როგორც ლიტურგიკულმა კრებულმა, აქტიური პოზიცია X საუკუნის დასასრულამდე შეინარჩუნა, თუმცა კი შემორჩენილია XI საუკუნით დათარიღებული ერთი წიგნის ფრაგმენტიც.

იადგარი – მთელი წლის საღვთისმსახურო ტექსტები, ფსალმუნისა და ბიბლიის სხვა წიგნებიდან შესაბამისი საკითხავის ერთობლიობით შეკრებილი. იადგარი არსებობას ინარჩუნებს X საუკუნის დასასრულამდე. შემდგომ ეპოქაში ის სათავეს უდებს სხვადასხვა შინაარსის საღვთისმსახურო კრებულებს: თვენს, მარხვანს, პარაკლიტონს და ა. შ. იადგარის უძველესი ნიმუშები დაცულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში.



იერუსალიმური ლექციონარი

დაცულია პალიმფსესტის ქედა ფენაზე; ასახავს ღვთისმსახურების ადრეულ, იერუსალიმურ წესს. შესრულებულია VIII საუკუნის ენობრივი – ჰაემეტური – ნორმით. ამ წიგნის ბერძნული პირველწყარო დაკარგულია. ხელნაწერმა ფრაგმენტულად მოაღწია. მისა მეორე, შემავსებელი ნაწილი, დაცულია სხვა (Q-333) ხელნაწერში. ზედა ფენაზე წარმოდგენილია საღვთისმსახურო კრებული – პარაკლიტონი.

ქვედა ფენა: VIII ს.; ზედა ფენა: XIV-XV სს.

ეტრატი, 97 ვ., ზომა: 16×13 სმ.

H-1329

ՊՐՈՎԵՐԿԱՐ Տ-Յ. ԽԸՆԹԱՎՐ
ՄԻՒՅՈՒՅ-Ծ Ծ-ԱՄ-ԽԱՎԵ-
ՔԵՎԱՎԵ Ծ-ԵՄԵՎԱՎՐ
Ծ-ՎԱԽ Ծ-ԵՎԵՎՔՎՐԵՎ

• 0.9. լուրեց ու բարձր
շնորհ ծըս շատել ծիսնե
զգութ առ օքայնելու
և առ լրութաց ու դա
քայլութ առ ետք մուտ
կաց ու ծառ զարդուկ
առ առ առ առ առ առ
ու առ առ առ առ առ
առ առ առ առ առ առ
առ առ առ առ առ առ
առ առ առ առ առ առ

յ կութան քը մի պօ, եւ տէսէ
ըս լրաւ ռապու կաւած
քաւած ս: Եւ շիտի թարք
խոհեան դամօքոնուն ի՞օ
Ե Եւ շարապուն ա: Եւ բու
կօմեան պօ: Եւ Շա պօն
Ա: Եւ պատրի պօն քէ պօ:
Կ Կութան ման պօ կաւած պէս
Եւ պօք բաւ Եւ պատրի պօ:
Եւ պատրի պօք պէս կաւած պէս
Եւ Եւ պատրի պօք պէս կաւած պէս
Եւ պատրի պօք պէս կաւած պէս

ପରିମାଣାବ୍ୟକ୍ତି ପାଇବାର
ନିରାପଦ ରୀତ ଆପଣଙ୍କାଳେ ହେଲା
ଯାଏ ଏହି ମନୋଦେଶ ପରିମାଣାବ୍ୟକ୍ତି
ଓ ଫୁଲାକେ ରୀତ ଯାଇବାରେ
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

፩ የፌዴራል ተስፋ ስምምነት
፪ የፌዴራል ተስፋ ስምምነት

ତିରୁତାନ୍ତ ଦେଖିଲୁ
ତଥାମାନ୍ତ ଦେଖିଲୁ
ଏକାମାନ୍ତ ଦେଖିଲୁ

¶ 10. 11. 12. 13. 14. 15.

ნიკოლაი წმინდა მოს
უმცირესი ადამიანი
ააგორება ცილინდრ
მის სი სიცილით და
ცილინდრით ხილი
ეცვო :

Digitized by srujanika@gmail.com

Առաջ պատճեն առ
կը առ շինութեալու

1. կը մասունք կամ
շուրջ առաջ ոտք քեծեց
ու վահաճ պարզութ է

ნავარების და მათ
ნავარების და მათ
ეს განო წმინდა

αστερων την περιβολην
την εγκατεστησεν οντος σε
περιγραμματων. Ειναι
τη γενετικη δια μετα

ლექციონარი

ლექციონარის ერთ-ერთი გვიანდელი ნუსხა,
გადაწერილი იმგვარ სამონასტრო ცენტრში,
რომელიც XI საუკუნეშიც ინარჩუნებდა
ტრადიციული სალვოსმსახურო
წიგნებისადმი ინტერესს. შესრულებულია
მთავრულითა და ნუსხურით, მუქი
ყავისფერი მელნით. სათაურები
გამოყოფილია სინგურით. მოიხსენიება
XI საუკუნის ცნობილი ფეოდალი ლიპარიტ
ბალვაში.

1049 6.

ეტრატი, 43 ლ., ზომა: 30.5×22.8 სმ.

გადამწერი: მიქაელ ინჩუხი

Q-1376

ტბეთის (სვანური) მრავალთავი


სამონასტრო დანიშნულების
კრებული. შეიცავს
ჰომილეტიკური, აგიოგრაფიული,
ეგზეგეტიკური და აპოკრიფული
74 თხზულების ადრეული,
პალესტინური ტრადიციის
ტექსტების თარგმანებს.
ხელნაწერის ძირითადი ნაწილი
შესრულებულია მრგვლოვანით,
ნუსხურით გადაწერილია
1 თავი. ტექსტის სამკაულად
გამოყენებულია ტექსტის
მელნითა და სინგურით
შესრულებული საზედაო ასოები;
ცალკეული გვერდების არშიებზე
მიხატულია სხვადასხვა ფიგურა.

X საუკუნე

ეტრატი, 242 ფ., ზომა: 38.5×30 სმ.
მომგებლები: იოვანე მტბევარი და
მამა ოთოდორე.
გადაწერის ადგილი: ტაო-
კლარჯეთი
A-19



მრავალთავი – ღვთისმსახურების დამხმარე კრებული. აერთიანებს საეკლესიო კალენდარზე განყობილ წმ. მამათა ქადაგებებს, აგიოგრაფიულ თხზულებებსა და აპოკრიფებს. ბიზანტიურ მწერლობაში მრავალთავის ანალოგს წარმოადგენს პანეგირიკონი. მრავალთავები ადრეული კრებულებია. მათი შედგენა უკავშირდება ცალკეული საუფლო დღესასწაულის ჩამოყალიბების პერიოდს, რაზეც მიანიშნებს ხელნაწერის არშიაზე დღესასწაულთა საგანგებო აქცენტირებისათვის დართული მითითები. დღემდე ცნობილია IX-XI საუკუნეების როგორც კლარჯულ-პალესტინური, ასევე ათონური წარმომავლობის ქართული მრავალთავები.



პარხლის მრავალთავი

კრებულის სახელწოდებაც წარმოდგება ხელნაწერის გადაწერის ადგილიდან. იგი ქართულ ხელნაწერ წიგნთა შორის გამორჩეულია თავისი სიდიდით. შესრულებულია მაღალი ხარისხის ეტრატზე, ტექსტი ნაწერია ლამაზი, მკაფიო ნუსხურით, ყავისფერი მელნით. სამკაული ტექსტს თითქმის არ აქვს. საზედაო ასოების უმეტესობა ნაწერია ყავისფერი მელნით, სინგურით – საკმაოდ ცოტა. შეიცავს ნათარგმნ და ორიგინალურ თხზულებებს. ამ ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე „შუშანიკის წამებისა“ და „აბოს წამების“ ტექსტებმა.

X-XI საუკუნეთა მიჯნა

ଗୁଡ଼ିକ ପାଇଁ ୩୦୦ ଟଙ୍କା

გათამწერი: გაბრიელ პატარაი

გადაწერის ადგილი: პარხლის მონასტერი

A-95



ფსალმუნი

ცნობილია „მცხეთის დავთანის“ სახელწოდებით. წარმოადგენს ფსალმუნის ადრეულ, წინარეათონურ რედაქციას. გადაწერილია მთავრულით, ყავისფერი მელნით, გამოყენებულია სინგურიც. გარდა ძირითადი ტექსტისა, წიგნში შესულია ფსალმუნთან დაკავშირებული განმარტებითი და პასქალისტური ტექსტები ცხრილებითურთ, ფსალმუნის კანონები. წიგნი შემცულია საწინამძღვრე ჯვრით, დეკორირებული საზედაო ასოებითა და კამარებით, პასქალური ცხრილების ქვემოთ – სტილიზებული არაბული ციფრებით. ხელნაწერი შედგენილობითა და მხატვრულ-დეკორატიული სისტემით მიჰყვება X საუკუნის დასასრულის ტაოკლარჯულ წიგნებს. კრებული თარიღდება მასში შესული კალენდარული ტექსტის საფუძველზე.

X-XI საუკუნეთა მიჯნა

ეტრატი, 261 ფ., ზომა: 19.8×15.3 სმ.

გადაწერის ადგილი: ტაო-კლარჯეთი

A-38

მრავალთავებში გაერთიანებული თხზულებები უმეტეს შემთხვევაში დღეისათვის დაცულია მხოლოდ ქართული თარგმანების სახით. ისინი წარმოადგენენ ადრექრისტიანულ ტექსტებს, რომელთაც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებათ ქრისტიანული მწერლობის ისტორიის კვლევაში. მრავალთავი არსებობას ინარჩუნებს X-XI საუკუნეთა მიჯნამდე. შემდეგ იგი გარდაიქმნება შერეული სახის კრებულად, რომელსაც არ ახლავს მითითება საეკლესიო კალენდარზე და წარმოადგენს არა საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის განკუთვნილ, არამედ სამრევლო-სამონასტრო განათლებისათვის განსაზღვრულ საკითხავ წიგნს.

ქართული ეკლესიის წიაღში ჩასახული ხელნაწერი ტრადიციის განვითარება, რა თქმა უნდა, მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენში სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის ფაქტს. სწორედ მონასტრები წარმოადგენდნენ მთავარ სკრიპტორიუმებს, რომელთა საქმიანობა თანადროულ ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-სარწმუნოებრივი კონტაქტების საფუძველზე ვითარდებოდა. ქართული სახელმწიფოცა და, ბუნებრივია, წერილობითი კულტურაც მუდამ გახსნილი იყო მრავალეროვანი ქრისტიანული სივრცის ინტელექტუალური და კულტურული გამოცდილების მისაღებად. ამგვარი კონტაქტები კი ქართულ ეკლესიას ჰქონდა როგორც საკუთრივ საქართველოში ჩამოსული მოღვაწეების, ასევე უშუალოდ ქართველი ბერ-მონაზვნების ქრისტიანობის წიაღთან – სირია – პალესტინასთან – მჭიდრო ურთიერთობის წყალობით, რომელსაც ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ქართველმა მოწესებმა მიმართეს როგორც პალესტინაში არსებულ საპანმიდის ლავრას, ასევე ჩრდ. სირიაში, ანტიოქიის მახლობლად მდებარე სვიმეონ მესვეტის მონასტერს. გასაკვირი არც ისაა, რომ VI საუკუნეში საქართველოში შუამდინარეთიდან შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ ასურელი მამები (ქართული ტრადიცია მათ ცამეტ ასურელ მამად მოიხსენიებს), რომელთა გამოცდილებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციასა და ხელნაწერი ტრადიციის განვითარებას საქართველოში, გან-



ნე. შიო მლვიმელი, ასურელი მამა XVIII საუკუნის მინიატიურა, ქაღალდი S-3269 – შერეული კრებული

ნე. დავით გარეჯელი

XVIII საუკუნის მინიატიურა
S-3269



საკუთრებით კი მის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ქართული ხელნაწერი ტრადიცია, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ მაზდეანური ირანისა და შემდგომ კი მუსლიმ არაბთა მძიმეზეწოლის პირობებში ვითარდებოდა.

აღნიშნული პერიოდის ქართული წერილობითი კულტურის განვითარებაში საგანგებო როლი დაეკისრა პალესტინის კერებში, განსაკუთრებით კი საბანმიდის მონასტერში, მოღვაწე ქართველ ბერმონაზვნობას, რომელიც იქ ინტენსიურ სამწიგნობრო საქმიანობას ეწეოდა X საუკუნის 70-80-იან წლებამდე.

საბანმიდური ქართული ხელნაწერები თვით ამ ლავრის სამწიგნობრო ტრადიციის საუკეთესო საბუთს წარმოადგენენ. სწორედ აქ შეიქმნა ოთხთავის, სამონასტრო წეს-განგების, ანუ ტიპიკონისა და საღვთისმსახურო კრებულების საბანმიდური რედაქციები, რომლებიც გავრცელდა საქარ-

თველოს საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში. იქ მოღვაწე ქართველმა ბერმა იოანე-ზოსიმე შეადგინა უმნიშვნელოვანესი ენციკლოპედიური ხასიათის ლიტურგიკული კრებული Sin.O.Geo-34 და თარგმნა ერთ-ერთი უძველესი ასტროლოგიური ტრაქტატი – ეზრა ნინასნარმეტყველის „კალანდა“.
სწორედ იოანე-ზოსიმეს მიერ შექმნილ ხელნაწერში ვხვდებით ეროვნული მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად ცნობილ თხზულებას „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“.

ჭილ-ეტრატის იადგარი

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, უპირველესად, საწერი მასალის თვალსაზრისით, ვინაიდან მასში ერთდროულადაა გამოყენებული ჭილისა (პაპირუსის) და ეტრატის ფურცლები. ტექსტი ასახავს VII-VIII საუკუნეების იერუსალიმურ სალვოთისამსახურო პრაქტიკას. მისი ბერძნული მოდელი დღეს დაკარგულია. გადაწერილია კუთხოვანი მრგლოვანით, ახლავს მარგინალური ნიშნები. ერთ-ერთ მინაწერში მოიხსენიება იოგანე, სავარაუდოდ, გადამწერი.

X ს.

ეტრატი, პაპირუსი, 313 ფ. (194 პაპირუსი, 129 ეტრატი), ზომა: 11.2×10 სმ.

გადამწერი: იოვანე

გადაწერის ადგილი: საბანმიდის მონასტერი

H-2123



დღეს ეს ხელნაწერები ინახება სინის მთის ნმ. ეკატერინეს მონასტრის საცავში, ვინაიდან X საუკუნის დასასრულიდან, საბანმიდაზე მუსლიმ არაბთა მომძლავრების შემდგომ, ქართულმა კოლონიამ სინის მთაზე გადაინაცვლა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა. ნმ. ეკატერინეს მონასტრის საცავში 229 ქართული ხელნაწერი და ფრაგმენტი ინახება. ეს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კოლექციაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კლარჯული და სინურ-პალესტინური ქართული ხელნაწერები კარგად ასახავენ ადრეული ხანის ქრისტიანულ მნერლობასა და ზოგადად წერილობით კულტურაში არა მხოლოდ ბერძნული, არამედ ქრისტიანული არაბული და სირიული კულტურების დიდ როლს. ამ პერიოდის მნერლობა თავისუფალია რომელიმე კონკრეტული ცენტრის დიქტატისგან. იგი თანაბრად იღებს და არეკლავს ქრისტიანულ არეალში გაერთიანებული ტრადიციული კულტურების მხატვრული და სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების უმნიშვნელოვანეს ტენდენციებს.

VIII-X საუკუნეებში, გარდა საბანმიდის ლავრისა, ქართველები პალესტინაში მოღვაწეობენ ხარიტონის ლავრაში, იმავე პალავრაში.

VIII საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრმა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, გადაინაცვლა. ამ პერიოდიდან ქართული წერილობითი ტრადიციის უდიდეს კერად იქცა სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საბანმიდის ლავრასთან. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის სულისჩამდგენელი მამა გრიგოლი ხანცთის მონასტრის წესგანგების შედგენისას საბანმიდურ ტიპიკონსაც ითვალისწინებდა. ხელნაწერი წიგნის რეპერტუარი გაფართოვდა. მან მოიცვა სასულიერო მნერლობის ყველა დარგი. თუ ადრეული ხანის ქართულ ხელნაწერებში ვხვდებით ძველი ალთქმის ცალკეულ წიგნებს, სწორედ ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთ ლავრაში, ოშკში, გადაიწერა ძველი ალთქმის ქართული რედაქციის სრული ტექსტი. ჰიმნოგრაფიულ და აგიოგრაფიულ კრებულებში თარგმნილი ძეგლების პარალელურად თავი მოიყარა ორიგინალურმა ქართულმა მნერლობამ. თანდათანობით შედგა შერეული ტიპის, შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის კრებულები. ჩამოყალიბდა როგორც ხელნაწერის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების, ასევე მარგინალური და ლი-



„ნმ. იოვანე ოქროპირის ცხოვრება“

გიორგი ალექსანდრიელისეული ტექსტის ქართული თარგმანი,
შესრულებული პალესტინაში ტაო-კლარჯეთიდან წასული მოღვაწების მიერ.
განეუფრენება საგანგებოდ გადაწერილ წიგნს. ნაწერია კალიგრაფიული
ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სათაური – მთავრულითა და სინგურით.
რვეულებრივი სათვალავისთვის გამოყენებული ქართული და ბერძნული
ასოები შავი და წითელი მელნითაა დეკორირებული. ტექსტს უძღვის იოვანე
ოქროპირის მინიატიურა.

968 ნ.

ეტრატი, 257 ფ., ზომა: 15×12 სმ.
მომგებელი: მიქაელ ფანასკერტელი
გადამწერი: იოვანე საფარელი
გადაწერის ადგილი: ხარიჭონის ლავრა
H-2124



ნმ. გრიგოლ ხანცოლი

ქართული ეკლესიის ცნობილი მამა, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ინიციატორი.
XVIII საუკუნის მინიატიურა, ქალალდი
S-3269

ტურგიკული დანიშნულების ნიშანთა სისტემები. ქართული ხელნაწერი წიგნის ილუმინირებული, ანუ მოხატული ეგზემპლარების არსებობა განაპირობა წიგნის შექმნის მატერიალური, ანუ ფინანსური შესაძლებლობების ზრდამ. სწორედ ტაო-კლარჯეთში ჩაეყარა საფუძველი სამეფო დინასტიისა და დიდი ფეოდალური სახლების მზრუნველობას მწიგნობართა მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში. გრიგოლ ხანცოლისათვის დიდაზნაურ გაბრიელ დაფანჩულის მიერ ნათქვამ-მა სიტყვებმა – „ან ჩუენ თანა არს ჭორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურ-თიერთას“ – გამოვლინება არა მარტო საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის, არამედ წიგნის შექმნის საქმეშიც პოვა. IX-X საუკუნეებიდან ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნებამ განვითარების აღმავალი გზით იწყო სვლა. ბიზანტიურ სივრცეში არსებული მხატვრული მოტივების ათვისებისა და გადამუშავების შედეგად დაიხვენა ტექსტის საზედაო დეკორირებულ ასოთა სისტემა; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოთხთავების მოხატულობას. შეიქმნა ფერადოვანი, მრავალფეროვანი კომპოზიციის მდიდრული მინიატიურებით შემკული საგანგებო – „საზეიმო“ წიგნები, ხოლო სამონასტრო დანიშნულების ეგზემპლარები შეიმკო დეკორირებული ორნამენტული საწინამძღვრე ჯვრებით.

ამავე დროს, აქ, ამ წილში, საფუძველი ჩაეყარა ქართული საეკლესიო-სამონასტრო ტრადიციის კონსტანტინეპოლური წესისკენ ორიენტაციას. ეს პროცესი, რა თქმაუნდა, თვით ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის თანმდევი მოვლენა იყო. VIII საუკუნეში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ჩამოყალიბებულმა ტაო-კლარჯეთის სამთავრომ X საუკუნის 80-იან წლებში სამეფო-სამთავროთა გაერთიანების გზით საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს. სახელმწიფოებრივ ერთიანობას ეკლესიური ერთობის განმტკიცებაც მოჰყვა. ხალიფატის ორ-საუკუნოვანმა დაპყრობითმა პოლიტიკამ და მუსლიმური იდეოლოგიის ძლიერმა ზეწოლამ გამოკვეთა ქართული წერილობითი კულტურის ეროვნული ტენდენციები, გალვივება დაიწყო მესიანისტურმა იდეამ. VIII საუკუნის აგიოგრაფიული თხზულების, „აბოს წამების“, ავტორი იოანე საბანისძე ქადაგებს ქართლის, როგორც მუსლიმური სამყაროსა-გან ქრისტიანობის დამცავი ჯებირისა და წმინდა მოწამეთა

მშობელი ქვეყნის შესახებ, რომლის მკვიდრნიც რწმენის ჭეშმარიტებით უტოლდებიან ბერძნებს; ისინი თანასწორნი არიან, როგორც მართა და მარიამი. X საუკუნეში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იქმნება ქართული ენის სახოფბო ნაწარმოები „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაა“,

შატბერდის კრებული

სასულიერო მნიშვნელოვან თხზულებათა შემცველი საგანმანათლებლო ფუნქციის შერეული კრებული, რომელშიც შესულია ქართველთა გაქრისტიანების ისტორია „მოქცევა ქართლისაა“. ნაწერია მთავრულითა და ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სათაურები – სინგურით. არ ახლავს სამეცაულები. ტექსტის დასაწყისის მიმანიშნებელია რამდენიმე სტრიქონის ან ზოგჯერ ნახევარი გვერდის გასწვრივ ჩამოგრძელებული ასო „ქანის“, ანუ ქანწილისა და ვარსკვლავის ფორმის ნიშნები.


973-976 წწ.

ეტრატი, 286 ფ., ზომა: 28×22 სმ.

გადამნერები: იოვანე-ბერა, ორი ანონიმი

გადაწერის ადგილი: შატბერდი

S-1141





იადგარი

Х საუკუნეში მიქაელ მოდრეკილის მიერ საგანგებოდ შედგენილი ადრეპიზანტიური ხანის ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელმაც შემოინახა იმ პერიოდში ქართულ ენაზე არსებული ყველა საგალობელი, როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი. ტექსტში, სტრიქონების ზემოთ და ქვემოთ, სინგურით მიწერილია ძველი სანოტო ნიშნები. ხელნაწერი გადაწერილია კლასიკური ნუსხურით, სიტყვათა შემოკლების, ანუ დაქარაგმების ტრადიციული წესის გარეშე, შავი მელნითა და სინგურით; გაფორმებულია ფერადი საზედაო ასოებითა და სწორხაზოვანი ორნამენტირებული თავსამკაულებით.

978-988 წწ.

ეტრატი, 272 ფ., ზომა: 26×21 სმ.

გადამწერები: მიქაელ მოდრეკილი და ორი ანონიმი

გადაწერის ადგილი: შატბერდი

S-425



წმ. ბასილი კესარიელი და
იოვანე მტბევარი

ხოლო X საუკუნის 70-იან წლებში ხელნაწერ ტრადიციაში უკვე ჩნდება ქართველთა გაქრისტიანების ქრონიკა „მოქცევად ქართლისაა“. პარალელურად სავსებით ნათელი ხდება ძლიერი ქრისტიანი მოკავშირის არსებობის აუცილებლობა. ასეთი მოკავშირე კი ბიზანტიის იმპერია იყო, რომელმაც, თავის მხრივ, მიაღწია აღმავლობასა და ჰეგემონიას აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში.

X საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული კულტურა და მასთან ერთად ხელნაწერი ტრადიციაც აღმავლობას განიცდის. საღვთისმსახურო-სამონასტრო დანიშნულების მწერლობის პარალელურად ვითარდება სხვადასხვა უანრის როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ლიტერატურა, კერძოდ, სასულიერო პოეზია, განმარტებითი, ანუ ეგზეგეტიკური ძეგლები, დგება საეკლესიო სამართლის წიგნები, ყალიბდება დოგმატიკური ლიტერატურის გამაერთიანებელი კრებული – დოგმატიკონი. XII საუკუნიდან საქართველოში ძლიერდება სამწიგნობრო-საგანმანათლებლო ცენტრები – გელათისა და იყალთოს აკადემიები; იქმნება მათთან არსებული წიგნ-საცავები, რომლებშიც თავს იყრის სხვადასხვა სამონასტრო ცენტრები გადაწერილი ხელნაწერები; ფართოვდება ხელნაწერი წიგნის შემეცნებითი ფუნქცია; დგება შერეული სახის



სძლისპირნი და ღვთისმშობლისანი

ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც მკვეთრადაა აღნიშნული
სადეკლამაციო-ლიტურგიკული ნიშნები, თანამედროვე
თვალსაზრისით, სანოტო სისტემის ადრეული ექვივალენტი.
ხელნაწერებში დადასტურებული ამგვარი ნიშნები მიუთითებს
X საუკუნის საეკლესიო მუსიკის განვითარების მყარ სისტემაზე.
ნაწერია ნუსხურით, დასაწყისი ასოები, სათაურები, ძლისპირთა
გარკვეული ჯგუფის სახელნოდებები – სინგურით.

X ს.

ეტრატი, 229 ფ., ზომა: 17.2×11.3 სმ.

გადამწერები: იორდანე და იოვანე

A-603



პარხლის ოთხთავი

ადრებიზანტიური რედაქციის ეს ოთხთავი ეტრატზე გადაიწერა შატბერდის მონასტერში პარხლის ახალაშენებული მონასტრისათვის. ტექსტი შესრულებულია მთავრულით, ყავისფერი მელნით; საზღვაო ასოები და სათაურები – სინგურით. წიგნი შემკულია ტექსტით შესრულებული მარტივი გრაფიკის სწორხაზოვანი სამკაულებით. მინანერების თანახმად, წიგნის დაკარგული ნაწილები XVIII საუკუნეში შეავსო მთავარდიაკვანმა ნიკოლოზ აბაშიძე – ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის შვილიშვილმა.

973 წ.

ეტრატი, ქალალდი. 260 ფ. (238 ფ. ეტრატი, 22 ფ. ქალალდი),
ზომა: 22.9×19.9 სმ.

გადამწერი: იოვანე ბერა, აღმდგენელი: ნიკოლოზ აბაშიძე
გადაწერის ადგილი: შატბერდი

A-1453



ეშმაკეულის განკურნება

ნმ. ლუკა მახარებელი



საწინამძღვრე ჯვარი – კვადრიფოლუმი.

ჯრუჭის I ოთხთავი

ქართული ოთხთავის უძველესი რედაქცია, ერთ-ერთი პირველი კლასიკურად ილუსტრირებული ხელნაწერი. ნაწერია მთავრულით, შავი მელნით, სათაურები და საზედაო ასოები – სინგურით. მათესა და მარკოზის სახარებათა დაბოლოებები, რომლებიც მინიატიურებიან ფურცლებზე გადადის, მხატვარს დაუმთავრებია. ხელნაწერის შემკულობას წარმოადგენს საწინამძღვრე ჯვარი 8 დეკორირებული კანონი და ამდენივე ილუსტრაცია. ტექსტს უძლვის თაღოვან ჩარჩოში ჩასმული ჩვილედი ღვთისმშობლის, მახარებლებისა და კურნების სცენების მინიატურები.

936-940 წწ.

ეტრატი, 297 ფ., ზომა: 26×21 სმ.

მომგებელი: გრიგოლ მირდატის ძე

გადამწერი: გაბრიელი, კამარათა მწერალი: თევდორე,

გადანწერის ადგილი: შატბერდი

H-1660

ოთხთავი

ტაოკულარჯული სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წიგნი. ცნობილია წყაროსთავის I ოთხთავის სახელწოდებით. ოთხთავის ტექსტი ძველი ობიზური რედაქციისაა. ხელნაწერი შემკულია დეკორირებული კანონებითა და მინიატიურებით, რომლებიც შესრულებულია ე. ნ. ხალხური ხელწერით. მსგავს გრაფიკულ ფორმას ვხვდებით სვანეთში დაცულ ადრეულ ხატებზე.

X საუკუნის მინურული
ეტრატი, 226 ფ., ზომა: 22×19 სმ.
გადამწერი: გაბრიელ პატარა
გადაწერის ადგილი: ტაო-კულარჯეთი
A-98



კანონები



წმ. მათე და მარკოზ მახარებლები

წმ. ლუკა და იოანე მახარებლები

კრებულები, რომლებშიც სასულიერო მწერლობის ძეგლების პარალელურად გაერთიანებულია ასტროლოგიური შინაარსის თხზულებები. წერილობითი კულტურა სახელმწიფო ზრუნვის საგნად იქცა.

ხელახლა ითარგმნება და ბერძნულ დედანს უახლოვდება სასულიერო მწერლობის ადრე თარგმნილი თხზულებები. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართული სასულიერო მწერლობის ეროვნული შინაარსი; გაჩნდა ბერძნულ სამყაროსთან ერთგვარი მეტოქეობის ტენდენციაც, რომელიც განაპირობა კონსტანტინეპოლის დიქტატმა ქრისტიანუ-



ლი აღმოსავლეთისა და მათ შორის საქართველოს მიმართ. სწორედ მეტოქეობის განცდამ განაწყო ქართული წიგნიერი საზოგადოება დაინტერესებულიყო და საფუძვლიანად აეთვი-სებინა ბიზანტიური კულტურა. ახლა უკვე მთავარი ყურა-დღება მიიპყრო იმპერიის ცენტრში არსებულმა სამონასტრო ცენტრებმა. სწორედ IX საუკუნიდან დაიწყეს აქ მოღვაწეობა ქართველებმა ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდგომ საკუთრივ ქართულ მონასტრებში.

თავდაპირველად ქართველთა ყურადღება მიიპყრო ულუ-მბოს, ანუ ოლიმპის მთამ, რომელზეც IX საუკუნის 60-იან

გელათის ბიბლია

უწოდებენ კატენებიან ბიბლიასაც, რადგანაც ტექსტს ახლავს კატენები, ანუ ბიბლიის განმარტებანი.

შესრულებულია მხედრულზე გარდამავალი ნუსხურით, ბაცი ყავისფერი მელნით. საწერ მასალად გამოყენებულია მაღალი ხარისხის აღმოსავლელური ქაღალდი. ხელნაწერი, სავარაუდოდ, გადაწერილია გელათის მონასტერში, XII ს-ში გააქტიურდა საღვთისმეტყველო საქმიანობა და დაარსდა გელათის აკადემია.

XII ს.

ქაღალდი, 302 ფ.,
ზომა: 37×27.6 სმ.

A-1108



**დავით IV აღმაშენებელი
(1089-1125)**

გელათის ფრესკა

წლებში დაემკვიდრა ცნობილი ქართველი მოღვაწე ილარიონი. მან სხვა მონაზვნებიც მიიზიდა და საფუძველი ჩაუყარა ქართველთა კოლონიზაციას. ოლიმპზე ქართველები მოღვაწეობდნენ რამდენიმე სავანეში: ღვთისმშობლის ეკლესიაში – „ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა“, ლავრა კრანიაში, „საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანესათა“.

ილარიონ ქართველის მოწაფეებმა იმპერატორ ბასილის წინადადებით 876 წელს კონსტანტინეპოლის მახლობლად, ბოსფორის სრუტის ევროპული სანაპიროს ცენტრში დააარსეს რომანას (ჰერიკონი) მონასტერი. საქართველოს სამეფო კარის, კერძოდ, თამარ მეფისა და შემდგომ ერეკლე II-ის საგანგებო ზრუნვის საგანს წარმოადგენდა კუნძულ კვიპროსზე არსებული უალის, იმავე ღალის ქართული მონასტერი.

980-983 წლებში დაარსდა ქართული წერილიბითი კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრი ათონის ივერთა მონასტერი, რომელშიც ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სამწიგნობრო-მთარგმნელობითი და კალიგრაფიული სკოლა. სწორედ ამ სკოლამ, მისმა მესვეურებმა – ექვთიმე და გიორგი ათონელებმა და მათ ირგვლივ შეკრებილმა მწიგნობარ ბერთა ჯგუფმა – იოვანე გრძელისძემ, არსენ ნინონმინდელმა, იოვანე ხახულელმა და სხვებმა – X-XI საუკუნეებში წარმართეს ქართული სასულიერო მწერლობის ფართო საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიმართულება. მათ შემოიტანეს და დაამკვიდრეს ბიზანტიური კულტურის ყველა მნიშვნელოვანი მონაპოვარი და ამავე დროს შეინარჩუნეს და განავითარეს ქართული ლიტერატურის ეროვნული შინაარსი. ათონელების პერიოდის ქართული სასულიერო ხელნაწერი გამოირჩევა უანრობრივი მრავალფეროვნებით, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების ახლებური რეგლამენტაციით, სამეცნიერო ცოდნის დამკვიდრების ტენდენციით. არ დარჩენილა სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომელსაც არ შეხებოდა ექვთიმე და გიორგი ათონელების ხელი. მათ სახელებს უკავშირდება ოთხთავის ახალი, ბერძნულთან შედარების გზით შექმნილი რედაქციების ჩამოყალიბება, ქართული ეკლესიის საღვთისმსახურო ცხოვრების განახლების, ანუ კონსტანტინეპოლიურ წესზე გადასვლის პროცესი. ექვთიმე ათონელის ინიციატივით დგება ენციკლოპედიური ხასიათის საგანმანათლებლო კრებულები. დღეს ათონის ივირონის წიგნსაცავში 86 ქართული ხელნაწერია დაცული.



„სასწორი რომელსა არაბულად ჰორქან მიზან“

შერეული კრებული

ქალალდზე დაცული პირველი თარიღიანი ხელნაწერი წიგნი, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი შედგენილობით. საეკლესიო ცხოვრებისათვის მნშვენელოვანი ტექსტების პარალელურად მასში ჩართულია არაბულიდან თარგმნილი ასტროლოგიური თხზულება, რომელიც ილუსტრირებულია. ილუსტრაციები – დისკოში ჩახატული მთვარე ფაზებითურთ, ვარსკვლავთა სიდიდე-სიმცირის ამსახველი დიაგრამა, ზოდიაქოთა გამოსახულებები – დართულია ტექსტზე არა მისი მხატვრული შემქობის მიზნით, არამედ ასტროლოგიური ცოდნისათვის საჭირო თვალსაჩინოების შესაქმნელად. ზოდიაქოებს ორნამენტის სახით წინ უზის მხატვრული გემოვნებით შესრულებული ქუფური შრიფტი ხელნაწერში ასევე წარმოდგენილია ჯვარცმის კომპოზიცია. მოგვიანებით წიგნი ეკუთვნოდა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს.

1188-1210 წწ.

ქალალდი, 214 ფ., ზომა: 23×30.5 სმ.

ერთი ნანილის გადამწერი: ესაია

A-65



წმ. მათე მახარებელი

მარტვილის ოთხთავი

ხელნაწერს ამკობს ორნამენტირებული საზედაო ასოები და წმ. მათესა და წმ. მარკოზ მახარებლების მინიატიურები. ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელნით, სათაურები და მნიშვნელოვანი ადგილები – სინგურით. ჰყავს ორი გადამწერი.



ნე. მარკოზ მახარებელი

1050 წ.

ეტრატი, 186 ფ., ზომა: 23×19 სმ.

დამკვეთი: ივანე ფარჯანიანი

გადამწერები: იოანე მესვეტე და არსენი ეშისძე.

გადაწერის ადგილი: მარტვილი

S-391



აყვავებული ჯვარი

ოთხთავი

გადაწერილი კალიგრაფიული მთავრულით, მაღალი ხარისხის ეტრატზე, ყავისფერი მელნით, საზედაო ასოები – სინგურით. წიგნი შემკულია კამარებით, ფერადოვანი საზედაო ასოებითა და თავსამკაულებით. ბოლოსამკაულად გამოყენებულია მოხატული ჯვარი ბერძნული წარწერით. ახლავს წმ. მარკოზ და წმ. ლუკა მახარებელთა გამოსახულებები. მოხატულობა შესრულებულია შავი მთის სალიტერატურო ციტაციების მიხედვით.

1054 წ.

ეტრატი, 266 ფ. ზომა: 14.59×11.4 სმ.

გადამწერი: მიქაელი

S-962



ჯრუჭის II ოთხთავი

კლასიკური ხანის ე. წ. „საზეიმო“ ოთხთავი ცნობილია ახალი ჯრუჭის (ჯრუჭი II) სახელწოდებით. მხატვრული სტილის თავისებურებებითა და მინიატიურების სიუხვით ქართულ ილუსტრირებულ ოთხთავთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული წიგნი. შემკულია 334 მინიატიურითა და დეკორატიული სისტემის სხვა ელემენტებით. კომპოზიციები წარმოდგენილია ორ ან სამ იარუსად, ზოგან დარღვეულია მინიატიურების ჩარჩოთი შემოსაზღვრული სივრცე და ფიგურები ტექსტშია შექრილი.

XII ს.

ეტრატი, 278 ფ., ზომა: 24.5×18.6 სმ.

გადამწერი: მიქაელი

H-1667



ჯვარცმა



ଓଡ଼ିଆ

• ա մ լ ո ւ ա ն ի ց լ ո ւ ե ս ո ւ ը մ ։
• զ ո ւ ա մ լ ո ւ մ ո վ մ ։ ց ո ւ ի
• և ա ն ի ց լ ո ւ ա մ ։

¶ ա ո ց ո ւ ձ ո լ ո ւ է ձ ո հ ա ո ր ։
• պ ե ս ո ւ ո ղ ց մ լ ո ւ պ ա ս ։
• ծ ա մ ո ւ լ ո ւ օ ժ ո ւ է կ ը ո ւ ։
մ ։ դ ո ւ ո ց ո ւ պ ր ի ն ե ն ե մ ։
ո ւ ձ ո ւ ց ։ ս տ ո ւ լ ո ւ ո ւ ։
մ ո ւ պ ի ն ե ն ։ ց ։ ձ մ ն մ ձ ո ւ ։
ձ ո ւ ։ պ ա ս ե ր ո ւ մ ո ւ ։

• ղ ե մ ։ ո ւ յ մ ո ւ կ ա մ ո ւ մ ե ն ։
ց մ ե ն մ ա վ ե ն մ ո ւ թ մ ։ ղ ո ղ ։
թ ե ց ո ւ ր ո ւ ն ։ հ ա ո ւ ր կ ե ։
մ ա ց ե ն ։ թ մ ։ ո ղ ո ւ մ ի ւ ե ն ։
ո ղ ո ւ թ մ ։ մ ա ւ լ ո ւ ր կ ր ։
ո ւ մ ո ւ ա վ ե ն ։ ո ւ ։ թ ։
շ մ ե ր ո ւ ո ւ պ ի ւ ո ւ թ մ ։
ո ւ պ ա ս ։ մ ա ւ լ ո ւ ր ։ օ լ ո ւ ։
մ ո ւ ։ կ ը ր ։ մ ։



ამაღლება



ნმ. ლუკა და წმ. იოვანე მახარებლები

ნმ. მაქსიმე აღმსარებელი, ღვთისმშობლის ცხოვრება

ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი ყველაზე სრული თხზულება. ითარგმნა ათონის მთის ქართულ სკრიპტორიუმში; მთარგმნელია ექვთიმე მთაწმიდელი. გადაწერილია ეტრატზე კალიგრაფიული ნუსხურით, სათაურები და საზედაო ასოები – მთავრულით, ოქრომელნით. შემკულია ორნამენტული ნნულით, ტექსტს უძლვის წმ. ლუკა და წმ. იოვანე მახარებლების მინიატიურა.

X-XI სს.

ეტრატი, 332 ფ., ზომა: 16.5×11.4 სმ.

გადამწერი: მოწესე ბენედიქტე

გადაწერის ადგილი: ივირონის მონასტერი

A-40



ნმ. იოვანე მახარებელი და ლვთისმეტყველი

„გამოცხადება წმიდისა მახარებლისა და ლვთისმეტყველისა იოვანესი“,
ანდრია კესარია-კაპადუკიელის თარგმანება

აპოკალიფის პირველი ქართული თარგმანი. ვინაიდან ახალი აღთქმის ეს წიგნი ყველაზე გვიან შეიტანეს სახარებაში, ქართულ ტრადიციაში ითარგმნა X საუკუნეში. თარგმანი შეასრულა ათონის სკოლის დამაარსებელმა ექვთიმე მთაწმიდელმა. წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ ნუსხურით გადაწერილ ხელნაწერთა შორის იგი ყველაზე ადრეული თარიღიანი კრებულია. ხელნაწერის ანდერძში დაცულია ცნობა ბასილი და კონსტანტინე კეისრების წინააღმდეგ ბარდა სკლიაროსის ამბოხების შესახებ.

978 წ.

ეტრატი, 210 ფ., ზომა: 17.5×12.5 სმ.

გადამწერი: საბა კუტი

გადაწერის ადგილი: ოლიმპი, ლავრა კრანია.

H-1346



ნმ. ანანია მოციქული და ნმ. იონა წინასწარმეტყველი

მცირე სვინაქსარი

ამ კრებულმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეკლესიაში ახალი,
კონსტანტინეპოლიური ტიპიკონისა და კალენდარული სისტემის შემოღებას,
მოძრავი ციკლის ახალი გეგმისა და შედგენილობის განსაზღვრას. ხელნაწერი
შესრულებულია ეტრატზე ნუსხურით, ყავისფერი მელნით, საზედაო ასოები
და სათაურები – სინგურით. ის არის ყველაზე ფართოდ ილუსტრირებული
სალვატორესაზე კრებული. 400-ფურცლიანი წიგნიდან ამჟამად შემორჩენილია



განრღვეულის განკურნება

144 ფ., შემკულია 72 მინიატიურით, რომლებზედაც გამოსახულია როგორც სიუჟეტები სახარებიდან, ასევე წმინდანები. წიგნის შექმნა ფინანსურად უზრუნველყო ბანის ეპისკოპოსმა ზაქარიამ.

1030 წ.

ეტრატი, 144 ფ., ზომა: 27x21 სმ.

მომგებელი: ზაქარია ბანაელი

გადაწერის ადგილი: კონსტანტინეპოლი, ხორას მონასტერი

A-648

ვანის ოთხთავი

წიგნის ხელოვნების გამორჩეული
ნიმუში განსაკუთრებულ
ღირებულებას იძენს, ვინაიდან
იგი შეიქმნა მეფე თამარისთვის
მისივე დაკვეთით და
წარმოადგენს ე.წ. „საზეიმო“
წიგნს. გადაწერილია მაღალი
ხარისხის თეთრ ეტრატზე,
ნუსხურით, უხვადაა
გამოიყენებული ოქრომელანი.
შემკულია მდიდრული
კამარებით, თავსამკულებით,
სახარებათა თავების დასაწყისში
წარმოდგენილია ორიარუსიანი
მინიატიურები. ხელნაწერის
შექმნის ორგანიზატორი და
გადამწერია კონსტანტინეპოლის
რომანას მონასტერში მოღვაწე
იოვანე, მომხატველი –
ბიზანტიელი მიქაელ კორესელი.

XII-XIII სს.

ეტრატი, 274 ფ.

ზომა: 29.1×21 სმ.


გადამწერი: იოვანე

მხატვარი: მიქაელ კორესელი

გადაწერის ადგილი: რომანას

მონასტერი

A-1335



ნათლისლება.

წმ. მარკოზ მახარებელი



ԱԼԻՔ ՀԱՅԵԱ ԱՐԴ

Ալուգեծն եպատ
 ցիւր ոչ իւր ու
 նո ով . որու ըստ
 տառակե ունածք
 զ բիշուր : Շուր ուր
 մու ծղումուր որու
 հաւ ունուր իուդիքն
 ունիւր պիւր . մին ոյն
 ունուր միւր զծեփից
 ին որ պիւր :
 Լ ուր ուր ունուր
 և ալթիւր . ոյնուր
 ծղուր ոյնուր արնիր .

Տէ ըստին կողմուր ու
 ուր ոյն ծնուր :
 Վա ող ալթիւր . Տէ
 հօնուր լուր . Տէ ուր
 ուր ուր հօնուր լուր
 լուր կապուր : Ծնուր
 ընուր ուր զանուր :
 Տէ ուր ուր ած ծնուր
 և ազուր ուր ուր ուր
 ենուր . Տէ ուր ուր
 հօնուր ուր ուր ուր
 ոյն պիւր ուստիւր ուր
 մենուր . Տէ ուր ուր



მცირე სჯულისკანონი

ექვთიმე ათონელის თარგმანი. ეს არის საეკლესიო სამართლის ძეგლის პირველი ქართული თარგმანი, შესრულებული ავტოკეფალური ქართული ეკლესიის აღმავლობის პერიოდში. აერთიანებს სხვადასხვა კანონიკური ხელნაწერი წიგნის ტექსტურ მასალას, მათ შორის ქართულსაც. გადაწერილია ცნობილი კალიგრაფის მიერ.

1031 ნ.

ეტრატი, 204 ფ., ზომა: 19×15.5 სმ.

მომგებელი: ზაქარია ბანაელი

გადამწერი: ბასილი

S-143



დიდი სვინაქსარი

საეკლესიო კალენდარზე განყობილი ეს საღვთისმსახურო წიგნი აერთიანებს მსოფლიო და ქართული ეკლესიების წმინდანთა მოკლე ცხოვრებებსა და წამებებს. მისი მეშვეობით ვეცნობით სოფიანმიდის, სტოდიოლთა სავანისა და ათონის ივერთა მონასტრის ლიტურგიკულ პრაქტიკას. დიდი სვინაქსარი 1042-1044 წლებში ბერძნულიდან თარგმნა და ქართული მასალით შეავსო გიორგი მთაწმიდელმა. ეს ხელნაწერი დაფინანსებული და გადაწერილია შავ მთაზე XI საუკუნეში მოღვაწე ცნობილი კალიგრაფების, დავით და ოვანე ჯიბისძეების, მიერ. ნაწერია ნუსხურით, ყავისფერი მელნიკით, სათაურები – ასომთავრულითა და სინგურით. შემკულია სწორხაზოვანი თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით.

X ს.

ეტრატი, 452 ფ., ზომა: 22×17 სმ.

გადამწერები და დამფინანსებელები: ოვანე და დავით ჯიბისძეები
გადაწერის ადგილი: შავი მთა, რომანწმინდა


H-2211

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე არსებული ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია, რომელიც XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ინტენსიურად ამოქმედდა.

ქართველები მოღვაწეობდნენ სვიმეონნმინდის, კალიპოსის, კასტანას, ბარლაამნმინდის, რომანას, ლერწმისხევის, ეზრასა და თუალთას მონასტრებში. ქართველთა სამწიგნობრო საქმიანობას წარმართავდნენ XI საუკუნის ცნობილი მთარგმნელ-რედაქტორები: გიორგი ათონელი, გიორგი შეყენებული, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე, კალიგრაფები: იოანე და მიქაელ დვალები. ქართველ მწიგნობრებს მეტად მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ადგილობრივ ბერძნულ-ასურულ-არაბულ წრეებთან. ისინი სარგებლობდნენ თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმეონნმიდაში დაარსებული მდიდარი ბიბლიოთეკით. სწორედ შავი მთის ქართულ ხელნაწერებში ჩამოყალიბდა ტექსტების თეოლოგიური და სამეცნიერო კომენტირების პრინციპები. ამავე ხელნაწერებში კონსტანტინეპოლის ტრადიციის პარალელურად აისახა უძველესი სირიული კულტურის კვალიც.

ამავე პერიოდში ბიზანტიის კართან დაახლოვებულმა ტაოელმა დიდებულმა გრიგოლ ბაკურიანისძემ ბულგარეთში დააარსა ქართველთა მონასტერი პეტრიწონი სემინარიითურთ. აქ იოანე პეტრიწის თაოსნობით ჩამოყალიბდა უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა.

XI საუკუნიდან ქართველთა ყურადღება კვლავ მიიპყრო პალესტინამ, რომელშიც ახალი ძალით ითეთქა ქართულმა სამონასტრო-სამწიგნობრო საქმიანობამ. ამ საქმიანობის სათავეში იდგა ქართველთა ჯვრის მონასტერი და მისი დამაარსებელი გიორგი პროხორე, რომელიც ზრუნავდა ახალი ხელნაწერი კრებულების შედგენა-გამრავლებაზე. სწორედ მისი თაოსნობით შედგა პალესტინის გამოჩენილ მოღვაწეთა „ცხოვრებების“ კრებული, რომელიც პალესტინის პატერიკის სახელითაა ცნობილი. დღეს ეს კრებული ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული (Addit 1181). ჯვრის წიგნსაცავი სწრაფად ივსებოდა საქართველოში მოღვაწე მწიგნობართა მონაწილეობითაც, ამავე დროს იქ გადაწერილი ხელნაწერები იგზავნებოდა სხვა ქართულ სამონასტრო ცენტრებში. მონასტერი ქართული სამეფო კარისა და ფეოდალური არისტოკრატიის საგანგებო ყურადღებას იმსახურებდა. საქართველოში შეიქმნა ჯვრის მეტოქი, ანუ თანამდგომი საეკლესიო



ალავერდის ოთხთავი. კანონები



ნმ. მათე მახარებელი





ავგაროზის ნათლისლება

ალავერდის ოთხთავი

კლასიკური ხანის ქართული ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი გამორჩეული ეგზემპლარი. შექმნილია შავი მთის კალიპოსის ლავრაში. განეკუთვნება იმ იშვიათ ოთხთავთა რიცხვს, რომლებსაც ერთვის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის აპოკრიფული თხრობა – „ავგაროზის ეპისტოლე“. წიგნი გადაწერილია მაღალი ხარისხის ეტრატზე ნუსხურითა და მთავრულით XI საუკუნის ცნობილი კალიგრაფების მიერ. შემკულია ორნამენტული საზედაო ასოებით, საწინამძლვრე ჯვრითა და კანონებით, ფურცლოვან იქროზე შესრულებული ცხრა მინიატიურით. ეს არის ერთადერთი ქართული ხელნაწერი, რომელშიც



მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ანუ მანდილიონი

გვხვდება მაცხოვრის ტილოზე აღბეჭდილი ხელთუქმნელი ხატის, ანუ მანდილიონის გამოსახულება. ეს საგანგებო წიგნი ბაგრატ IV-ისადმი მორჩილების ნიშნად 1059 წელს საქართველოში ჩამოიტანა ლიპარიტ ბალვაშის ძემ, ივანემ.

1054 წ.

ეტრატი, 328 ფ., ზომა: 24×19 სმ.

გადამწერები: გორგი და იოანე დვალი

გადაწერის ადგილი: შავი მთის კალიბოსის ღვთისმშობლის ლავრა
A-484



ნათლისლება

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი

ფილოსოფიურ-თეოლოგიური კრებული. შეიცავს 19 ტექსტს. ქართული თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს. არის კომენტირებული ხელნაწერის ერთ-ერთი საუკეთესო ილუსტრირებული ეგზემპლარი. გადაწერილია ქალალდზე, ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სათაურები და დასაწყისები



ვედრება

— სინგურით, შემკულია ორნამენტული საზედაო ასოებით, მარგინალური ნიშნებითა და მხატვრული კომპოზიციებით. XVIII საუკუნეში ეკუთვნოდა ერეკლე II-ის შვილმშვილს, დავით ბატონიშვილს.

XII ს.

ქაღალდი, 280 ფ., ზომა: 42.5×31 სმ.

A-109



წმიდა მამაა, გაზაფხული



•**ε**ριτονι αρχηγους; θαυματω; •**θ**ι; •**ε**πιτροφη
αρχηγους αρχηγους; •**π**ασινοδε; •**α**ρχηγους;
•**α**ρχηγους; **α**ρχηγους; •**α**ρχηγους; •**α**ρχηγους
•**ε**ριτονι αρχηγους; •**ε**ριτονι αρχηγους; •**ε**ριτονι
•**ε**ριτονι αρχηγους; •**ε**ριτονι αρχηγους;



ա:զի:ոցւ:մէ:և զը
զած:ձն: մցի:մապ
ւ:թ:թէ:և մապառ:դ
մառ ամինսկպօթ:
ձն:թ:լրպաթ: որթ:
ւ:նապատիլու: լու:
ւ:ողինսկպառ: ո:ց



გელათის ოთხთავი

բնապնաւոց ծերի վիճերց զաւուսաւ ցան. Տարց
նկապենն Տպօւել զաւում առաջ գումարցի.

8. *Geographie*

• ակեցքանէ
ծննդումնն
եւեւ: Ծ: ը
• ուռ: Տափի
ծրագիրնց
Ծ: պատկի
ուզագութէ:

յառասութեարքէծառ. շնորհամութիւն մատուց
ամկազմէւթեառն. ովու անսնան ուն. ը ովու ուն
բրոդութեառն.

8 *adulteria*

աւուրիզունի
ուստի զգու
մինչեւ այս
պահը և այս
ուժութեան
առօց այսինք
ուստի այս





მაცხოვარი და ფარისეველნი

გელათის ოთხთავი

XII საუკუნის წიგნის ხელოვნების უნიკალური ნიმუში, „საზეიმო“ ოთხთავი. გადაწყვილია საგანგებოდ დამუშავებულ ეტრატზე ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სინგურითა და ოქრომელნით. გამოირჩევა როგორც მხატვრული შესრულებით, ასევე შედგენილობით. სახარების ტექსტს ერთვის სადეკლამაციო-ლიტურგიკულ ნიშანთა განმარტებები ბერძნულ და ქართულ ენებზე და „ავგაროზის ეპისტოლე“. შემკულია სვეტოვანი კამარებით, 254 მინიატიურით, ოქრომელნით შესრულებული ნატიფი საზედაო ასოებით. თითოეული მინიატიურის ფონად ფურცლოვანი ოქროა გამოყენებული. თითოეულ თავს უძღვის მახარებლების პორტრეტები. სახარების ოთხივე თავის სათაური ჩასმულია ხალიჩისებური ორნამენტით შემკულ ჩარჩოში. სახარება გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის შემცველი წიგნია.

XII ს.

ეტრატი, III, 293 ფ., ზომა: 26×18.8 სმ.


Q-908



მაცხოვრის ქადაგება



მაცხოვარი და წმ. იოვანე ნათლისმცემელი



ნმ. ლუკა მახარებელი

წყაროსთავის II სახარება

ხელნაწერი წიგნი გადაწერილია თამარ მეფის ზეობის დროს. ნაწერია ეტრატზე კლასიკური ნუსხურით, ყავისფერი მელნითა და სინგურით. მის შემკულობას წარმოადგენს მახარებელთა 4 პორტრეტი. იოანე საფარელ-მტბევარი ეპისკოპოსის დაკვეთით წიგნი გადაუწერია ორ პირს. წიგნის ყდის ოსტატია ბექა ოპიზარი.

1195 წ.

ეტრატი, 277 ფ., ზომა: 25×18 სმ.

გადამწერები: იოანე ფუკარალისძე, გიორგი სეთავაძე.
Q-907



წმ. ლუკა მახარებელი

ბიჭვინთის ოთხთავი

ხელნაწერი შეიქმნა XII საუკუნეში, დასავლეთ საქართველოში, მოგვიანებით განეკუთვნა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ეკლესიას. გადაწერილია ეტრატზე ნუსხურით. სახარების ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელნით, ხოლო ასომთავრულით შესრულებული სათაურები – ოქრომელნითა და სინგურით. ხელნაწერში შემორჩენილია წმ. მახარებლების – მარკოზისა და ლუკას ორი მინიატიურა. წიგნის მოხატულობა მეტყველებს ქართული მინიატიურული მხატვრობის თვითმყოფად ხასიათზე.

XII ს.

ეტრატი, 230 ფ., ზომა: 31×23 სმ.
გადაწერის ადგილი: დასავლეთი საქართველო
H-2120

ცენტრები, რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფდნენ საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტერს. ქართველები მოღვაწეობდნენ ასევე გოლგოთა – უფლის საფლავი – აღდგომის, კაპპათას, დერთუფას, დერტავის დედათა, გეთ-სამანის, ღალის, ბასილის, თეოდორეს, ნიკოლოზის, სამო-ელის, შეჰანის მონასტრებში.



დღეს ცნობილია იერუსალიმური ქართული კოლექციის 161 ხელნაწერი.

პარალელურად ქართული ხელნაწერი წიგნი იქმნება საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტრებში. სამწიგნობრო საქმიანობამ მოიცვა როგორც საქართველოს დიდი სამონასტრო ცენტრები, ასევე ცალკეული ეკლესია-მონასტრები. მდიდრულად მოხატული და შინაარსით მრავალფეროვანი წიგნის ფლობა როგორც სასულიერო, ასევე საერო წოდების ღირსებად იქცა.

XIII-XVI საუკუნეების ქართული ხელნაწერი მიჰყვება განვითარების ტრადიციულ გზას, რომლის დაცვაც ამ პერიოდის წერილობით კულტურას ისევე, როგორც ქართულ სახელმწიფოს, მონღლობების, ოსმალეთისა და ირანის პოლიტიკური ზენოლის პირობებში უნდა.

XVII-XVIII საუკუნეებიდან გაფართოვდა ქართველთა კულტურული ურთიერთობის წრე. ქართულმა წერილობითმა კულტურამ ყურადღება მიმართა ევროპული ცოდნისა და გამოცდილებისაკენ, რასაც ხელს უწყობდა ამ ეპოქის პოლიტიკური ურთიერთობები. ერთი მხრივ, კათოლიკე მისიონერების გამოჩენა საქართველოში და, მეორე მხრივ, რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დამყარების მცდელობას ბუნებრივად მოჰყვა ამ სივრცეებისათვის დამახასიათებელი სამწიგნობრო გამოცდილების შემოსვლა ჩვენში. გადაიწერა კათოლიკური შინაარსის წიგნები, რუსულიდან ითარგმნა სასულიერო მწერლობისა და საეკლესიო ისტორიის ლათინურ სამყაროში გავრცელებული ძეგლები, დაარსდა პირველი სტამბა. ქართული ხელნაწერი წიგნის შედგენისა და გაფორმების ტრადიციამ თავდაპირველად ნაბეჭდ წიგნში გადაინაცვლა. ბეჭდური პროდუქციის მომძლავრებამ კი ერთგვარად შეავინწროვა ქართული ხელნაწერის გავრცელების არეალი, რომელიც პირადი საკუთრების მცირე ფორმის წიგნებით შემოისაზღვრა.

მეტ-ნაკლები ინტენსივობით ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა XX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა არსებობა.



სვინაქსარი


გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსრის“ ერთ-ერთი უძველესი ნუსხა. გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გოლგოთის მონასტრისათვის. შესრულებულია კალიგრაფიული ნუსხურით. სვინაქსარს ერთვის არაერთი აღაპ-მოსახსენებელი, მათ შორის XII საუკუნის ჯვაროსნების ტამპლიერთა ორდენის წარჩინებული ნევრებისა.

1156 ნ.

ეტრატი; 340 ფ., ზომა: 25×18 სმ.

გადამწერი: ხუცესმონაზონი გიორგი დოდისი

გადაწერის ადგილი: იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი
H-1661



იოანე სინელი, კლემაქსი

შუა საუკუნეების წიგნის ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში – „კლემაქსის“, ანუ „სათნოებათა კიბის“ ორი ქართული თარგმანი: ეფთვიმე მთანმიდელისა და იოანე პეტრინისა. პეტრინსეული ტექსტის გადამზერია XII საუკუნის ცნობილი კალიგრაფი ნიკარა. მისი ტექსტი შემკულია შავი და წითელი მელნით შესრულებული ორნამენტული საზედაო ასოებითა და გრაფიკული გამოსახულებებით, საზედაო ასოები შეჭრილია ტექსტში, შემკულია ფოთლოვანი მონაკვეთით. ფართო არშებზე მინერალით პატრიარქის კომენტარები, ტექსტი დატვირთულია სადეკლამაციო-



ლიტურგიკულ ნიშანთა სისტემით. ზოგან კომენტარების სტრიქონთა განლაგება ქმნის ფიგურებს, ზოგან ისინი ჩანარილია გრაფიკულ გამოსახულებებში. ეფთვიმე მთავრიდლისეული თარგმანის გადამწერი ანონიმია.

XII b.

ქალალდი, 223 ფ., ზომა: 36.5×29 სმ.

გადამწერები: ნიკოლა და ანონიმი

H-1669



წმ. ოოანე მახარებელი

ოთხთავი

კლასიკური პერიოდიდან გვიანდელი ტრადიციისაკენ გარდამავალი პერიოდის ხელნაწერი წიგნის საინტერესო ნიმუში. გადაწერის კონკრეტული ადგილი უცნობია, მაგრამ წიგნი შექმნილია საქართველოში ერთ-ერთი ფეოდალური ოჯახის – გლონისთავისძების დაკვეთით. წიგნის მხატვრულ-დეკორატიული სისტემა შექმნილია კლასიკური ხანის ქართული წიგნის ნიმუშების მიბაძვით, თუმცა განსხვავებული ფერთა პალიტრით, კონკრეტულად, მჭახე წითელი საღებავის გამოყენებით.

XII-XIII სს.

ეტრატი, 316 ფ., ზომა: 23.6×18 სმ.

გადამწერი: იაკობი

A-516



ნმ. მათე მახარებელი

ვარძიის ოთხთავი

მაღალი ხარისხის თეთრ ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი წიგნი ყურადღებას იქცევს მდიდრული, ნატიფი ორიგინალური მორთულობითა და კლასიკური კალიგრაფიული ნუსხურით, სათაურები – სინგურითა და მთავრულით. საზედაო ასოები და ტექსტის მნიშვნელოვანი ადგილები ნაწერია ოქრომელნითა და ფერადებით. მახარებლების გამოსახულებანი ტექსტიან ფურცლებზე შესრულებული და მცირებული იყავებს. მინიატიურები შემცირდებია ორიგინალური ორნამენტებით. ვარძიის ოთხთავი „საზეიმო“ ხელნაწერია, რომელიც, სავარაუდოდ, თამარ მეფეს ეკუთვნოდა. XVI საუკუნემდე წიგნი ვარძიაში ინახებოდა, სპარსელების მიერ ვარძიის ძარცვის შემდგომ იგი გამოუსყიდია ლეონ კახთა მეფის ვაჟს და კვლავ ვარძიისათვის შეუწირავს. წიგნს ჰქონია ვერცხლის ყდა ღვთისმშობლის მინაწერიანი ხატით, რომელიც შემოუძარცვავთ.

XII-XIII სს.

ეტრატი, 289 ფ., ზომა: 23×18 სმ.

Q-899



წმ. მარკოზ მახარებელი

ოთხთავი


XIII საუკუნეში გადაწერილი და მოხატული წიგნი. ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან სახარებათაგანი, რომელთაც ახლავს „ავგაროზის ეპისტოლის“ ტექსტი გვიანბიზანტიური ხანის ელინოფილური ტრადიციის თარგმანი, სადეკლამაციო-ლიტურგიკული ნიშნების თანხლებითურთ. ოთხთავი მოხატულია. ყოველი თავის დასაწყისს ამშვენებს მახარებლების გამოსახულებანი ოქროს ფონზე. ტექსტი შემკულია საუცხოოდ გაფორმებული თავსამკაულითა და საზედაო ასოებით. მოგვიანებით წიგნი განუახლებია და ცხაოტის თავის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს ქსნის ერისთავის მეუღლეს, როდამს.

XIII ს.

ეტრატი, 190 ფ., ზომა: 25.5×20 სმ.

მხატვარი: მათე

A-496



სულთმოფენა



ხარება

ოთხთავი

XIII საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო კალიგრაფიული ნიმუში. შესრულებული უნდა იყოს საგანგებოდ დიდგვაროვანი ფეოდალური წრის წარმომადგენლისთვის. ნაწერია ნუსხურით, სათაურები – წითელ ფონზე ოქრომელნით. ოთხთავის შემკულობას წარმოადგენს ორნამენტული მორთულობის ცალკეული ელემენტები, კამარები, საზედაო ასოები, ოქრომელნით შესრულებული მინიატიურები წმ. მარკოზისა და წმ. ლუკას გამოსახულებებით, ხარების, შობის, იერუსალიმში შესვლის კომპოზიციებით.

XIII ს.

ეტრატი, 268 ფ., 23.5×17.5 სმ.
გადამწერი: ნიკოლოზ კატარანისძე
A-26

Λαῖς ἐργάσθητε
τοῖς οὐκέταις τηλε^{πέμψας}: **Ο**υτοις οὐκέταις θύει
τοῖς οὐκέταις τηλε^{πέμψας}: **Ε**ντοτε οὐκέταις θύει
τοῖς οὐκέταις τηλε^{πέμψας}: **Ε**ντοτε οὐκέταις θύει
τοῖς οὐκέταις τηλε^{πέμψας}:



¶ 1. ڦا
ڦا ڦا
ڦا ڦا
ڦا ڦا
ڦا ڦا



ԾԱԿԾ Ա
ՃՂԱԿՃՂ
ԱՐԱ · Ց
ԸՎԼՏ Կ





მოქვის ოთხთავი

წიგნი წარმოადგენს ქართულ
ოთხთავთა შორის ერთ-ერთ ბოლო
ილუსტრირებულ წიგნს, რომელშიც
გამოვლენილია ქრისტიანული ხელოვნების
პალეოლიგოსური ხანის (1261-1361 წწ.)
ბიზანტიური ხატნერისა და
წინარენესანსული ევროპული მხატვრობის
ელემენტები. საზეიმო ხასიათის
ეს წიგნი გადაწერილია დასავლეთ
საქართველოში, აფხაზეთში, მოქვის
მონასტერში. მისი დამკვეთია მოქვის
ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. ნაწერია
ეტრატზე მსხვილი ნუსხურით, ყავისფერი
მელნით. წარმოდგენილია 10 კამარა,
152 სიუჟეტური მინიატიურა, რომელთა
შორის ინტერესს იწვევს ჩვილედი
ღვთისმშობლის წინაშე ვედრების პოზაში
მდგომი მოქველი მთავარეპისკოპოსი
დანიელი. ხელნაწერში იკითხება 531
საზედაო ასო.

1300 წ.

ეტრატი, 329 ფ., ზომა: 30×23.5 სმ.
დამკვეთი: მთავარეპისკოპოსი დანიელი
გადამწერი: ეფრემი
გადაწერის ადგილი: მოქვი
Q-902

ნმ. იოანე ოქროპირის ჟამისწირვა


XIII-XIV სს. გრაგნილი, შემდგარი სამი ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ფურცლის, ანუ კეფისაგან. ნაწერია ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სათაური – ფერადი საღებავებით, ლამაზად მოხატული საზედაო ასოები – მთავრულით. ადგილები გაცხოველებულია შავი მელნით. გრაგნილი ნაწერია ორივე მხარეზე. იოანე ოქროპირის ჟამისწირვა დახვეულია ხის ჯოხზე – კონდაკზე. ტექსტის დასაწყისში მოთავსებულია იოანე ოქროპირის გამოსახულება, რომელიც ჩასმულია წნული ორნამენტით შემკულ ჩარჩოში.

XIII-XIV სს.

ეტრატი, 3 კეფი,
ზომები: 64.5×20.8 სმ.; 74×20.8 სმ.;
70.5×21.1 სმ.
გადამწერი: გაბრიელი
A-922.



ნმ. იოანე ოქროპირი



კურთხევანი

კრებულში გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის ლოცვები, მათ შორის ბევრია სამკურნალო შინაარსისა. ქველ ქართულ კრებულთა შორის აღნიშნული წიგნი უნდა მივაკუთვნოთ ე. წ. გარდამავალი ტიპის კრებულს, რომელიც ფართო სოციუმისათვის მოიაზრება. გადაწერი და გადაწერის ადგილი უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, ძალზე ძველი დედნის ასლს ნარმოადგენს. ტექსტები უახლოვდება კლარჯულ თარგმანებს. ნაწერია აღმოსავლურ ქალალდზე. გადაწერილია ნუსხურით, სათაურები და საზედაო ასოები – სინგურით. ხელნაწერში უხვადაა ფერადებით შესრულებული თავბოლოკაზმულობები, ადამიანის, ფრინველთა, ცხოველთა და ყვავილვან-მცენარეული გამოსახულებები, მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები და ვარდულები.

XIV-XV სს.

118 ფ.: ქალალდი – 116 ფ., ეტრატი – 2 ფ.; ზომა: 24.5×20.5 სმ.

A-1110



მენელსაცხებლე დედები და იოსებ არიმათიელი

ლარგვისის ზატკი

ლიტურგიკული, აღდგომის პერიოდის საგალობლების შემცველი წიგნი.
ნაწერია ნუსხურით, სათაურები სინგურით. მოხატულია თავსამკაულით,
საზედაო ასოებითა და მინიატიურებით, რომლებზეც გამოსახულია
სცენები საუფლო დღესასწაულებიდან.

XV ს.

ეტრატი, ფ. 175, 25.6×20.2 სმ.

დამკვეთი: შალვა ერისთავი

გადამწერი: ბარნაბა

A-25



მაცხოვარი და სამარიტელი დედაკაცი

ფსალმუნი

გადაწერილია სამცხეში. მომცრო ზომის ხელნაწერი საოჯახო ბიბლიოთეკისთვისაა შექმნილი. ნაწერია ეტრატზე ნუსხურით, საზედაო ასოებისათვის გამოყენებულია ასომთავრული, გაფორმებულია ოქრომელნით. ფსალმუნებს წინ უძღვის დავით წინასწარმეტყველის ფერადებით შესრულებული მინიატიურა, ხოლო ტექსტის დასაწყისს ამკობს თავსამკაული ორიგინალური ორნამენტით.

1494 წ.

ეტრატი, 168 ფ., ზომა: 9.8×7.6 სმ.

დამკვეთები: ყვარყვარე და მზეჭაბუკ ॥ ათაბაგები

გადამწერი: ამბროსი

გადაწერის ადგილი: სამცხე, სამხრეთი საქართველო

A-351



წმ. დავით წინასწარმეტყველი ქნარით



დავითისა და საულის შეხვედრა



დავით მეფისა და აბგიას ქორწილი

ფსალმუნი

მდიდრულად გაფორმებული ეს ხელნაწერი წიგნი საგანგებოდ მაღალი არისტოკრატიული ოჯახისათვის უნდა ყოფილიყო დაკვეთილი. შეიცავს გიორგი მთანმიდლისეული რედაქციის ტექსტს. უძვის დავით წინასწარმეტყველის გამოსახულება, დართული აქვს ტექსტზე ადრეული მაღალმხატვრული მინიატიურები.

XVII ს.

ქაღალდი, 236 ფ., ზომა: 25×17.5 სმ.

დამკვეთი: ზილიხან ბატონიშვილი

H-1665



დავით მეფისა და ადრაზარის ბრძოლა

ფსალმუნი

წიგნი გადაიწერა დასავლეთ საქართველოში, სოფ. ღვარაში თეთროსნის სახელნოდებით ცნობილ ეკლესიაში ქაიხოსრო გურიელისა და მისი დედის, თამარ დედოფლის, დაკვეთითა და ფინანსური უზრუნველყოფით. გადაწერილია აღმოსავლურ ქალალდზე ნუსხურით. შემქულია ტექსტზე ადრეული 55 მინიატიურით.



ბატალიური სცენა

XVI ს.

ქაღალდი, 144 ფ., 23×17.5 სმ.

დამკვეთები: ქაიხოსრო გურიელი და თამარ დედოფალი

გადამწერი: გერმანოზი

გადაწერის ადგილი: ღვარას თეთროსნის ეკლესია

H-75



ბიბლია


წიგნი, რომელსაც „მცხეთურ ხელნაწერს“ უწოდებენ, ბიბლიის ყველაზე სრულყოფილი ქართული ხელნაწერია. ძეგლი ნათლად მეტყველებს XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა მნიშვნელოვან ცოდნასა და გამოცდილებაზე ბიბლიოლოგიისა თუ სამეცნიერო-ფილოლოგიური საქმიანობის დარგში. ბიბლია ნაწერია ქაღალდზე შავი შელნით, ნუსხურით. გაირჩევა რამდენიმე ხელი. სათაურები შესრულებულია მთავრულით, ზოგჯერ წითელი მეტყველით. რედაქტირებულია მხედრულით და ახლავს ამავე ხელით შესრულებული საძიებლები, რომლებიც ეკუთვნის რედაქტორს, სულხან-საბა ორბელიანს. ხელნაწერში ჩართულია ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ტექსტი – „წინასწარმეტყველთა წიგნები“.

XVII-XVIII სს.

ქაღალდი, 668 ფ., ზომა: 21×29.5 სმ.

გადამწერები: სულხან-საბა ორბელიანი, ლაზარე

A-51



სამოთხის კარი

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ – კიოთხვა-მიგებით დაწერილი მოძღვრება. იგი ავტოგრაფულ ნუსხას წარმოადგენს და 1701 წლით თარიღდება. ამ ხელნაწერში, რომელიც ავტორის უბის წიგნაკი უნდა ყოფილიყო, მისივე ხელით შეტანილია სხვა მასალა, რომელიც შეიცავს ლოცვებს, ღვთისმსახურებასთან და კავშირებულ საკითხავებს. წიგნი წარმოადგენს მხედრული ტექსტი ადგილ-ადგილ ავტორის მიერ უნდა იყოს ნასწორები, რასაც მონაბეჭდის კინო ნაჭრები, რომელიც წიგნაკია ჩაკრული.

1701 წ.

ქაღალდი, 90 ფ., ზომა: 20.8×11 სმ.

გადამწერი: სულხან-საბა ორბელიანი

A-303



მთავარანგელოზთა გუნდი

გულანი

შედგენილობით ორიგინალური ქართული კრებულია, რომელშიც თავმოყრილია საღვთისმსახურო ყველა წიგნი: სახარება, საქმე მოციქულთა, პავლენი, თვენი, უამნი, დავითი, მარხვანი, ზატიკი, სვინაქსიაში ის იკითხებოდა მთელი ნიმუშით. მარხვანი უკავშირდებოდა მთელი ნიმუშით. მარხვანი უკავშირდებოდა მთელი ნიმუშით. მარხვანი უკავშირდებოდა მთელი ნიმუშით.

1681 წ.

ქაღალდი, 345 ფ., ზომა: 35×24 სმ.

დამკვეთი: კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახვრიშვილი

გადამწერები: მიქაელი, საბა, აბელი

A-30

ქართული საერო ხელნაწერები

შუა საუკუნეების ქართულ საერო ხელნაწერებში წარმოდგენილია ჟანრობრივად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი მწერლობის ნიმუშები, მხატვრული და სამეცნიერო შინაარსის თხზულებები. ეს ხელნაწერები თავიანთი შედგენილობითა თუ მხატვრული გაფორმებით იმდროინდელი საზოგადოების სულიერი ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად იქმნებოდა და ასახავდა ახლოაღმოსავლეთის საერთო კულტურული არეალის ძირითად ტენდენციებსა და მიმართულებებს. მათი მხატვრული სახე და შექმნის ტექნიკა ემყარებოდა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის ტრადიციებს, რომლებიც სასულიერო წრეებში, ქართულ და უცხოურ სკრიპტორიუმებში ყალიბდებოდა.

ქართული წერილობითი კულტურის საერო ხელნაწერების სახის ჩამოყალიბება დამოუკიდებელი და ძლიერი ფეოდალური მონარქიის, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მოწინავე ქართული სახელმწიფოსა და ბრწყინვალე სამეფო კარის არსებობის პირობებში დაიწყო. შემდგომ კი, ერთიანი საქართველოს დაშლისა და პოლიტიკური ძნელებების შამს, ქართული სამონასტრო კერების შესუსტების პერიოდში, სწორედ საერო ხელნაწერმა იტვირთა წიგნის შემეცნებითი არეალის გაფართოვებისა და პროგრესული ცოდნის შემოტანა-გავრცელების ფუნქცია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც,

**შოთა რუსთაველი,
„ვეფხისტყაოსნი“**

ცნობილია „ბეგთაბეგისეული“
ნუსხის სახელწოდებით.
გადაწერილია მხედრულით,
სათაური და სტროფების
დასაწყისი სიტყვები –
სინგურით, ხელნაწერი
გამოირჩევა შემკულობით –
ტექსტის თითოეული გვერდი
ჩასმულია ჩარჩოში, ხოლო
კიდეები მრავალფეროვანი
მცენარეული ორნამენტითაა
მოხატული.

1680 წ.

ქაღალდი, 263 ფ.,
ზომა: 44.5×30 სმ.

მომგებელი: მეფე გიორგი XI
გადამწერი: მდივანი ბეგთაბეგი
H-54







ავთანდილი კლავს ჭაშნაგირს

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

„ავალიშვილისეული“ წუსხა. გადაწერილია კალიგრაფიული მხედრულით, შავი მელნით; ყოველი გვერდის არშია მდიდრულადაა შემკული. ტაეპების დასაწყისი სიტყვები ოქრომელნითაა ნაწერი; არშიები გაფორმებულია ზოომორფული ელემენტებით, პეიზაჟით, სხვადასხვა სახის კომპოზიციით. ტექსტს ახლავს



სამი სიუჟეტური მინიატიურა. მხატვრობაში იკვეთება სპარსული სამინიატიურო
ხელოვნების კვალი.

XVI-XVII სს.

ქალალდი, 260 ფ., ზომა: 37×24 სმ.

H-2074

რომ საერო ხელნაწერის შინაარსობრივი განვითარების საფუძველი სასულიერო წიგნებშია საძიებელი. დროთა ვითარებაში ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობისა თუ ეროვნულ წმინდანთა პანთეონის შექნის მიზნით ჩამოყალიბებულმა ძეგლებმა სათავე დაუდეს საისტორიო მწერლობის თხზულებებს და არასამონასტრო კუთვნილების წიგნებს შორის დაიმკვიდრეს ადგილი. ფართო პოლიტიკურმა თუ კულტურულმა ურთიერთობებმა, სამონასტრო წიაღში გადაწერილი შერეული კრებულების თემატურმა მრავალფეროვნებამ, ქართული მწერლობისა და წიგნის შექმნის საქმეში საერო არისტოკრატიის აქტიურმა ჩართვამ ბიძგი მისცა როგორც საერო შინაარსის ცალკეული თხზულებების, ასევე ანთოლოგიური კრებულების ნარმოშობას.

საერო კრებულების ქრონოლოგიაზე დაკვირვება ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას გამოკვეთს – მათი უმეტესობა გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. როგორც ჩანს, სახოტბო თუ საგმირო-სარაინდო თემაზე შექმნილი ძეგლები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოებდნენ ქართველ მკითხველს, მაინც პირადი საკუთრების, საოჯახო რელიქვიებად მიჩნეულ ხელნაწერებში იყრიდა თავს, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, მათი დაცულობის არეალს ავინროებდა. ამგვარ წიგნებზე ზრუნვა საოჯახო ინტერესის სფეროს არ სცილდებოდა. მუსლიმურ გარემოსთან მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში ქართული სახელმწიფოს, ეკლესიისა თუ საზოგადოების მთელი ყურადღება სასულიერო შინაარსის ხელნაწერების დაცვისკენ იყო მიმართული. ალ-

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

„წერეთლისეული“ ნუსხა. გადაწერილია მხედრულით, შავი მელნით; სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურითაა ნაწერი; ხელნაწერი დასურათებულია ორი ოსტატის მიერ. მინიატიურათა ნაწილი შესრულებულია ირანული ისფაპანური სამინიატიურო მხატვრობის გავლენით, ნაწილი კი ასახავს ეროვნულ ქართულ ტენდენციებს.

XVIII ს.

ქაღალდი, 289 ფ., ზომა: 33×22 სმ.
S-5006



თინათინის გამეფება



- 8. -

ԿԱՐՏՎՈՂՈ ԵՎԼԵԱՆԵՐՈ ԸՆԹԱՑ

- 55-182 -



ნესტან-დარეჯანი ქაჯი მონების ტყვეობაში

ბათ ამიტომაცაა, რომ XII-XIII საუკუნეებში შექმნილმა ქართული საერო მწერლობის უნიკალურმა ნიმუშებმა გვიანდელი ხელნაწერი წიგნების სახით მოაღწია ჩვენამდე. მაგალითისათვის მოვიყვანთ სახოტბო პოეზიის მაღალმხატვრულ ნიმუშებს „თამარიანსა“ და „აბდულმესიას“, რომლებიც გვიანი ხანის ნუსხებითაა შემონახული და წარმოდგენილია აღორძინების პერიოდის პოეტურ ნიმუშებთან ერთად.

კლასიკური ხანის პოეტური შედევრი „ვეფხისტყაოსანი“ 100-ზე მეტ ხელნაწერშია დაცული. ძეგლი ზოგადკულტურული ფენომენია, სხვადასხვა ეპოქითა და კულტურით ნასაზრდოები, რაც ამ ხელნაწერების გამორჩეული ნიმუშების მხატვრულ გაფორმებაშიც ვლინდება. საგანგებო დაკვეთითა და ფინანსური უზრუნველყოფით შექმნილი, სამეფო ოჯახებისა თუ დიდ ფეოდალთა მზრუნველობით გადაწერილი ნუსხები წარმოგვიდგენს როგორც „ხალხური“ მიმართულების, ისე ისლამური ხელოვნების უშუალო გავლენით შექმნილ დეკორატიულ და სამინიატიურო მხატვრობას.

აღორძინების ხანისა და უფრო გვიანდელი პერიოდის ხელნაწერებითაა შემონახული „ამირანდარეჯანიანიც“ – ქართული საერო მწერლობის ერთ-ერთი ადრეული და მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი. ცალკეულ მოთხოვნათა კრებული თხზულებაში ძლევამოსილი გმირის ამირან დარეჯანის ძის თავგადასავლითაა გაერთიანებული. თხზულების ზოგიერთი ნუსხის მოხატულობა ხალხური ნიშნითაა აღბეჭდილი; მათში ხაზგასმულია ამ პერიოდის საქართველოში ერთგვარ კულტიად ქცეული ფიზიკური ძალა და საფალავნო ატრიბუტები.

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“

„თავაქარაშვილისეული“ ნუსხა. გადაწერილია მხედრულით, შავი მელნით; სათაურები სინგურითაა ნაწერი. ტექსტი წარმოადგენს პოემის ე. წ. „ვრცელ რედაქციას“. ნუსხის მოხატულობა ქართული ეროვნული შემოქმედების ნიმუშადაა მიჩნეული. ერთვის გადამწერისა და მომხატველის, მამუკა თავაქარაშვილის, ავტოპორტრეტი.

1646 წ.

ქალალდი, 267 ფ., ზომა: 27×19 სმ.

მომგებელი: ლევან II დადიანი

გადამწერი და მომხატველი: მამუკა თავაქარაშვილი
H-599



ავთანდილი



ზედა არე: ლევან დადიანი ოჯახით;
ქვედა არე: შოთა რუსთაველი და მამუკა თავაქარაშვილი



მლოცველი ავთანდილი

ამავე პერიოდს განეკუთვნება უცხოობაში გადახვეწილი ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის, მონუმენტური ქმნილება „დავითიანი“ – XVIII საუკუნის საქართველოს შფო-

„ამირანდარეჯანიანი“

გადაწერილია მხედრულით,
აქვს თავკაზმულობა; ერთვის
საჭურვლის ნუსა 33
დასახელებით და ტაბულა
საჭურვლის გამოსახულებებით,
ილუსტრაციები განმარტებითი
ნარწერებითურთ.

1824 წ.

ქაღალდი, 113 ფ.,
ზომა: 32.5×20 სმ.

გადამწერი: დავით თუმანოვი
გადაწერის ადგილი: თბილისი
H-384



ამირან დარეჯანის ძე კლავს გველეშაპს

თიანი ცხოვრების პოეტური მატიანე, რომელიც ერთადერთი ავტოგრაფული სელნანერითაა შემონახული.

შუა საუკუნეებში საქართველოს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ელინურ-ბიზანტიურ, ისე ისლამურ აღმოსავლეთან,



დავით გურამიშვილი,
„დავითიანი“

ავტოგრაფული ხელნაწერი.
ნაწერია მხედრულით, სათაურები
და სტრიქონთა დასაწყისები
– სინგურით. ტექსტს ერთვის
გურამიშვილის ავტოპორტრეტი,
სარწყავისა და წისქვილის
გეგმა, ახტირკის ღვთისმშობლის
გრავიურა.

1787 6.

ପ୍ରାଚୀନତାଙ୍କୁ, 155 ପୃଷ୍ଠା

გომა: 32.5×19.5 სმ.

გადაწერის ადგილი: უკრაინა
S-1598

რამაც ცივილზაციათა გასაყარზე მყოფ ქვეყანას საშუალება მისცა შეეთვისებინა და გარდაესახა ამ კულტურათა სულიერი მონაპოვარი. ქართული ხელნაწერი წიგნი ასახავს ამ გავლენებს როგორც შინაარსობრივი, ისე წიგნის მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით.

XI საუკუნიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ურთიერთობა ჩვენს კულტურულ მეზობელთან – ირანთან. პოლიტიკური და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ანტაგონიზმის მიუხედავად, სპარსული ორიგინალებიდან შესრულებული თარგმანები და გადამუშავებები ორგანულად ერწყმოდა ქართულ მწერლობას, რასაც განაპირობებდა ამ ძეგლების მაღალი მხატვრული დონე და მონათესავე მოტივთა არსებობა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში.

კლასიკური სპარსული მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლი „ვის ო რამინი“ სწორედ ამ პერიოდში ითარგმნა ქართულად. იგი ზედმინევნითი სიზუსტით მიჰყვება ორიგინალს და თავისი მაღალმხატვრული ღირებულებით ქართული მწერლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ძეგლი ისევე, როგორც საგმირო-საფალავნო და რომანტიკულ-სამიჯნურო თხზულებათა სხვა თარგმან-გადამუშავებები, გვიანდელი ხელნაწერებითაა შემონახული.

XV საუკუნიდან იქმნება ირანული საგმირო-საფალავნო ეპოსის, სპარსული კლასიკური პოეზიის სწორუპოვარი ნიმუშის, „შაჰ-ნამეს“, როგორც პროზითი, ისე პოეტური ქართული ვერსიები. ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა ასახავს ამ ვერსიათა ჩამოყალიბების მთელ პროცესს და ამასთან ქარ-

„ვისრამიანი“

ხელნაწერი წარმოგვიდგენს სპარსული „ვის ო რამინის“ ბეითურ სისტემას და უალრესად მნიშვნელოვანია სპარსული ტექსტის დადგენა-დაზუსტებისათვის. დამსურათებელი მიჰყვება მუსლიმურ-ალმოსავლურ ტრადიციას და ხელნაწერს ამკობს ამ გავლენის შედეგად შექმნილი მაირანიზებელი მინიატიურებით.

გადაწერილია მხედრულით, შავი მელნით; სათაურები და აბზაცების დასაწყისები სინგურითაა ნაწერი.

1729 6.

ქალალდი, 274 ფ., ზომა: 29×20 სმ.

S-3702



თული საერო ხელნაწერის დასურათების, საერო მინიატიურის განვითარების იმდროინდელ ტენდენციებს.

საერო ხელნაწერის მოხატულობა ერთიან მიმართულებად სწორედ ამ პერიოდში, XVI საუკუნიდან, ყალიბდება. იგი ეფუძნება სამონასტრო წიაღში შექმნილი სასულიერო წიგნისა და ფრესკული მხატვრობის გამოცდილებას. მის განვითარე-



„როსტომიანი“


ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“
("მეფეთა წიგნის") ნაწილი.
გადაწერილია კალიგრაფიული
მხედრულით, შავი მელნით;
სათაურები და აპზაცეპის
დასაწყისები სინგურითაა ნაწერი;
აქვს თავკაზმულობა; ზოგიერთი
ქალალდი ჭვირნიშნიანია.
ხელნაწერის მეორე ნაწილი
დასურათებულია მინიატიურებით.

XVII ს.

ქალალდი, 487 ფ.,
ზომა: 39.5×25.5 სმ.
S-1580

როსტომის სალაშქროდ წასვლა

ბაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია აგრეთვე ე. წ. ხალხურმა ნაკადმაც, თუმცა ამ ჯგუფის ქართული ხელნაწერები ძირითადად მაინც სპარსული ხელნაწერი წიგნის დასურათების გავლენის არეშია მოქცეული, რაც ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებითაა განპირობებული.



ნავზარის გამეფება



უთრუთისა და დევის შებრძოლება

„უთრუთიან-საამიან“

გადაწერილია მხედრულით, შავი მელნით; ხელნაწერი შემკულია მინიატიურებით, რომელთა ავტორია მამუკა თავაქარაშვილი. ილუსტრაციები – დევები, ბატალური სცენები, საჭურველი და სხვ. – ქართული ხალხური სახვის მანერითაა შესრულებული.



ბატალური სცენა

1647 6.

ქაღალდი, 148 ფ., ზომა: 31x20.5 სმ.

მომგებელი: ლევან II დადიანი

გადაწერი და მომხატველი: მამუკა თავაქარაშვილი

გადაწერის ადგილი: სამეგრელო

S-1594

აღნიშნული ტენდენცია თვალსაჩინოდ აისახება საგანგებო დაკვეთით შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, აგრეთვე პოპულარულ აღმოსავლურ სამიჯნურო-რომანტიკულ სიუჟეტებზე აგებული სპარსული თხზულებების („ლეილ-მაჯ-ნუნიანის“, „ვარდბულბულიანის“, „შამიფარვანიანის“, „იოსებ-ზილიხანიანის“) ლიტერატურული გადამუშავებების შემცველ ნუსხებში.



„იოსებზილიხანიანი“

ხელნაწერი წარმოადგენს
კომპილაციის
საფუძველზე შეკრულ
წიგნს. მდიდრულადაა
მოხატული. ნუსხაში
12 მინიატიურაა,
რომელთაგან ზოგიერთს
დაუყვება მცენარეული
ან გეომეტრიული
ორნამენტი. ნუსხის
მინიატიურები,
რომლებიც ადრეული
ისფაპანური სკოლისა და
შირაზული მინიატიურის
ნიმუშებთან ავლენს

აზიზ მეფისა და ზილიხას ქორწილი

გარდა მხატვრული ლიტერატურისა, საერო ხელნაწერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ისტორიული შინაარსის თხზულებებს; სამეფო ოჯახებისა თუ ფეოდალური სახლების წარმომადგენელთა დაკვეთით გადაიწერა როგორც საქართველოს, ასევე ცალკეული გვარის ისტორიის ამსახველი წიგნები. განსაკუთრებულად ღირებული იყო ქართველთათვის საისტორიო მწერლობის უნიკალური ძეგლი „ქართლის



ბაზიყას დატირება

მსგავსებას, სხვა
ხელნაწერიდანაა
ამოლებული და ჩაკრული
უფრო დიდი ზომის,
ტექსტისაგან თავისუფალ
ფურცლებზე. ტექსტი
გადაწერილია მხედრულით,
მაგრა მელნით; სათაურები
და ტაეპთა დასაწყისები
სინგურითაა ნაწერი.

XVI-XVII სს.

ქალალდი, 120 ფ.,

ზომა: 21.5×15.5 სმ.

S-1283

గ్రంథః

„ქართლის ცხოვრება“

მარიამ დედოფლისეული ნუსხა.
შეიცავს ძეგლის უძველეს
ტექსტს. გადაწერილია
მხედრულით, შავი მელნით,
სათაურები სინგურითაა ნაწერი;
აქვს ჭვირნიშნები სხვადასხვა
გამოსახულებით. იკითხება
ვახტანგ VI-ის მინაწერები.

1633-1646 66

ପ୍ରକାଶନ ପତ୍ର; 470 ଓ..

ზომა: 32.5×23 სმ.

დამკვეთი: ქართლის დედოფალი
მარიამი

S-30

ცხოვრება“, რომელიც მოიცავს ქართველი ერის ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნეებდე. ძეგლი აერთიანებს ლენტი მროველის, ჯუანშერის, უამთააღმწერლის, თამარისა და დავითის ისტორიკოსთა და სხვათა შრომებს. დღეისათვის არსებული ნუსხები (16 ნუსხა) ასახავს თაობების მიერ სხვა-დასხვა ეპოქაში კრებულის შესწორება-განახლების, მატება-შევსების პროცესს.

ქსნის ერისთვიანთ ისტორია
ხელნაწერის თავდაპირველი
ვარიანტი ერთ-ერთი
ფეოდალური გვარის პირადი
ბიბლიოთეკისათვის უნდა
ყოფილიყო შედგენილი. ნუსხის
ანდერძის მიხედვით, ეს
ისტორია უპოვიათ და ხელახლა
გადაუკუნერიათ XIX საუკუნეში.
ხელნაწერი გადაწერილია
მხედრულით, შავი მელნით.
წიგნში წარმოდგენილია
პრიმიტიული მხატვრობის წიმუში.

1828 წ.

ქაღლადი, 8 ფ., ზომა: 35×23 სმ.
გადამწერები: ენეინა მარიამ
ერისთავი და ქსნის ერისთავის ძე
გიორგი
H-2496



XVII-XVIII საუკუნეების საერო ხელნაწერთა შორის მრავალად მოიპოვება ქართული სამართლის წიგნები, რომელებიც მწიგნობართა ღრმა მეცნიერული შრომის, წყაროების შესწავლა-შეჯერების საფუძველზე შექმნილი ძეგლებია. „სჯულმდებლად“ წოდებული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულმა გააერთიანა ბიბლიური, კათალიკოსთა, ბერძნული და სომხური სამართალი, მოიცვა ბექა-ალბულასა და გიორგი ბრწყინვალის წიგნები, თავად მის მიერ შედგენილი მუხლები და შექმნა სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც ასახავს თანადროულ იურიდიულ ყოფასა და ეროვნულ მართლშეგნებას, წარმოაჩენს ძეგლის ავტორის ფართო ერუდიციასა და ეროვნულ მიზანსწრაფვას.

გვიანი შუასაუკუნეების ქართველმა მოღვაწეებმა დიდი ღვაწლი დასდეს სამეცნიერო შინაარსის წიგნების შექმნა-გავრცელებას. გადაიწერა ლექსიკოგრაფიული, ენციკლოპედიური, სამართლის, სამოგზაურო, გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული, ასტრონომიულ-ასტროლოგიური, სამედიცინო შინაარსის არაერთი წიგნი.

ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს XVII-XVIII საუკუნეთა განმანათლებლისა და პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბაორბელიანის „სიტყვის კონა“ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, განსაკუთრებული მოვლენა ქართული კულტურის, ენისა თუ სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში. მასში დაფიქსირებულია ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკა, გამოკრებილი ძველი ქართული ტექსტებიდან, ავტორის თანადროული ენის მონაცემები, მათ შორის ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარე, აგრეთვე „სხვათა სიტყვები“. ქართულ ხელნაწერთა ფონდებში დაცულია ლექსიკონის რამდენიმე რედაქცია. „ლექსიკონი ქართული“ მოღწეულია 50 ხელნაწერით, რომელთაგან 9 ავტოგრაფულია.

ქართული საზოგადოების ნაწილის სწრაფვა კათოლიკური ეკლესიასკენ, რაც განპირობებული იყო მუსლიმობის მოძალებითა და ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარებით, აფართოებდა დიპლომატიური ურთიერთობის არეალს და ქმნიდა ევროპულ კულტურასთან მეტი დაახლოების შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია სულხან-საბას მოგზაურობა იტალიასა და საფრანგეთში, რაც საინტერესოდ და ორიგინალურადაა ასახული მისი მემუარული ჟანრის თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“. სწორედ ამ ძეგლმა ჩაუყარა საფუძველი ევროპულ საგანმანათლებლო-სამწიგნობრო ტრადიციაში ცნობილი სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ქართულ ხელნაწერთა შექმნას.

၁၃၅

44

კოლეგია დასაცვისი წევნისა სამართლისა რომელი მხედა
სუს რომელი ჭრილი მაგ მსგ წევნის მრწვეროვლისა
უმ სოფლისთვის:

မြန်မာပြည်ရှိသေးသွေးနှင့် ဖော်ဆောင်စေလော်များများ

Հայոց Ըստավորական Միջազգային օրենսդրություն

ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული

შედგენილია ვახტანგ VI-ის მიერ;
უძღვის გრაფებში ჩასმული
მუხლობრივი საძირებელი და
მეორედ მოსვლის ფერადი
მინიატიურა; გადაწერილია
მხედრულით, შავი მელნით,
სათაურები – სინგარით

1708 6

ქალალიდი, 336 ფ., ზომა: 30×21 სმ.
გადამზერები: მაღალაძე და
ანონიმი
S-3683



სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“


ავტოგრაფული ნუსხა. ხელნაწერში შესულია ავტორის მიერ
შესრულებული ნახაზები და სქემები, ერთვის ავტორისეული ანდერძი.

1716 წ.

ქაღალდი, 305 ფ., ზომა: 23×16 სმ.

გადაწერის ადგილი: კონსტანტინეპოლი

H-1658



სულახან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“

ხელნაწერს უძღვის: „ანბანი სასწავლო ყრმათა მიერ, საქცევნი ხუთთა ასოთა, ათორმეტთა ზოდიაქთა სახელები“ და სხვ. ნუსხას ერთვის ბერის (სავარაუდოდ, საბას) მინიატიურული გამოსახულება

1730 წ.

ქაღალდი, 242 ფ., ზომა: 22×16.5 სმ.

გადამწერი: მხატვრის ძე ალექსი (მესხიშვილი)

S-4748

თუ სულხან-საბასთვის მნიშვნელოვანი იყო შეეკრიბა და მკითხველისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ევროპის შესახებ, ამ უანრში მოღვაწე XIX საუკუნის ორმა ავტორმა – ტიმოთე გაბაშვილმა და გიორგი ავალიშვილმა ყურადღება ჩვენი ისტორიული წარსულის უმნიშვნელოვანეს სივრცეს - ქრისტიანულ აღმოსავლეთს მიაპყრეს. მათ მიერ შექმნილი თხზულებები წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან წყაროებს, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველთა მოღვაწეობისა და მათი კულტურულ-პოლიტიკური კავშირების შესახებ აღმოსავლეთში.

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა ასახავს საერთო კულტურული არეალის თანადროულ მეცნიერულ ცოდნასა და საერთო ტენდენციებს. ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქართული საბუნებისმეტყველო შინაარსის სამეცნიერო თხზულებები, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი და გადმოკეთებული, რომლებიც წარმოაჩენს ქართველი მოაზროვნეების, მთარგმნელებისა და „გარდამთქმელების“ როლს შუასაუკუნეების მეცნიერული აზრის ფორმირებაში და მათ საგანმანათლებლო მიზანდასახულობას.

ერთ-ერთი ასეთი ადრეული და მრავალმხრივ საყურადღებო ნუსხაა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი A-65, შერეული კრებული, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სახის სასულიერო თხზულებებს, აგრეთვე ასტროლოგიური შინაარსის ძეგლს „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“. იგი აღმოსავლურენოვანი (არაბულ-სპარსული) წყაროდანაა გადმოკეთებული და ეხება ციურ ეტლთა დახასიათებას, მთვარის მოძრაობას, მოძღვრებას შვიდი მნათობის შესახებ. ძეგლი წარმოადგენს ამ ტიპის ერთ-ერთ ყველაზე ძველ დათარიღებულ თხზულებას (1188-1210 წწ.) თვით აღმოსავლურ ტრადიციაშიც. ხელნაწერი უაღრესად საყურადღებოა მოხატულობის თვალსაზრისითაც და დიდ მსგავსებას იჩენს სპარსულ სამინიატიურო ხელოვნებასთან. აღორძინების ხანაში (XVII-XVIII სს.) იგი ქართველ განმანათლებელთა - ქართლის მეფის ვახტანგ VI-ისა და მეფე არჩილის ყურადღების საგანიც იყო.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია სამეცნიერო თხზულებების შემცველი მრავალრიცხოვანი ხელნაწერები. ეს თხზულებები შემდეგ დარგებს განეკუთვნება: ასტრონომია-ასტროლოგია, კალენდარული მასალა და კოსმოგონია, მინერალოგია, ქიმია, მათემატიკა, მედიცინა. ამ ძეგლთა თარგმნაში, შედგენასა თუ გადამუშავებაში გამორჩეული როლი შეასრულეს ქართველმა მოღვაწეებმა, უპირველესად კი დიდ-



ათონის მონასტერი

ტიმოთე გაბაშვილი, „მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა“

ნუსხაში შესულია ტიმოთე გაბაშვილის თხზულებები, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტურ წყაროებზე აგებულ ივირონის ისტორიას.

XVIII ს.

ქალალდი, 168 ფ., ზომა: 19×14 სმ.

H-842

**გიორგი ავალიშვილი,
„მოგზაურობა“**

ავტოგრაფული ნუსხა; თხზულება
დაწერილია დღიურის სახით,
მოიცავს პერიოდს 1819 წლის
6 ივლისიდან 1820 წლის 17
ივლისამდე; იყოფა 2 ნაწილად:
მგზავრობა თბილისიდან
იერუსალიმამდე და პირუკუ –
იერუსალიმიდან თბილისამდე.
ნაწერია ნუსხურით და წვრილი
კალიგრაფიული მხედრულით,
შავი მელნით. ახლავს
მოგზაურობის რუკა, ნაგებობათა
გეგმები, გრავიურებისა და
ნახატების ფერადი პირები.

1819-1820 წწ.
ქაღალდი, 201 ფ., ზომა: 30×24 სმ.
S-450





**ვახუშტი ბაგრატიონი,
გეოგრაფია**

ხელნაწერი ავტოგრაფული
ნუსხითაა შემონახული; იგი
მოიცავს მსოფლიოს გეოგრაფიის
საკითხებს და ნარმოადგენს
ევროპული გეოგრაფიულ-
კარტოგრაფიული ცოდნის
შემოტანის ცდას. ნანერია
მხედრულით, შავი მელნით.

1752 წ.


ევროპული ქაღალდი, 144 ფ.,
ზომა: 50×22 სმ.

გადაწერის ადგილი: რუსეთი
A-717



ვახუშტი ბაგრატიონი, გეოგრაფია





ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის



თხზულება შედის შერეულ კრებულში. ხელნაწერის დასაწყისში ქუფური წარწერაა; მთვარის ფაზების, მისი ამოსვლისა და ჩასვლის გამოსახულებისა და დიაგრამის შემდეგ წარმოდგენილა ზოდიაქოს ნიშანთა დახასიათება, რომელთაც ერთვის დახვენილი, მკაფიო, მოქნილი და ფაქიზი კონტურით, ბეწვის კალმით შესრულებული მინიატიურა. მოხატულობა დიდ მსგავსებას იჩენს სპარსული სამინიატიურო ხელოვნების ნიმუშებთან. წაწერია ნუსხურით და მხედრულით, მოყვავისფრო მელნით, სათაურები – სინგურით.

1188-1210 წ.

ქაღალდი, 214 ფ., ზომა: 30.5×23 სმ.

გადამწერები: ესაია და ანონიმი

A-65



მა კულტურულმა მოღვაწემ, ვახტანგ VI-მ. მის მიერ თარგმნილ-„გარდათქმული“ ზოგიერთი ძეგლი ბრწყინვალე ქართული ხელნაწერითა შემონახული, რომელსაც ხშირად ერთვის სამეცნიერო აპარატი – საძიებლები, ტერმინთა განმარტებები, სპეციალური ლექსიკონები და სხვ., რაც ამ ძეგლებს ფართო საზოგადოებისათვის გასაგებსა და მისაწვდომს ხდიდა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულია უძველესი სამედიცინო შინაარსის მდიდარი კოლექცია, რომელიც შეიცავს ქართულ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში პოპულარულ სამედიცინო-სახმარ წიგნებს, მათ შორის „უსწორო კარაბადინის“, ე. თაყაიშვილის მიერ „ენციკლოპედიურ სამედიცინო ნაშრომად“ წოდებულ „წიგნი სააქიმოის“, დავით ბაგრატიონის მიერ შედგენილ „იადგიგარ დაუდის“ ნუსხებს. ეს

გვიანდელი
ასტროლოგიური
კრებული

1814 ፩.
ქაღალდი, 100 ዓ.,
ზომა: 31.5×19.5 სმ.
A-1580

ზიჯი - ვარსკვლავთა კატეპლოგი

ძეგლი წარმოგვიდგენს შუა საუკუნეების ცნობილი ასტრონომის ულულბეგის (XV ს.) შრომის ვახტანგ VI-ის მიერ შესრულებულ თარგმანს. ულულბეგის კატალოგი დიდი მნიშვნელობის ფაქტია ასტრონომიული აზროვნების განვითარებაში. იგი საუკეთესოდაა მიჩნეული ტიხო დე ბრაჟეს კატალოგამდე (XVI ს.). ვახტანგმა თხზულება ირანში ყოფნისას თარგმანი. ტექსტს ერთვის ცხრილები და ვახტანგისეული დიდი და მცირე

908

სამი დღე		სამი დღე		სამი დღე		სამი დღე	
1	2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31	32
33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48
49	50	51	52	53	54	55	56
57	58	59	60	61	62	63	64
65	66	67	68	69	70	71	72
73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88
89	90	91	92	93	94	95	96
97	98	99	100	101	102	103	104
105	106	107	108	109	110	111	112
113	114	115	116	117	118	119	120
121	122	123	124	125	126	127	128
129	130	131	132	133	134	135	136
137	138	139	140	141	142	143	144
145	146	147	148	149	150	151	152
153	154	155	156	157	158	159	160
161	162	163	164	165	166	167	168
169	170	171	172	173	174	175	176
177	178	179	180	181	182	183	184
185	186	187	188	189	190	191	192
193	194	195	196	197	198	199	200
201	202	203	204	205	206	207	208
209	210	211	212	213	214	215	216
217	218	219	220	221	222	223	224
225	226	227	228	229	230	231	232
233	234	235	236	237	238	239	240
241	242	243	244	245	246	247	248
249	250	251	252	253	254	255	256
257	258	259	260	261	262	263	264
265	266	267	268	269	270	271	272
273	274	275	276	277	278	279	280
281	282	283	284	285	286	287	288
289	290	291	292	293	294	295	296
297	298	299	300	301	302	303	304
305	306	307	308	309	310	311	312
313	314	315	316	317	318	319	320
321	322	323	324	325	326	327	328
329	330	331	332	333	334	335	336
337	338	339	340	341	342	343	344
345	346	347	348	349	350	351	352
353	354	355	356	357	358	359	360
361	362	363	364	365	366	367	368
369	370	371	372	373	374	375	376
377	378	379	380	381	382	383	384
385	386	387	388	389	390	391	392
393	394	395	396	397	398	399	400
401	402	403	404	405	406	407	408
409	410	411	412	413	414	415	416
417	418	419	420	421	422	423	424
425	426	427	428	429	430	431	432
433	434	435	436	437	438	439	440
441	442	443	444	445	446	447	448
449	450	451	452	453	454	455	456
457	458	459	460	461	462	463	464
465	466	467	468	469	470	471	472
473	474	475	476	477	478	479	480
481	482	483	484	485	486	487	488
489	490	491	492	493	494	495	496
497	498	499	500	501	502	503	504
505	506	507	508	509	510	511	512
513	514	515	516	517	518	519	520
521	522	523	524	525	526	527	528
529	530	531	532	533	534	535	536
537	538	539	540	541	542	543	544
545	546	547	548	549	550	551	552
553	554	555	556	557	558	559	560
561	562	563	564	565	566	567	568
569	570	571	572	573	574	575	576
577	578	579	580	581	582	583	584
585	586	587	588	589	590	591	592
593	594	595	596	597	598	599	600
601	602	603	604	605	606	607	608
609	610	611	612	613	614	615	616
617	618	619	620	621	622	623	624
625	626	627	628	629	630	631	632
633	634	635	636	637	638	639	640
641	642	643	644	645	646	647	648
649	650	651	652	653	654	655	656
657	658	659	660	661	662	663	664
665	666	667	668	669	670	671	672
673	674	675	676	677	678	679	680
681	682	683	684	685	686	687	688
689	690	691	692	693	694	695	696
697	698	699	700	701	702	703	704
705	706	707	708	709	710	711	712
713	714	715	716	717	718	719	720
721	722	723	724	725	726	727	728
729	730	731	732	733	734	735	736
737	738	739	740	741	742	743	744
745	746	747	748	749	750	751	752
753	754	755	756	757	758	759	760
761	762	763	764	765	766	767	768
769	770	771	772	773	774	775	776
777	778	779	780	781	782	783	784
785	786	787	788	789	790	791	792
793	794	795	796	797	798	799	800
801	802	803	804	805	806	807	808
809	810	811	812	813	814	815	816
817	818	819	820	821	822	823	824
825	826	827	828	829	830	831	832
833	834	835	836	837	838	839	840
841	842	843	844	845	846	847	848
849	850	851	852	853	854	855	856
857	858	859	860	861	862	863	864
865	866	867	868	869	870	871	872
873	874	875	876	877	878	879	880
881	882	883	884	885	886	887	888
889	890	891	892	893	894	895	896
897	898	899	900	901	902	903	904
905	906	907	908	909	910	911	912
913	914	915	916	917	918	919	920
921	922	923	924	925	926	927	928
929	930	931	932	933	934	935	936
937	938	939	940	941	942	943	944
945	946	947	948	949	950	951	952
953	954	955	956	957	958	959	960
961	962	963	964	965	966	967	968
969	970	971	972	973	974	975	976
977	978	979	980	981	982	983	984
985	986	987	988	989	990	991	992
993	994	995	996	997	998	999	1000

1735-1737 წწ.

ქალალდი (ჭვირნიშნიანი), 557 ფ., ზომა: 30.5x21 სმ.

გადაწერის ადგილი: რუსეთი

S-161


მათემატიკა

ხელნაწერი კრებული, რომელშიც წარმოდგენილია ორი ნაწილი: მათემატიკა და „საარტოლერიო წიგნი“. მათემატიკა შეგენილია ვახტანგ VI-ის მიერ ვინძე მიხეილ ელივიჩთან თანამშრომლობით. ნაშრომი შეიცავს:

მათემატიკას, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიას. ტექსტში ჩართულია ნახაზები. ზოგიერთი მონაკვეთი თავად ვახტანგ VI-ის ხელითაა შესრულებული. გადაწერილია მხედრულით, სათაურები – სინგურით.


1725 წ.

ქაღალდი, 247 ფ., ზომა: 31×20 სმ.
გადაწერის ადგილი: მოსკოვი
S-167



კომპილაციური ნაშრომებია, რომლებიც ემყარება იმდროისათვის ცნობილ ქართულ და აღმოსავლურ სამედიცინო შრომებს (ზაქარია არ-რაზის, ავიცენას თხზულებებს).

ვეტერინარული ხელნაწერი წიგნები საქართველოში XVII საუკუნიდან გვხვდება. მათ შექმნაში, თარგმნა-გადმოკეთებაში დიდი წვლილი მიუძღვით ვახტანგ VI-ს, გიორგი XII-ის შვილებს – იოანე და ბაგრატ ბატონიშვილებს. ცხენის, ძალლისა და ფრინველთა კარაბადინების შემცველი ზოგიერთი ხელნაწერი ქართული კალიგრაფიისა და, ზოგადად, წიგნის კულტურის თვალსაჩინო ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს.



ვახტანგ VI, „ქიმიის წიგნი“

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ ძეგლში ასახულია სპარსული და რუსული წყაროების კვალი; ამასთანვე მასში წარმოდგენილია ორიგინალური პარაგრაფებიც. ხელნაწერი გადაწერილია ვახუშტი ბაგრატიონის ხელით; მის მიერვეა შესრულებული ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოთა წახაზები. გადაწერილია მხედრულით, შავი მელნით, სათაურები – სინაზურით.

XVIII Տաղապետություն 40-րդ ճշգրիտ բաժնում

ქალაქი, 72 ფ., ზომა: 16×10 სმ.

გადამწერი: ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი)

გადაწერის ადგილი: რუსეთი

S-3721



ავგაროზი

თილისმის ფუნქციის მცირე ხელნაწერი, ფართო სოციუმში გავრცელებული და პოპულარული. ამგვარი ავგაროზების 200-მდე ნიმუში თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით. სანიმუშოდ მოტანილი ავგაროზი წარმოადგენს ერთი მთლიანი ქაღალდისგან გამოჭრილ, ერთმანეთთან დაკავშირებულ 24 მრგვალ ნაჭერს, რომელთაგან პირველ ორზე ფერადებით გამოსახულია ქრისტეს სახე. დანარჩენი 22 ნაჭერი უჭირავს ტექსტს, რომელიც ჩანსრილია მრგვალად მოხაზულ ფერად წრეებში. ხელნაწერი დევს საგანგებოდ მოქარგულ ძველებურ ბოლჩაში, რომელსაც გამოკრული აქვს აბრეშუმის სარჩული. ბოლჩა წარმოადგენს ნაქარგობის საყურადღებო ნიმუშს.

XIX ს.

ქაღალდი, ზომა: 35×23 სმ.

Q-283

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ საერო ხელნაწერთა შორის თავიანთი დანიმულებითა და იერსახით გამორჩეული ე. ნ. სახალხო, საოჯახო მოხმარების, თილისმის ფუნქციის მქონე მცირე წიგნები – „ავგაროზები“, რომელთაგან ზოგიერთი შეიცავდა „ავგაროზის ეპისტოლეს“, წმინდა გიორგის ლოცვებს, სამკურნალო შინაარსის სხვადასხვა ლოცვასა და სახარების მონაკვეთებს.

საცერი მასალა

ქართულ ხელნაწერ ტრადიციაზე საუბრისას წიგნისა თუ დოკუმენტის შინაარსის, ფორმისა და მხატვრული მრავალ-ფეროვნების პარალელურად უნდა შევჩერდეთ საწერ მასალა-ზე. სწორედ იგი წარმოადგენს წიგნის ხანგრძლივობის, მისი მხატვრული იერსახის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საფუძვ-ელს. როგორც უკვე აღინიშნა, ქართული მწიგნობრობა ერთ-დროულად დაიწყო როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ – ქრისტიანულ აღმოსავლეთში. საზღვარგარეთის ქრისტიანული ცენტრებისაკენ ქართველი მწიგნობარი ბერების ლტოლვას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა ერთიან სარწმუნოებრივსა და კულტურულ სივრცესთან თანაარსებო-ბის სურვილი. სწორედ ამ სურვილმა აათვისებინათ მათ ის-ტორიული სირია-პალესტინისა და ბიზანტიის კულტურული გამოცდილება და, ამასთანავე, ხელი შეუწყო ხელოსნობის ეროვნული, ტრადიციული დარგების შემდგომ განვითარებას. რადგან წიგნის შექმნა წარმოებითი პროცესია, ბუნებრივია, ქართულ ხელნაწერ კულტურას უნდა მიეღო უკვე არსებული და აპრობირებული სამწიგნობრო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხელნაწერი ტრადიციის დასაწყისისთ-ვის (V ს.) ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო საწერი მასალის ორი სახეობა – პაპირუსი (ჭილი) და ეტრა-

ტი, ქართულმა მწიგნობრობამ უპირატესობა ტყავის მასალას, ანუ ეტარატს მიანიჭა. ამგვარ არჩევანს, ბუნებრივია, ეკონომიკური საფუძველიც ჰქონდა. საწერი მასალის – პაპირუსის უცხოეთიდან შემოტანა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ფინანსურ დანახარჯებთან მაშინ, როდესაც ტყავის წარმოება და დამუშავება საქართველოში ხელოსნობის ტრადიციულ დარგს განეჯუთვნებოდა. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტიც კმარა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, სადუღარას ველის არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩნდა ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანის ტყავის სამკუთხა ტვიფრული დროშები. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ტყავის ნედლეულის საწერ მასალად გარდაქმნის ტრადიცია ქართულ კულტურას ქრისტიანული ხმელთაშუა ზღვის აუზის სამწიგნობრო სივრციდან უნდა შეეთვისებინა. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს როგორც ტერმინი „ეტრატი“, რომელიც მომდინარეობს ბერძნული tetradion-იდან და თავდაპირველი მნიშვნელობით ოთხი ფურცლისაგან შედგენილ რვეულს აღნიშნავს, ასევე ბერძნული kharte-ს ანალოგით შემოტანილი ფურცლის აღმნიშვნელი „ქარტა“. სხვათა შორის, ქრისტიანობის გავრცელებამ და წიგნიერი ცხოვრების დასაწყისმა ბიძგი მისცა ეტრატის წარმოებას საქართველოში. მწერლობის დასაწყისათვის საწერი მასალის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი – ბალნისა და ხორციანი ნაწილის მოსაცილებლად ტყავის კირიან წყალში დალბობა, ბასრი აირალით გაფხექა, გლუვი ზედაპირის მისაღებად ტყავის კვლავ კირნარევ წყალში მოთავსება, გადაჭიმვა-გაშრობა-გალესვა, ფურცლის გათეთრების მიზნით კვლავ კირითა და ცარცით მისი დამუშავება – სრულად იყო ათვისებული, რადგანაც V-VI საუკუნეების ქართული პალიმფსესტები გადაწერილია კარგად დამუშავებულ მაღალი ხარისხის ეტრატის ფართო ფურცლებზე, ტექსტი ნაწერია გაშლილად, ფურცლის ეკონომიის გარეშე, რაც ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში ტყავის საწერი მასალის მოპოვება გასაჭირს არ წარმოადგენდა. ფურცლის დაკაბადონების, ანუ ტექსტის მასზე განაწილების, ფართე არშიების გამოყოფის ადრეული წესი არ შეცვლილა არც წიგნის რეპერტუარის გაფართოვებისა და მისი მოცულობის ზრდის შემდგომ. IX-X საუკუნეებში საქართველოში მაღალი ხარისხის ეტრატზე გადაწერილი ყოველდღიური დანიშნულების სამონასტრო თუ საგანგებო მნიშვნელობის ხელნაწერი წიგნები

ნაწერია ფართოდ, გაშლილად, ფურცლის დაუზოგავად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ტყავის საწერი მასალას წარმოებამ სათანადო სიმაღლეს მიაღწია.

სხვაგვარ ვითარებას ვხვდებით საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებში შექმნილ ქართულ წიგნებში. მათი გადამწერები ეკონომიურად იყენებენ ტყავის ფურცელს, ხშირად ტექსტებს იწერენ ჩამონაჭერ გვერდებზეც კი. ამგვარ ეკონომიას განაპირობებდა ის გარემოება, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნები იძულებული იყვნენ შეესყიდათ საწერი მასალა ან ესარგებლათ სკრიპტორიუმში არსებული მარაგით, რომელიც განკუთვნილი იყო არა მხოლოდ ქართული ხელნაწერი წიგნისთვის.

ქართველ მწიგნობარ ბერთა იძულებით მდგომარეობას – შეესყიდათ ან ესარგებლათ საწერი მასალის სკრიპტორიუმში არსებულ მარაგით – უნდა ვუმადლოდეთ ჭილზე გადაწერილი

ეტრატი. პალიმფსესტი.


ქვედა ფენა. V-VII სს.

გაშლილი ფურცლის ზომა:

16x25 სმ.

H-1329





ეტრატი. X ს.

ფურცლის ზომა: 19.8×15.3 სმ.

A-38

ორად ორი ქართული ხელნაწერის არსებობასაც. ეს არის X
საუკუნეში პალესტინაში შექმნილი წიგნები – მთელი წლის სა-
დღესასწაულო საგალობელთა კრებული – იადგარი და ფსალ-
მუნის ფრაგმენტი. დღეს მეორე მათგანი დაცულია პეტერ-
ბურგში, რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ხოლო პირველი
– საბაზმიდაში გადაწერილი ხელნაწერი – კორნელი კეკელიძის
სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.
საინტერესოა, რომ ამ წიგნში საწერ მასალად გამოყენებულია
არა მხოლოდ პაპირუსი, არამედ ეტრატიც. სწორედ ამიტომაც
ეს კრებული ჭილ-ეტრატის იადგარის სახელწოდებითაა ცნო-
ბილი. ამ ორი მასალის ერთდროული, შერეული გამოყენება
გვაფიქრებინებს, რომ უკვე X საუკუნეებისათვის თვით პალ-
ესტინაში ჭილი წარმოადგენდა იშვიათ და, შესაძლოა, ძვირად



ჭილი, ანუ პაპირუსი. X ს.

ზომა: 11.2×10 სმ.

H-2123


ღირებულ მასალას. გადამწერმა ისარგებლა მონასტრის სკრიპ-
ტორიუმის მარაგით და იძულებული გახდა რიგ შემთხვევაში
გამოეყენებინა უკვე ერთხელ ნაწერი და შემდგომ გადარეცხ-
ილი ეტრატი. სწორედ ამიტომაც ჭილ-ეტრატის რამდენიმე
ფურცელი პალიმფსესტია, ამათგან ზოგის პირველი ფენა ქა-
რთულია, ზოგისა კი – ბერძნული.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის სკრიპ-
ტორიუმებში ქართველი ბერძნის სამწიგნობრო მოღვაწეობას
ხშირ შემთხვევაში ფინანსურად უზრუნველყოფდნენ ქართვე-
ლი მეფე-დიდებულები და საქართველოს ეკლესია. მწიგნობრე-
ბი შემოწირულობას იღებდნენ ზოგჯერ ფულადი და ზოგჯერ
კი წიგნისთვის საჭირო მასალის სახით. ამგვარი შეწირულო-
ბები განსაკუთრებით თავს იჩენდა ე. წ. „საზეიმო“ წიგნების



ოქრომელანი. ბუნებრივი მინერალებისგან
დამზადებული მელან-სალებავები. 1054 წ.

A-484



ძირითადი ტექსტი ყავისფერი მელნით,
მნიშვნელოვანი ადგილები – სინგურით. 1054 წ.

A-484

გადაწერისა და საგანგებო დაკვეთის დროს. ამ შემთხვევაში
გადამწერები თავს უფლებას აძლევდნენ თავისუფლად გამო-
ეყენებინათ მათ ხელთ არსებული საწერი მასალა, შეერჩიათ
როგორც მაღალი ხარისხის ფურცელი, ასევე სხვადასხვა
შეფერილობის, ზოგჯერ კი ოქროთი დამზადებული მელანი.
მაგალითად, 1008 წელს ათონის ქართველთა მონასტერში –
ივირონში – ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი იოანე ოქ-
როპირის „მათეს თავის თარგმანების“ შემცველი წიგნის შექმ-
ნისათვის საჭირო მასალა შენირულობის სახით გაიღეს ამავე
პერიოდის ცნობილმა მნიგნობრებმა გიორგიმ და მიქაელმა,
ალავერდის ოთხთავის მოქრული ვერცხლის ერთიან ჭედურ
ყდაში (მოგვიანებით იგი გაიძარცვა და XVII საუკუნეში ხე-
ლახლა შეიმოსა) ჩასმა ფინანსურად უზრუნველყო XI საუკუ-
ნის ბალვაშთა დიდი ფეოდალური სახლის წარმომადგენელმა
ივანე ლიპარიტის ძემ. ამგვარი მაგალითების მოხმობა შორს
წაგვიყვანს.

და მაინც, მიუხედავად ტექნოლოგიური პროცესის ერთიანობისა, სხვადასხვა ხელნაწერში გამოყენებული ეტრატი ხარისხობრივად სხვაობს ერთმანეთისგან. როგორც ჩანს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნედლეულად გამოყენებული ცხოველის ტყავის (თხა, ცხვარი, ხბო) ფაქტურასა და, რაღა თქმა უნდა, უშუალოდ წიგნის შექმნის პროცესში ფურცლის საწერად დამუშავებას, რაც უკვე სამონასტრო-სამწიგნობრო ცენტრებში არსებული სახელოსნოებისა თუ ამ ხელობას დაუფლებული პირების მოვალეობას წარმოადგენდა. შესაბამისად, მწიგნობრულმა საქმიანობამ ბერ-მონაზვნებს ცალკეული ხელობები აათვისებინა. გადამწერი კალიგრაფების გვერდით იყვნენ უშუალოდ ის პირები, რომლებიც დაოსტატებული იყვნენ ფურცლის საწერად გამზადებაში. ამ ხელობას ანდერძ-მინაწერებში სპეციალური შესიტყვება – „შექმნა ეტრატისა“ ან „კაზმვა ეტრატისა“ აღნიშნავს. XIV საუკუნის კალიგრაფი ავგაროზ ბანდაისძე გვამცნობს, რომ „შექმნა ეტრატისა“ წიგნის წარმოებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ხელობაა. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეტრატის ოსტატებსაც მოიხსენიებენ წიგნის ანდერძ-მინაწერებში. ათონის მთის ქართული კოლექციის ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „შეიწყალენ ღმერთმან ჩუქენი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელყოფილი, უღირსსა თანა სულსა ცოდვილსა, რომელ ამის წიგნისა ეტრატი ყოველი მას უკაზმავს.“

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ბერ-მონაზონთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რამდენიმე ხელობას ფლობდნენ. მაგალითად, X საუკუნის ქართველი მწიგნობარი, საბანმიდასა და შემდგომ სინის მთაზე მოღვაწე იოანე-ზოსიმე არა მხ-

აღდგენის მიზნით გაკერილი
ეტრატი



XII საუკუნის I მეოთხედი. S-4999



978-988 წე. S-425



ეტრატის დაზიანებული
ფურცლები. X ს.

H-2065



ეტრატზე შესრულებული დაზიანებული
მინიატიურები. XII ს.

Q-84

ოლოდ რედაქტორი და გადამწერი იყო, არამედ ყდის ოსტატიც. საინტერესოა ისიც, რომ XI საუკუნეში კონსტანტინეპოლთან ახლოს მდებარე ხორას მონასტერში მოღვაწე ერთ-ერთ ცნობილ ქართველ კალიგრაფ ბასილი მალუშის ძეს ზედნოდებად მიუღია „ეტრატაი“. 1031 წელს გადაწერილ მცირე სჯულის კანონში იგი ასე მოიხსენიებს საკუთარ თავს: „ბასილი ეტრატაი მალუშის ძისაა“.


ეტრატის საწერად მომზადება გულისხმობდა დარბილების მიზნით ეტრატის დაფარვას კვერცხის ცილისაგან მიღებული ემულსით, შემდგომ მის დახაზვას სახაზავით, ფურცლის დაკაბადონებას („კაბადონი“ ენოდებოდა ნაწერ გვერდს, ხოლო ორ სვეტად ნაწერი გვერდის ნახევარს ანუ ერთ სვეტს – „გვერდი“), სტრიქონთა შორის თანაბარი ინტერვალებისა და ტექსტის გვერდითა თავისუფალი სივრცის – არშიების სიმეტრიულ გამოყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ ეტრატის ხარისხი და მისი ოსტატის დახელოვნება იმაშიც მუღავნდებოდა, თუ მკითხველისათვის რაოდენ შეუმჩვევლად ავლებდა იგი სტრიქონთა სისწორისათვის განკუთვნილ ხაზებს. ქართულ ხელნაწერ წიგნებში ამგვარი დახაზვა მკვეთრად მხოლოდ სიძველისაგან გაუფერულებულ ფურცლებზე ჩანს.



ეტრატი. გრაგნილი. XIII ს.
„ვაჲანი ქვაბთა განგება“
სულ 13 კეფი
ერთიანი ზომა: 562×19 (27.5)
Ad-933

მოქნილი და რბილი საწერი მასალა – ეტრატი – გამოიყენებოდა არა მხოლოდ წიგნების, არამედ გრავნილებისათვისაც. სწორედ აქ ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მის ხარისხს, თანაბრად მოქრილი კეფების გადაბმისა და მათი დაცალკევების შემთხვევაში გრავნილის მთლიანობის აღდგენის ოსტატობას. ეს საქმიანობაც, როგორც ჩანს, გადამწერის მოვალეობას შეადგენდა.

ეტრატმა საკმაოდ დიდხანს გაძლო ქართულ ტრადიციაში. იგი წამყვან პოზიციას ინარჩუნებს XIV საუკუნემდე, მაგრამ შემდგომაც, XVII-XVIII საუკენეებში, ეტრატზე იწერება კერძო მფლობელობისათვის განკუთვნილი წიგნები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი ფაქტები ტრადიციისადმი ერთგულებითაა ნაკარ-



არაბული ქაღალდი.

1188-1210 წ.

ზომა: 23x30.5

A-65

ნახევი. ამ წიგნებში გამოყენებული საწერი მასალის ხარისხი საგრძნობლად ეცემა. როგორც ჩანს, ეტრატის წარმოებამ ამონურა საკუთარი არსებობა და იგი ცალკეული ინდივიდის საქმიანობის სფეროთი შემოიფარგლა.

X-XI საუკუნიდან ეტრატს თანდათანობით მეტოქეობას უწევს ქაღალდი. ამ მასალაზე გადაწერილი პირველი ქართული ხელნაწერი წიგნები შექმნილია ქრისტიანული აღმოსავლეთის ცენტრებში – სინის მთასა (Sin.O.Geo-34) და შავ მთაზე (Q-37);

აღნიშნული ეპოქიდან ეს საწერი მასალა თანდათანობით იკავებს ადგილს ქართული ხელნაწერის შექმნის საქმეში. **XI-XII საუკუნეების მიჯნაზე იგი ჩნდება არა მხოლოდ საზღვარგარეთის ცენტრებში, არამედ საქართველოში გადაწერილ ხელნაწერებშიც.**

ამ საწერი მასალის საქართველოში შემოტანის ისტორია კარგად ასახავს იმ სავაჭრო და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომელთა ფონზეც ვითარდებოდა ქართული სამწიგნობრო ტრადიცია. თავდაპირველად ქაღალდი ჩვენში აღმოსავლეთიდან, უშუალოდ არაბული სივრციდან შემოვიდა, რაზეც მეტყველებს მისი სახელწოდებაც. „ქაღალდი“ // „ქაღალდი“ არაბული „ქაღიდ//ქაღალდის“ შესატყვისი ტერმინებია. ცნობები საქართველოში ქაღალდის წარმოების შესახებ არ გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ იგი შემოდიოდა ნახევარფაბრიკატის სახით. საწერ ფურცლად მისი დამზადება, ანუ სახამებლითა და კვერცხის ცილისაგან მიღებული ემულსით დაფარვა, სალეს ფიცარზე მოთავსება და გლუვი საგნით ან ცხოველის ეშვითა თუ კბილით გაღესვა ევალებოდა წიგნის შექმნაში მონაწილე ამ ხელობის მცოდნე პირს. საწერი ქაღალდის მომზადების პროცესში მას თავდაპირველი მასალის ფაქტურის მიხედვით უნდა განესაზღვრა გახამების ხარისხი, მელან-საღებავის შემადგენლობა და თავისებურებები, წერის ტექნიკაც კი. საწერი მასალის ხარისხი სწორედ მის ოსტატობაზე იყო დამოკიდებული. ხშირად გადამწერი ქაღალდს მზა პროდუქციის სახით იღებდა და ზოგჯერ ჩიოდა კიდეც მისი დაბალი ხარისხის გამო: „გლახად ქაღალდი ასეთსა ჰქვან... აქა განვლო მელანმან.“ ზოგჯერ გადამწერი იძულებული იყო ხელახლა გაეხამებინა და გაელესა მასალა: „ვად, რა ჭირში ვყევარ ქაღალდსა. გავახამო, მელანს არ მოიკიდებს, თუ არა შიგ გავარდების. გებრალებოდე, კეთილ მუშაკნო, ღვთისათვს ნუ მწყევთ.“



ჭვირნიშანი. ევროპული ქაღალდი.

1735 წ.

Q-1493

საწერი იარაღების გამოსახულება
მინიატიურებზე. 1054 წ.
A-484



ქალალდის გახამება-გალესვის, კვერცხის ცილის ემულ-
სიისა და სალებავების დამზადების შესახებ არსებულმა ცოდ-
ნამ თავი მოიყარა XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ შედგე-
ნილ ქიმიის წიგნში. პირველი სტამბის დამაარსებელი და ბე-
ჭდური საქმიანობის მოთავე მეფე ამ შრომაში თავს უყრის
წიგნის წარმოებასთან დაკავშირებულ ტრადიციულსა და მის
თანამედროვე ევროპულ სივრცეში არსებულ ცოდნას.

მოგვიანებით შემოდის სპარსული (XV-XVI სს. მიჯნა,
XVII ს. დასაწყისი), იტალიური (XV ს.), ე. წ. აღმოსავლური,
რომლის წარმომავლობაც დაუდგენელია (XV-XVI სს.), ფრან-
გული (XVIII ს.) და რუსული ფერადი (XVIII ს. დასასრულიდან)
ქალალდი, მათ შორის ჭვირნიშნიანი.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას საწერ საშუალებებსა და
მელანზე. საწერ იარალს ძველ ქართულ ტრადიციაში „აღ-
საწერელნი წიგნისანი“ ენოდებოდა. მართალია, თავდაპირ-
ველად, V-VI საუკუნეებში, ტერმინი „საწერელი“ ცვილოვან
ტაბულებზე წერისათვის საჭირო გრიფელის მნიშვნელობით
იხმარებოდა, მაგრამ შემდგომ მან გაზოგადებული შინაარ-
სი შეიძინა და მელნისა და კალმის შენახვა-დაცვისათვის
საჭირო მთელ კომპლექტს გულისხმობდა. XVII-XVIII საუკუ-
ნეების მზითვის წიგნების მიხედვით ამ კომპლექტში შედიოდა
საწერი იარალის თევზის კბილისა ან სადაფისაგან დამზადე-

ბული, ზოგჯერ მოვერცხლილი საცავი ყუთი, ლერწმის რამდენიმე კალამი, „ყალამთარში“ (სპარსული „ყალამდანიდან“), ანუ კალმის სათლელი ბასრი დანა და მაკრატელიც კი. მასშივე შედიოდა სამელნეც. საქართველოში XVIII საუკუნის დასარულამდე ეტრატსა და ქაღალდზე წერისათვის მხოლოდ ლერწმის კალმები გამოიყენებოდა.

XVIII საუკუნიდან თანდათანობით შემოვიდა ფრთის კალმები. ცალკე უნდა გამოიყოს ლითონის საწერი საშუალებებიც, რომლებსაც XVIII საუკუნემდე ლითონისავე ზედაპირზე წერისათვის იყენებდნენ.

რაც შეეხება მელანს, ძირითადად გვხვდება შავი, ყავის-ფერი, წითელი, მწვანე, იშვიათად ლურჯი საღებავნარევი მელანი და ოქრომელანი. ბერძნული to melan (შავი საწერ-საღებავი) გავლენით შემოსულ ტერმინ „მელანის“ პარალელურად ქართულში დადასტურებულია „შემგბარი“ და „წამალი“, რაც დუღილის შედეგად მიღებულ საწერ სითხეს გულისხმობს. მუქი მელნის აღსანიშნავი ტერმინია „შავი“, ხოლო წითელი მელნისა – „წითელი“ და „სინგური“.

მელნის გამძლეობა და ფერი დამოკიდებული იყო მის შემადგენელ მინერალებსა და ქიმიურ ნაერთებზე, მისი წარმოებისა და საწერ ფურცელზე დამაგრების ტექნოლოგიაზე. მელნის შედგენილობის შესახებ ცნობილია, რომ V-VI საუკუნეების ქართულ პალიმფსესტებში გამოყენებული მელანი რკინას შეიცავდა. მის დასამზადებლად გამოიყენებოდა სამელნე კაკლები, ანუ მუხის დანამატები, შავი კიბაროზი და გუმიარაბიკი – აკაციის ზოგიერთი ჯიშისაგან მიღებული მყარი, გუმფისური ნივთიერება. რაც შეეხება სინგურს, მას ორგვარი შედგენილობა ჰქონდა: ბუნებრივი – მინერალური და ხელოვნური – გოგირდისა და ვერცხლისწყლის ურთიერთზემოქმედებით შეძენილი. „წითელი“ და „სინგური“ გამოიყენებოდა საზედაო



ალავერდის ოთხთავის ყდა.
ლითონზე კაწვრის ნიმუში.

XVII ს.
A-484



ფურცლოვანი ოქრო. 1054 წ.

A-484



Q-908

ასოების, სათაურებისა და დასაწყისების გამოსაყოფად. ხშირ-
ად განსხვავებული შეფერილობის შესაქმნელად სინგური გვხ-
ვდება ოქრომელნის ქვედა ფენაში.

ცალკე უნდა გამოიყოს ფურცლოვანი ოქროსაგან დამზა-
დებული ოქრომელანი, რომელიც გამოიყენებოდა როგორც
წერის, ასევე მოხატვა-შემკობის დროს. ოქროს ფხვნილის წე-
ბოვან ნივთიერებასთან შერევის შედეგად მიღებული ეს მელ-
ანი ძირითადად გვხვდება საგანგებოდ გადაწერილსა და შემ-
კულ ხელნაწერებში საზედაო ასოების, სათაურების, ზოგან
მინაწერებისა და მხატვრულ-დეკორატიული ელემენტებისათ-
ვის. გვიანდელ ტრადიციაში ოქრომელანი აღარ გამოიყენება.

ყდა

წიგნის კულტურულ-ისტორიული ღირებულების შეფასებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ყდას. წიგნის შემადგენელი ყველა კომპონენტიდან (საწერი მასალა და მელანი, ტექსტობრივ-რედაქციული თავისებურებები და მხატვრულ-დეკორატიული სისტემა) იგი ყველაზე ნაკლებ უძლებს დროს და საჭიროებს განახლებას. უძველეს ხელნაწერებს არ შემორჩა თავდაპირველი ყდები არა მხოლოდ წიგნების გადანაცვლების, არამედ მათი ხშირი გამოყენების გამოც. დროთა ვითარებაში, შესაძლოა, ერთი ეგზემპლარი რამდენჯერმე აკინძულიყო და ჩასმულიყო ყდაში. შესაბამისად, სწორედ ყდა ასახავს წიგნის მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებების განვითარების ვრცელ პერიოდს – ცალკეული ეგზემპლარის შექმნიდან დაწყებული მისი განახლების პოლო ეტაპის ჩათვლით. დღეს ჩვენ ხელთ არსებული ტყავის ყდების დიდი უმრავლესობა XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება.

ადრეული ყდების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, მხატვრული თავისებურებებისა თუ ოსტატების შესახებ საუბარი დღეს ძალზე რთულია. გარკვეულ ინფორმაციას ოსტატის ვინაობასა და მწირ ისტორიულ ცნობებს გვაწვდის თავად ხელნაწერზე დართული ანდერძ-მინაწერები. მათ საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წიგნს ქმნიდნენ ხელოსნურ

ჯგუფებად დაყოფილი მწიგნობრები, რომელთა შორისაც იყვნენ ყდის ოსტატები. ეს იმდენად მყარი პროფესია იყო, რომ არსებობდა ყდის ხელობასთან დაკავშირებული სპეციალური ტერმინებიც კი – „მოსვა“, „კაზმვა“, „შეკვრა“. თავად პროცესი კი გულისხმობდა როგორც წიგნის კინძვას, მისი ტყავის ზედაპირის მხატვრული ელემენტებით შეკობას, ასევე დაზიანებული ყდის განახლებას. ყდის შექმნისა და მისი ხელოვნების შესახებ მხოლოდ ანდერძ-მინანტერების საფუძველზე აგებული მსჯელობა თეორიული განსჯისა და ვარაუდის ფარგლებს არ გასცდებოდა, რომ, საბედნიეროდ, არ შემოგვრჩენოდა ადრეული, IX-X საუკუნეების ყდები. ბოლო დრომდე ცნობილი იყო

ტყავისა და მეტალის კომპინირებული ყდა; სქელი, სწორად მოჭრილი ხის დაფები, რომელზეც შეიმჩნევა ტყავის ორი ფენა: პირველი შრე (IX ს.) ფრაგმენტული, ამოტვიფრული შენარჩუნებულია მხოლოდ ზედა ფრთის ცენტრალურ ნაწილში. ძლიერ დაზიანებულ ტყავზე ამოტვიფრულია წრეში ჩახაზული ჯვრის სტილიზებული ფორმა – რომბისებური წნული ორნამენტები ჩახვეული ბოლოებით, რომლებიც გაფორმებულია მცირე ზომის დეკორატიული სამსჭვალებით, შემაგსებელი ტვიფრებით. ამოტვიფრულ ტყავის ზედაპირზე დამაგრებულია გრავირებული, საშუალო ზომის ტოლფერდა ჯვარი (XIV ს.). ვერცხლზე ამოკვეთილი ნახატის სახეს ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტი ქმნის. მეორე ფენა, სქელი ტყავის შრე (XVI ს.), რომელიც ამჟამად მოხეულია, შემორჩენილია ყუის მხარეს.


ადიშის ოთხთავი. 897 ნ.


ყდა: IX, XIV-XVI სს., ზომა: 30×27 სმ.

IX საუკუნის ყდის ოსტატი: მიქაელი

დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში

2008 წლის მხატვრული ასლი: მ. ებრალიძე





ღია ყავისფერი ტყაგადაკრული ყდა; ხის მასიური დაფები მოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე. ყდის ზედაპირზე გამოსახულია წრესა და კვადრატში ჩახატული სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი, გამოყენებულია ხაზოვანი ტვიფრის ტექნიკა. კიდეს მიუყვება არშია, რომელსაც ჩარჩოდ აკრაგს სამ-სამი ხაზი. კონტურებს აფორმებს მცირე ზომის დეკორატიული ბურთულება. ასევე გამოყენებულია ოთხკუთხედი ფორმის შემავსებელი დეკორატიული ტვიფრი.

ლიტურგიკული კრებული. IX-X სს.

ყდა: X ს., ზომა: 13×14.5 სმ.

ყდის ოსტატი: იოანე-ზოსიმე


Sin. Geo. N. 26; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფოტოასლი

ადრეული ყდის სამიოდე ნიმუში და ისიც დაცული სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში. 2008 წელს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ორ მნიშვნელოვან ხელნაწერზე – ადიშის ოთხთავსა და ადიშის იადგარზე – გამოვლინდა IX-X საუკუნის ყდების ფრაგმენტები.

დღეს თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ IX-X საუკუნის ყდის წარმოების ტექნოლოგიურსა თუ მხატვრულ ასპექტებზე. ადრეული ტიპის ქართული ხელნაწერის ტყავის ყდების ორნამენტი აღმოსავლური ტოლფერდა ჯვრის სტილიზაციის საფუძველზე იგება. ყდებს ტვიფრავდნენ სველ ტყავზე ჩევლეტის მეთოდით. ტყავზე ფარგლისა და სპეციალური წვერწამა-ხვილებული ხელსაწყოს მეშვეობით გამოსახავდნენ წრეში ჩახაზულ ჯვრებს, რომბისებურ წნულ ორნამენტებს ჩახვეული ბოლოებით, სხვადასხვა ფორმის შემავსებელ და საბორდიურე

ტვიფრს, გამოიყენებოდა ხაზოვანი ტვიფრის ტექნიკა. დამლების მცირე რაოდენობის გამო ხშირად მრავალსახოვნებისთვის საბორდიურე ტვიფრებით ამკობდნენ ყდის შიდა სივრცეს, ან, პირიქით, შემავსებელ ტვიფრებს იყენებდნენ არშიების გასაფორმებლად.

ყდის ისტორიაში საგანგებო ყურადღება ექცევა წიგნის კორპუსის შექმნას, რაც გულისხმობს რვეულებად დაკეცილი ნაწერი ფურცლების კინძვას, ხის დაფების მიმაგრებას. სწორედ ამ საწარმოო პროცესში ვლინდება ქართული წიგნის ყდის ოსტატების ორიგინალური შემოქმედება. ამ ტექნიკას V საუკუნეშივე ეყრება საფუძველი, რასაც მოწმობს V-VIII საუკუნეებით დათარიღებულ პალიმფსესტურ ფურცლებზე შემორჩენილი რვეულებრივი ალრიცხვის კვალი.




„ჯაჭვური კერვა“, რომელიც მიიღება ერთი ნემსის ტექნიკით


ადრეული ქართული ხელნაწერი წიგნის ხის დაფები მასიურია და ჩამოჭრილია ხელნაწერის ფურცლების პირზე, რომლებსაც სამივე მხარეს კიდეებზე მიუყვება ღარი. წიგნი იკვრება კომბინირებული ტექნიკით, რაც გულისხმობდა ერთდროულად რვეულების ჯაჭვისებურ აკინძვასა და ხის დაფების მიმაგრებას.



- ა. კაპტალის მიმაგრება რვეულებად აკინძულ წიგნის ბლოკზე
 ბ. მასიური სწორად მოთლილი ხის დაფა
 გ. სწორად მოთლილი ხის დაფები მოჭრილი ხელნაწერის ფურცლების პირზე



ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის ოსტატები დაფების დასამაგრებლად რვეულების დაკეცილ კიდეებს V ფორმის ჩანაჭდევს უკეთებდნენ, რაც საშუალებას იძლეოდა შემკვრელი ძაფი არ გამოკვეთილიყო ყუაზე და არ დაეზიანებინა ტყავი. ამ ტექნიკით აკინძული წიგნის ყუა გლუვია. „გრეკაუს“ სახელწოდებით ცნობილი ეს მეთოდი ტიპურია ბიზანტიური წრის ადრეული ხელნაწერი წიგნის კინძვისათვის. ყდის ხის დაფებს, რომლებზედაც მოგვიანებით გადაიკვრება ტყავის ზედაპირი, დაჰყვება ჰორიზონტალური ღარები, რომლებშიც ჯდება თოკები. ღარები შეესაბამება „გრეკაუს“ დონეს. მხოლოდ ქართული ხელნაწერებისთვისაა დამახასიათებელი შეკერვის კომბინირებული ტექნიკა.



ღია ყავისფერი ტყაგადაკრული ტვიფრული ყდა; სქელი, სწორად მოთლილი ხის დაფები ემთხვევა ხელნაწერის ჩამონაჭერს; აქვს ტყავის ორი თასმა; ყდის ზედაპირს კრავს სამი ხაზისაგან შემდგარი არშია. შიდა სივრცის არე უჭირავს სამკუთხედ პოსტამენტზე შემდგარ ჯვარს. როგორც ჯვარი, ასევე პოსტამენტიც შესრულებულია ხაზოვანი ტვიფრით. ყდის ზედაპირზე თავისუფალ ადგილებს ავსებს როგორც დიაგონალური ხაზები, ასევე მცირე ზომის სამსჭვალის ტიპის შემავსებელი ტვიფრები.

წყაროსთავის ოთხთავი. X ს.


ყდა 1070 წ., ზომა: 22.5×19 სმ.

ყდის ოსტატი: იოვანე

რესტავრირებული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

A-98





ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა. სქელი, სწორად მოთლილი ხის დაფები; კიდეებზე მიუყვება ღარები. გვხვდება მეორადი აკინძვის კვალი.

გამოყენებულია მიმაგრების სწორხაზოვანი ტექნიკა. ტყავის ზედაპირზე ტვიფრის სახე თითქმის წაშლილია: არშიაზე იკითხება დეკორატიული ბურთულების კვალი, მცირე ზომის ჯვრები, ოვალური ფორმის შემავსებელი ტვიფრები. ყუა – მომრგვალებული, ამოუტვიფრავი. შემორჩენილია ჭრელი კაპტალის მცირე ფრაგმენტი. ფორზაცები დაკარგულია.

ბასილი დიდი, თარგმანებად ფსალმუნთა. 1035 წ.

ყდა: XI-XIII სს., ზომა: 20×13.5 სმ.

XI საუკუნის ყდის ოსტატი: დავით ჯიბისძე

A-135



მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ყდა; გამოყენებულია ორმაგი ხის დაფების მიმაგრების ტექნიკა. მოჭედილობის ფრაგმენტი შემორჩენილია ყდის ქვედა ფრთაზე; ძლიერ დაზიანებული ხელნაწერის ზედაპირზე დაკრულია ლითონის ბურთულები, სამსჭვალები. ხელნაწერი აკინძვის „გრეკაჟის“ ტექნიკით, შეიმჩნევა წიგნის მეორადი აკინძვის კვალი, შემორჩენილია დაშლილი კაპტალის ფრაგმენტი. ზედა ფრთაზე შემორჩენილია ლითონის მასიური წაწვეტებული, სოლისმაგვარი შესაკრავები; თასმები დღეისათვის დაკარგულია

ოთხთავი. 1048 წ.

ყდა: XIII-XIV სს., ზომა: 21.5×13.5 სმ.

H-1741





მუქი ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; ხის დაფები ოდნავ გათხელებულია; ყდის ზედაპირს მთლიანად აცხებს საშუალო ზომის მართვულია ფორმის დეკორატიული საბორდიურე ტვიფრი; ყუაზე რელიეფურად იკვეთება შეკერვის სამი ადგილი – XVIII საუკუნის რესტავრაციის კვალი. გამოყენებულია განსხვავებული ფერისა და ხარისხის ტყავი. შეიმჩნევა ყვითელი ძაფებისაგან გაკეთებული კაპტალი. ყდას შიდა ზედაპირზე დაკრულია ზოლებიანი გახუნებული ქსოვილი. ყდას უნდა ჰქონოდა სამი შესაკრავი, რომლებიც დღესდღეობით დაკარგულია. ხელნაწერი ეკუთვნოდა სულხან-საბა თრბელიანს.

მცირე სჯულისკანონი. 1031 ნ.

ყდა: XVI ს., რესტავრირებულია XVIII საუკუნეში

ზომა: 21×16.5 სმ.

A-96

როგორც ვხედავთ, ხელნაწერებზე გვხვდება წიგნის შეკვრის ადრეული მეთოდები, კერძოდ, სწორხაზოვანი, რომლის დროსაც ხის დაფებზე ღარები ჩაჭრილია ვერტიკალურად. ორმაგი ხის დაფები მიმაგრებულია აკინძული წიგნის ბლოკზე. ამ დროს აკინძვის შედეგად დატოვებული თოკები იმაღლება ხის დაფებში. მიუხედავად ხელნაწერი წიგნების ხელახალი შეკაზმვისა, ყდაზე მაინც გვხვდება აკინძვის ადრეული ელემენტები, რაც იმით უნდა ავხსნათ, რომ ყდის დამუშავების ტრადიცია – ტექნიკა, იარაღები, დეკორი უცვლელი დარჩა.

ხის დაფებზე, შიდა (უკანა) მხარეს შეიძლება დაკრული იყოს აბრეშუმის ნაჭერი, ეტრატი ან ქაღალდი. ფორზაცს, გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა, წმინდა ესთეტიკური მხარეც აქვს. იგი ფარავს ყველა იმ დეფექტს, რომელსაც ხელნაწერის ყდაში ჩასმისას ტოვებდა მკაზმველი. ფორზაცის

ერთი ფურცელი იკინძებოდა ხელნაწერთან ერთად, მეორე კი ეკვროდა ხის დაფებს. ფორზაცად გამოყენებულ ქსოვილს, ეტრატს თუ ქაღალდს დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიგნის ყდის შესწავლისა და დათარიღების საქმეში. ხელნაწერი წიგნი იკვრებოდა ლითონისთავიანი ორი ან სამი ტყავის თასმით, რომლებსაც „ლილო-კილონი“ ეწოდებოდა. ყდაზე შესაკრავების რაოდენობა დამოკიდებული იყო თვით ხელნაწერის ფორმატზე. იყო წიგნის ისეთი ყდებიც, რომლებსაც არ ჰქონდათ „ლილო-კილონი“ და თავებგახვრეტილი ტყავის თასმები პირდაპირ მაგრდებოდა სოლისმაგვარ მეტალის ჩამოსაცმელებზე.

გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა XVII საუკუნის ხელნაწერთა ყდებზე: ტყავგადაკრული ხის დაფები, მოყვანილობისა და მხატვრული გაფორმების მხრივ, XVI საუკუნის ყდების მსგავსია, მხოლოდ ყუაზე ჩნდება შეკერვის რელიეფური ადგილები, არ გამოიყენება „გრეკაშის“ ტექნიკა, შეიძლება ყუაზე შეგვხვდეს „გრეკაშის“ ჩაღრმავება, მაგრამ ის უსათუოდ ზედაპირულია. XVII საუკუნის ყდები ქართული წიგნის ყდის ისტორიაში გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ ადრეულ (X-XVI სს.) და გვიანდელ (XVIII-XIX სს.) ყდებს შორის.




მუქი შინდისფერი ტყავგადაკრული ხის ყდა; ხელნაწერის ფურცლების პირზე სწორად მოთლილი დაფები ოდნავ თხელია; ყდის ზედაპირზე არშიად გამოყენებულია მართკუთხედის ფორმის ბადისებური ნახატის შემცველი საბორდიურე ტვიფრები. ცენტრში გამოსახულია ჯვარი, რომელიც შედგება პატარა მართკუთხედის მოყვანილობის საბორდიურე ტვიფრებისაგან. ყუაზე რელიეფურად იკვეთება შეკერვის სამი ადგილი.

კრებული. 1669 წ.

ყდა: XVII ს., ზომა: 21×15 სმ.

A-179.



ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა. ხის დაფები ემთხვევა ფურცლების ჩამონაჭერს, ოდნავ მომრგვალებულია; ყდის ზედაპირს კვეთს დიაგონალური ხაზები, გაფორმებულია საშუალო ზომის ვარდულებითა და ოვალური ფორმის დეკორატიული შემავსებელი ტვიფრებით. ასევე გვხვდება სამყურას ტიპის ფოთლოვანი ორნამენტის შემცველი ტვიფრი. ქვედა ფრთა მცირედ განსხვავდება ზედასაგან. ყუა მორღვეულია, ჩანს „გრეკაჟის“ ტექნიკა და ჯაჭვური აკინძვის კვალი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რელიეფურ ადგილებზე დაყოლებულია წინასწარ სპეციალურად მომზადებული თოკივით დაგრეხილი ტილოს ნაჭრები. მკაზმველს ხელოვნურად შეუვსია „გრეკაჟის“ შედეგად მიღებული ჩაღრმავებები. ყუა ძველი რესტავრირებულია. კაპტალი დაზიანებულია. ყდაზე შიდა მხრიდან გამოკრულია მოჩითული ქსოვილი. შესაკრავები დაკარგულია.

შატბერდის კრებული. 973-976 წწ.

ყდა XVI-XVII სს., რესტავრირებული XVIII საუკუნეში

ზომა: 28.3×23 სმ.


S-1141

ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; სწორად მოთლილი ხის დაფები; ჩასმულია ოქროთი მოვარაყებულ, ინკრუსტრირებულ აღმოსავლურ ტყავის ყდაში. ზედა და ქვედა ფრთის შიდა მხარეები გაფორმებულია აღმოსავლური სტილით. გამოყენებულია ნაზი მცენარეული ორნამენტის შემცველი მართკუთხედის ფორმის მოზრდილი ცენტრალური ტვიფრი. არშიებად მიუყვება ოვალური მოყვანილობის საბორდიურე და კუთხის ტვიფრები. შიდა არშია ინკრუსტრირებულია. გამოყენებულია სხვადასხვა ფერის ტყავი. ყდა გაკეთებული უნდა იყოს აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყანაში. რესტავრირებულია კორნელი კეკელიძის სახელის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

„ვეფხისტყაოსანი“. XVI-XVII სს.

ყდა: XVII ს., ზომა: 37.2×24 სმ.

H-2074





ბერძნული თათრის ყდა

ხელნაწერი წიგნის შექმნაში საერო არისტოკრატიის ჩართვის შემდგომ იქმნება მდიდრულად შემკული ჭედური ყდები. ეს პროცესი სათავეს იღებს XI საუკუნიდან. ამ ეპოქის ჭედური ყდის მქონე შავ მთაზე, კალიპოსის ლავრაში, გადაწერილი ხელნაწერი ამჟამად ინახება მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის შჩუკინის კოლექციაში. სამწუხაროდ, ვერ მოაღწია 1054 წელს ამავე სამონასტრო ცენტრში გადაწერილმა ბალვაშთა ფეოდალური სახლის დაფინანსებით მოჭედილი ალავერდის ოთხთავის ჭედურმა ყდამ, რომლის ზუსტ აღწერილობასაც ვეცნობით თავად ხელნაწერზე 1059 წელს დართული ანდერძიდან. სწორედ ამ ანდერძის საფუძველზე XVII საუკუნეში ხელნაწერი წიგნის ყდის რესტავრაცია ითავა სამეგრელო-ოდიშის მთავარმა ლევან დადიანმა, რომელმაც წიგნი ტყავისა და მოოქრული ვერცხლის კომპინირებულ ყდაში ჩაასმევინა.

ქართული ჭედური ყდის უნიკალური ნიმუშები შეიქმნა XII საუკუნეში. ჩვენამდე მოაღწია XII-XIII საუკუნეების ბერთის, ტბეთისა და წყაროსთავის სახარებების ჭედურმა ყდებმა. საგანგებოდ დაკვეთილი ამ ყდების ავტორები არიან ბექა და ბეშქენ ოპიზრები. ამ ყდებზე ტრადიციულად გვხვდება ჯვარცმისა და ვედრების კომპოზიციები. ამ მხრივ საინტერესოა XII საუკუნეში გადაწერილი გელათის ოთხთავის ჭედური ყდა, რომლის ქვედა ფრთაზე გამოსახულია აღდგომის სიუ-

მოოქრული ვერცხლის მოჭედილი ყდა; დაზიანებული; ყდის ზედა ფრთის ცენტრში გამოსახულია ჯვარცმა ტრადიციულად ღვთისმშობლის, იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე; ქვედა ფრთაზე – ვედრება ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის თანხლებით. გვხვდება განმარტებითი წარწერები; ჭედურობის ცენტრალური ნაწილი გარშემოვლებულია წვრილი, გრეხილი ორნამენტის ჩარჩოთი. კუთხეები გაფორმებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი რელიფური ორნამენტებით. ერთ-ერთი წარწერა ზედა ფრთას არშიად აკავს, რომელშიც იხსენიებიან: იოვანე მთავარადესქე, გიორგი და დეკანოზი მიქაელ კვრკაძე; ქვედა ფრთის წარწერებში იხსენიებიან მომგებლები ოქროპირი და მისი ძე დემეტრე. ყდა შემქულია ნახევრად ძვირფასი ქვებით. ქრისტეს საყდრის ქვემოთ იკითხება: „მოიჭედა წელითა ბეშქენ ოპიზარისათა“. ყუა დაკარგულია, შემორჩენილია ტილოს ქსოვილი; წიგნი იკვრებოდა 4 შესაკრავით; შემორჩენილია ფრაგმენტების სახით.

ბერთის ოთხთავი. XII ს.

ყდა: XII ს., ზომა: 24×17 სმ.

ყდის ოსტატი: ბეშქენ ოპიზარი
Q-906



ბეჭენ ოპიზრის ყდა

ვერცხლის მოოქრული ყდა. ზედა ფრთის ცენტრში გვხვდება ჯვარცმა ღვთისმშობლის, იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე; ქვედა ფრთაზე – ვეძრება ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის თანხლებით. გვხვდება განმარტებითი ნარწერები. ჭედურობის ცენტრალური ნაწილი გარშემოვლებულია წვრილი გრეხილით; კუთხეები გაფორმებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი რელიეფური ორნამენტებით; ყდის ქვედა ფრთაზე იკითხება ნარწერები, რომლებშიც იხსენიება მომგებელი იოვანე მტბევარი. ყდა შემკულია ნახევრად ძვირფასი ქვებით; უფლის საყდრის მარცხენა მხარეს ვერტიკალურად ოდნავ მომცრო ასომთავრულით: „ქ[რისტ]ე, შ[ეინყალ]ე ოქრომჭელი ბექად ოპიზარი“. ყავისფერი ტყავის



ბექა ოპიზრის ყდა

ყუა გაფორმებულია მცირე ზომის ვერცხლის დეკორატიული ფირფიტებით.
მათი უმეტესი ნაწილი დაკარგულია.

ნიგნი იკვრებოდა 4 შესაკრავით, რომლებიც შემორჩენილია ფრაგმენტების
სახით.

ნიკაროსთავის II ოთხთავი. 1195 წ.

ყდა: XII ს., ზომა: 24.5×16.6 სმ.

ყდის ოსტატი: ბექა ოპიზარი

Q-907



ჭედური ყდის ფრაგმენტები დაკრულია გვიანი პერიოდის ოქროტვიფრულ ყდაზე. ტყავი ღია ყავისფერია. ხის დაფები ირიბადა მოთლილი, გადმოდის და ფარავს მთლიანი ხელნაწერის კორპუსს. ყუა ოქროტვიფრულია, რელიეფურია შეკერვის ოთხი ადგილი. ყდის ზედა ფრთაზე დაკრულ მოჭედილობაზე გამოსახულია ჯვარცმა, ტრადიციულად დვთისმშობლის, იოანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე; ქვედა ფრთაზე გვხვდება მედალიონში ჩასმული ქრისტეს გამოსახულება, მავედრებელი წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულები; კიდეებსა და შიდა სივრცეს ავსებს ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტი; ქვედა ფრთაზე მოთავსებულ ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება მომგებელი იოგანე მტბევარი. მოჭედილი ყდა გაკეთებული უნდა იყოს ბექა ოპიზრის მიერ; ტყავის ფენაზე ფრაგმენტები დაკრულია XVIII საუკუნის რესტავრაციის შედეგად. ყდა განახლებულია სოლომონ I-ის მეუღლის, მარიამ დედოფლის, ინიციატივით.

ტბეთის II ოთხთავი. XII ს.

ყდა: XII, XVIII სს., ზომა: 28×20.5 სმ.

ჭედური ყდის ოსტატი: ბექა ოპიზარი

Q-929



ვერცხლით მოჭედილი ყდა; ჭედურობის ქვეშ ტვიფრული ტყავი. მასიური ხის დაფები. არშიად გამოყენებულია ყვავილოვანი ორნამენტის შემცველი საბორდიურე მართკუთხედი, ოვალური, მცირე ზომის ტვიფრები. ზედა ფრთა გადატეხილია, ჭედურობა დაზიანებულია, ქვედაზე გამოსახულია ჯვარწმა. ჯვართან იკითხება: „ეს არს მეუფე პურიათა“. ღვთისმშობლისა და წმინდა იოანე მახარებლის გამოსახულებებს ახლავს ბერძნული წარწერები. ზედა რეგისტრში მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის – გამოსახულებებია. მოჭედილ ყდაზე არშიად მიუყვება მცენარეული ორნამენტი. ყდის ზედა და ქვედა ფრთებზე იკითხება ასომთავრული წარწერები. მეტალის ყდა აღადგინეს XVII-XVIII სს.; მოჭედილ ყდას აქვს ოთხი შესაკრავი: ორი წინა კიდეზე, თითო გვერდითა კიდეებზე. ხელნაწერს ერთვის გვიანდელი რესტავრატორის ანდერძი.

ოთხთავი. XII-XIII სს.

ყდა: XIV-XV სს., რესტავრირებულია XVII-XVIII სს., ზომა: 24×17 სმ.

A-516



ვერცხლით მოჭედილი ტყავის ყდა, დაზიანებული; ყდის ზედა ფრთაზე გამოსახულია ჯვარცმა, ტრადიციულად, ღვთისმშობლის, იოვანე მახარებლისა და ანგელოზების ფონზე, ქვედა ფრთაზე – აღდგომის სიუჟეტი, ყუაზე – ოთხი მახარებელი; იკვრება ორი მეტალის მასიური შესაკრავით, რომლებზეც ანგელოზებია გამოსახული; არშიად აკრაგს ყვავილოვანი ნახატის შემცველი ორნამენტი, რომელიც გაფორმებულია ძვირფასი თვლებით. ყდის თითოეულ დეტალზე ამოკვეთილია XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე ოქრომჭედელ მამაჯანას სახელობითი დამლა. ყდა თარიღდება დამლის საფუძველზე.

გელათის ოთხთავი. XII ს.

ყდა: XVIII-XIX საუკუნის 20-იანი წნ., ზომა: 26.8×18.5 სმ.

Q-908



ბაჯალლო ოქროს ბუდე შემკულია ძვირფასი თვლებით (ზურმუხტი, საფირონი და ლალი). ზედა ფრთაზე გამოსახულია მაცხოვარი, ქვედაზე კი – წმ. გიორგი. ზედა ფრთის კიდეზე მიუყვება ზურმუხტებისა და რთული ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტებისაგან შემდგარი არშიების უნყვეტი მნერივი, ასევე ყუასა და ქვედა ფრთის არშიაზე გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტები. წიგნის ნინა მხარე დაფარულია მოჭედილი მეტალით; მოჭედილობის ქვეშ ჩანს ხეზე გადაკრული ყავისფერი ტყავი. ხის დაფებზე შიგნიდან გამოკრულია შინდისფერი აბრეშუმის ქსოვილი; აქვს სანიშნე, შემკული ფირუზითა და მარგალიტებით.

ოთხთავი. XVI ს.

ყდა: XVII-XVIII სს., ზომა: 12.5×9.5 სმ.

A-482



ვერცხლის მოჭედილი ყდა; ზედა ფრთაზე გამოსახულია ჯვარცმა,
ქვედა ფრთაზე – ღვთისმშობელი ყრმით, კუთხეებში ოთხი მახარებელი;
იკითხება მთავრულით შესრულებული წარწერები.

ოთხთავი. XI-XII სს.

ყდა: XVI-XVII სს., ზომა: 20.5×15 სმ.
H-2806



ვერცხლით მოჭედილი ტყავის ყდა. ფურცლების ჩამონაჭერიც (სამივე მხრიდან) დაფარულია ვერცხლისავე ფირფიტებით და იკვრება კბილანებით. ყდის ზედაპირზე გვხვდება ტრადიციული თემა – ჯვარცმის კომპოზიცია. ქრისტეს ზემოთ ასომთავრულით ამოკვეთილია განმარტებითი წარწერა: „მეუფეო, ძეო“.

ქვედა ფრთაზე ჯოჯოხეთის წარტყვევნა ფოთლოვანი ორნამენტებით. მოოქრულ ვერცხლის ყდაზე XIX საუკუნის 20-იან წლებში ამოუკვეთავთ წარწერა, რომელშიც იხსენიებიან: ზურაბ წერეთელი, მისი მეუღლე, დადიანის ასული თამარი და ძე მათი გრიგოლი, მეუღლით, ძით და ასულით.

ოთხთავი. 1687 წ.

ყდა: XVII ს., ზომა: 15.5×10.6 სმ.

Q-911




ვერცხლის მოჭედილი ყდა; ზედა ფრთაზე – ჯვარცმა, ქართული განმარტებითი წარწერით („ი~ნ მ~ი“: იესუ ნაზარეველი, მეუფე იუდეველთა). ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის თანხლებით: ქვედა ფრთაზე კი ჯოვანხეთის წარტყვევნა. სიუჟეტი პალმის ტოტების ფონზეა; ყდას გააჩნია ქართულად შესრულებული განმარტებითი წარწერები; ჩარჩოდ გამოყენებულია ჯაჭვური ორნამენტი, ყუაზე კი ფოთლოვან-ყვავილოვანი აქცენტები; შემორჩენილია მეტალის ერთი შესაკრავი. ჭედურობის ქვეშ ჩანს თხელი, ტყავგადაკრული ხის დაფები, ფორზაცად გამოყენებულია ხელნაწერის ქალალდი.

ოთხთავი. XVII-XVIII სს.

ყდა: XVII-XVIII სს., ზომა: 6×5 სმ.

H-2266



ოქროს მოჭედილი ყდა, შემკულია ტიხრული
მინანქრით; ზედა ფრთაზე აღდგომის
სიუჟეტი, კუთხეებში ოთხი მახარებელი,
ქვედა ფრთაზე კი გვხვდება მედალიონი
ჯვარცმის გამოსახულებით, კუთხეებში ოთხი
ნინასწარმეტყველით. მეტალის ყდას გააჩნია
განმარტებითი წარწერები; ხელნაწერი ინახება
ძვირფასი მძივებით ნაქარგ ქისაში.

ოთხთავი. XVIII ს.

ყდა: XVIII ს., ზომა: 6×4.5 სმ
H-1693



ვერცხლით მოჭედილი, თვლებით შემკული ფარჩაგადაკურული ყდა. ზედა ფრთა გაფორმებულია ზურმუხტისა და ლალის თვლებთ, რომლებიც ყდის ზედაპირზე განულაგებიათ ბალჩებად, ქვედა ფრთაზე გვხვდება ჯვარცმა ღვთისმშობლისა და მენელსაცხებლე დედის გამოსახულებით; ყუა გაფორმებულია მეტალზე ამოკვეთილი ვარდულებითა და ფოთლოვანი აქცენტებით; აქვს ღია ფერის ძაფებისაგან დაწნული კაპტალები, დაფარულია მეტალით. შიგნიდან ყდაზე დაკურულია ცისფერი ქსოვილი; ფურცლების ჩამონაჭერი ოქროტვიფრულია. ხელნაწერის მომგებელია დომენტი კათალიკოსი.

თხხთავი. 1714 წ.

ყდა: XVIII ს., ზომა: 6.5×4.5 სმ.

A-1097



ვერცხლის მოძრული ლუსკუმა. ცენტრში გამოსახულია ვედრების კომპოზიცია, მედალიონის ზემოთ გვხვდება გვირგვინი კუთხებში მახარებელთა რელიეფური გამოსახულებებით, ქვემოთ კი – ჯვარცმა და მახარებელთა გამოსახულებები, რომელთაც აქვთ რუსული განმარტებითი წარწერები: პეტრე, პავლე, იაკობი, ანდრია; წინა კიდეზე ამოკვეთილია წარწერა, დათარიღებული 1776 წლით. ლუსკუმა იკვრება ვერცხლის ორი შესაკრავით. ტიპური რუსული ყდა. ხელნაწერი სოლომონ I-ის კუთვნილება იყო.

თთხავი. XVII-XVIII სს.

ყდა: 1776 წ. ზომა: 8.5×13 სმ.

H-901



ვერცხლის მოძრული ყდა. ზედა ფრთაზე ცენტრში აღდგომის სიუჟეტი, კუთხებში მახარებელთა გამოსახულებები. ყდაზე გამოყენებულია ფერწერული მინანქრის ტექნიკა. ქვედა ფრთაზე გვხვდება ჯვარცმის კომპოზიცია სევადით შესრულებული; ვერცხლის ბუდეს აქვს შესაკრავი წმინდა პეტრესა და პავლეს გამოსახულებებით; ყუაზე გვხვდება ბიბლიური სიმბოლოები. კაბტალს ფარავს ანგელოზების გამოსახულებები; კიდეების ჩამონაჭერი ოქროტვიფრულია; მეტალის ყდა დამზადებულია რუსეთში.

თთხავი. 1792 წ.

ყდა: XIX ს., ზომა: 9×6 სმ.

H-1689



ფირუზებით შემკული მოოქრული ვერცხლის ყდა; ჭედური ყდის ორივე მხარე შემკულია ორნამენტებითა და ფიგურული გამოსახულებებით. გამოიჩინა ზედა ფრთის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ფირუზებისაგან შედგენილი ჯვარი; ყდის ზედა და ქვედა მხარეს მიუყვება ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტისაგან შემდგარი არშა; შიდა სივრცის ოთხივე კუთხეში კი მედალიონებში ჩასმულია ანგელოზების გამოსახულებები. ისინი ჯვრის ფორმისაგან გამოყოფილია სამსჭვალებით დამაგრებული პატარა ფირუზის თვლების ტალღოვანი რიგით. ზურგის მხარეს გვხვდება ქრისტეს საშუალო ზომის მოოქრული გამოსახულება. მის ზემოთ დამაგრებულია ფირუზის ხუთი თვლისაგან შედგენილი ჯვარი. ფურცლების ჩამონაჭერზეც აქა-იქ შეიმჩნევა ოქროვარაყი; ქვედა ფრთაზე იკითხება მხედრულით ამოკვეთილი წარწერა, დათარიღებული 1873 წლით. ხელნაწერი ეკუთვნოდა დადიანების ოჯახს. ყდა განიცდის ევროპულ გავლენას.

პირველნაბეჭდი სახარება. 1709 წ.

ყდა: 1873 წ., ზომა: 27,5×20 სმ.

RAR-57 (d3. Q-912)



მოოქრული ვერცხლის მოჭედილი ყდა; ყდის ზედა ფრთაზე გვხვდება ჯოჯოხეთის წარტყმევნა, ქვედა ფრთაზე კი – ჯვარცმა. მოჭედილ ბუდეს ახლავს ტვიფრული ტყავის ფრაგმენტი (ტვიფრის სახე თითქმის წაშლილია), ძლიერ დაზიანებული. ტყავი მუქი ყავისფერია. ყუაზე შემორჩენილია აკინძვის შედეგად დატოვებული შეკერვის კვალი. ასევე შემორჩენილია ოქრომკედნარევი ფარჩის ფრაგმენტი. ფურცლების ჩამონაჭერი სამივე მხრიდან დაფარულია მოოქრული მეტალით, რომელზეც გამოსახულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტი.

ოთხთავის ბუდე. XIX ს.

ყდა: XIX ს., ზომა: 8.5×5.5 სმ.

Q-926

შეტი. გელათის ყდის ზედაპირზე წარმოდგენილია აღდგომის განსხვავებული ინტერპრეტაცია, რომელზეც ასახულია არა ჯოჯოხეთიდან გამოსვლა, არამედ, კონკრეტულად, მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა (ყდას XVI ს. ათარიღებენ). წარმოდგენილი სიუჟეტი გვიანი ხანის ხელნაწერთა ჭედური ყდებისთვისაა დამახასიათებელი.

ტყავის ზედაპირის ჭედური ელემენტებით შემკობის ტრადიცია თავს იჩენს XIV საუკუნიდან (ოთხთავი A-499, ჯრუჭი პირველი H-1660); განსაკუთრებული სიხშირით იგი ჩნდება XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ფეოდალური სახლების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან საგანგებოდ მოხატული ძველი ხელნაწერი წიგნების დაცვა-რესტავრაციის საქმეში; სხვათა შორის, სწორედ ამ ხელახლა მოჭედილ ყდებს, რიგ შე-




ტყავისა და მეტალის კომპინირებული ყდა; წინა კიდეზე აქვს მუქი ყავისფერი ტვიფრებით გაფორმებული სარქველი, ჭრელი კაპტალი. ყუაზე ამოტვიფრულია ხაზები. აქვს „გრეკაშის“ ტექნიკა, შეიმჩნევა შეკერვის რელიეფური ადგილები. იკვრება ორი წითელი კუსტარულად გაკეთებული თასმით, თანადროული დაკარგულია.

თხზთავი. XII-XIII სს.

ყდა: XIV-XV სს. (განახლებული მეტალის დეტალები: XVII-XVIII სს.), ზომა: 20×15 სმ.

A-499



მეტალისა და ტყავის კომპინირებული ტვიფრული ყდა. ყდის ზედა ფრთაზე გამოსახულია პოსტამენტზე აღმართული ჯვარი. განირჩევა წნული ორნამენტით შესრულებული საბორდიურე და ოთხუთხედი შემავსებელი ტვიფარი. ქვედა ფრთაზე შიდა სივრცეს ავსებს რამდენიმე სახის საბორდიურე ტვიფარი. ზედა ფრთაზე ყდის განახლების მიზნით დაუკრავთ ვერცხლის სამსჭვალებით შედგენილი ჯვარი, გამოუყენებიათ ნახევრად ძვირფასი ძონის თვლები (შემორჩენილია მხოლოდ ერთი ქვა). ქვედა ორ კუთხეში მეტალის ჯვრები დაკარგულია. ყუა ამოტვიფრულია, კაბტალი – გაცვეთილი. ხის დაფებზე შიდა მხარეს დაკრულია ვარდისფრი ქსოვილი.

ჯრუჭი | ოთხთავი. 936-940 წწ.

ყდა: XVI ს. (განახლებულია XVII საუკუნეში), ზომა: 25.5×20 სმ.

H-1660



ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა (ხის დაფები ოხელია, ჩამოჭრილი ხელნაწერის ფურცლის პირზე); ნინა კიდე დაფარულია ამოტვიფრული ტყავის სარქველით; ყდის ზედაპირზე გამოყენებულია წნული ნახატის შემცველი ოთხკუთხედი შემავსებელი ტვიფრი, ასევე ყვავილოვან ნახატს ქმნის დეკორატიული ბურთულებისა და ოვალური მოყვანილობის ტვიფრების კომბინაცია; ყუა ამოტვიფრულია, გლუვი; ფორზაცად გამოყენებულია თეთრი ქალალდი; ტყავის ამოტვიფრულ ყდაზე მოგვიანებით დაუკრავთ (XVII ს.) მეტალის ხატები, ჯვრები, ფირფიტები, ჰკიდია მცირე ზომის ზანზალაკები და ხელის მტევნის მოყვანილობის ფირფიტები.

ოთხთავი. XVI ს.

ყდა: XVI ს. (განახლებულია XVII-XVIII სს-ში), ზომა: 20.5×15 სმ.

A-502



ტყავისა და მეტალის კომპინირებული ყდა. ზედა ფრთაზე ქრისტეს ფერნერული გამოსახულება ჩასმულია ვერცხლის ჭედურ, ძვირფასი თვლებით შემკულ ჩარჩოში. ზედა ფრთაზე ჩასმულია წმ. გიორგის XI-XII საუკუნეების ტიხრული მინანქრით შესრულებული გამოსახულება. ყდის ზედა მხარეზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა სახარებიდან; ქვედა ფრთაზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. ფერნერული გამოსახულება თითქმის წაშლილია (აქა-იქ შემორჩენილია ოქროვარაყი); ყდას აქვს სარქველი; ყველა ნიშნის მიხედვით თარიღდება XVII საუკუნით, მიჰყვება ლევან დადიანის სახელოსნოში შესრულებული ხატების ხელნერას.

ალავერდის ოთხთავი. 1054 წ.

ყდა: XVII ს., ზომა: 24.5×18.5 სმ.

A-484

მთხვევაში, ამკობდნენ ძველი ელემენტებითაც. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე XVII საუკუნეში მოჭედილ ალავერდის ოთხთავის ყდაზე, რომელიც უნდა შექმნილიყო სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის უზრუნველყოფით მისსავე სახელოსნოში. ყდის ერთ-ერთ სამკაულად გამოყენებულია XI საუკუნის მინანქრული გამოსახულება.

XVIII-XIX სს. 30-იან წლებში გადაწერილი ხელნაწერი წიგნების ყდები განვითარების მხრივ სრულიად განსხვავდებიან ადრეული (X-XVI სს.) და გარდამავალი (XVII ს.) პერიოდის ყდებისაგან.

XVIII საუკუნეში წიგნის ყდის გარეგნული მხარე მთლიანად იცვლება. ხის დაფების დათხელებამ და კიდეების ირიბად მოთლამ ყდა უფრო ნატიფი გახადა. ამ დროისათვის ყუა უფრო რელიეფური ხდება და, ერთგვარად, სამკაულის დანიშნულებასაც იძენს წიგნის სხვა ელემენტებთან ერთად (კაპტალი, ფორზაცი, სანიშნე, ტვიფრები). არის შემთხვევები, როდესაც ტვიფრზე იკითხება მკაზმველის სახელი. ასოები, თავის მხრივ, ორნამენტის დანიშნულებასაც ასრულებენ. მედალიონზე გამოსახული ორნამენტებისა და ქართული ასოების შერწყმა მეტყველებს იმაზე, რომ ტვიფრი დამზადებულია საქართველოში და მისი ავტორი ქართველი გრავიორია. ცნობილია ჩაჩიკაშვილების ოვალური მედალიონი. ამ პერიოდის ქართული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნებისთვისაც დამახასიათებელია ყდის ზედაპირის სადა გაფორმება. როგორც წესი, ქართული წიგნის ყდის გაფორმებისას ყურადღება ექცევა ყდის ცენტრალურ არეს, კუთხეებს, კიდეებს, ხოლო ყდის შიდა სივრცის დიდი ნაწილი (ტყავი) რჩება თავისუფალი, რომელზეც აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს „შემავსებელი“ ტვიფრების სადა, ზოგჯერ „კომბინირებული“ სახეც კი, მაგრამ მკაზმველი, ყველა შემთხვევაში, ცდილობს არ გადატვირთოს ტყავის ყდის ზედაპირი. არის შემთხვევები, როდესაც ყდაზე გამოყენებულია ორი ან სამი ტვიფრის კომბინაცია, მაგრამ მკაზმველი ახერხებს ისე განალაგოს ტვიფრები ყდის ზედაპირზე, რომ მნახველს უჩნდება მრავალსახოვნების განცდა. ეს ცვლილებები ქართულ წიგნების ყდებზე მოიტანა დრომ, რაც გამოწვეულია ქართულ კულტურაზე ევროპული ხელოვნების გავლენით.




ღია ყავისფერი ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ხის დაფები ირიბადაა მოთლილი); ზედა ფრთა მსგავსია ქვედასი. გამოყენებულია დეკორატიული ნახევარრკალი, ფოთლოვან-ყვავილოვანი და წაისრული ფორმის მცენარეული ორნამენტისაგან შემდგარი ცენტრალური ტვიფრი; აქვს ორი მეტალის შესაკრავი; ფურცლების კიდეების ჩამონაჭერი შეღებილია წითლად. ყუაზე რელიეფურია შეკერვის ადგილები, ამოტვიფრულია ყვავილოვანი აქცენტები. ფორზაცად გამოყენებულია ცისფერი ქალალდი, აქვს დანწული კაპტალი.

ჟამნი. 1738 წ.

ყდა: XVIII ს., ზომა: 16×11 სმ.

H-15



შავი ფერის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; ირიბად მოთლილი ხის დაფები დაფარულია ტყავით: მიუყვება ორმაგი არშია (მცენარეული და დეკორატიული ნახევარრკალის შემცველი), ზედა ფრთის ცენტრში გვხვდება ჯვარცმა, ქვედა ფრთაზე კი – ღვთისმშობელი ყრმით. კუთხეებში გამოსახული არიან მახარებლები. ყუაზე რელიეფურია შეკერვის ადგილები, გაფორმებული ფოთლოვანი აქცენტებითა და ოვალური დამლით, იკითხება – SHI; აქვს ჭრელი ძაფებისაგან დაწნული კაპტალი; ფორზაცად გამოყენებულია თეთრი ჭვირნიშნიანი ქალალდი.

იოანე ოქროპირი, იოანეს სახარების თარგმანება. 1768 წ.

ყდა: XVIII ს., ზომა: 32.5×22.3 სმ.

მომგებელი: გიორგი ბატონიშვილი

H-3



შავი ფერის ოქროტვიფრული ხის ყდა (ხის დაფები ირიბადაა მოთლილი); ყდის ზედაპირს არშიად მიუყვება დეკორატიული ნახევარრკალი; ცენტრში მაცხოვრის გამოსახულებაა, კუთხეებში – ოთხი მახარებელი; თავისუფალ ადგილს ავსებს ფოლოვან-ყვავილოვანი და ვარდული ტიპის ტვიფრები. ფურცლების ჩამონაჭერი მოოქრულია. წიგნი იკვრებოდა ორი მეტალისთავიანი შესაკრავით; ხელნაწერზე დართული ანდერძით ვიგებთ, რომ წიგნი XVIII საუკუნემდე ორგზის ჩაუსვამთ ყდაში.

თთხთავი. XII-XIII სს.

ყდა: XVIII საუკუნის 60-იანი წლები, ზომა: 25.4×18.8 სმ.

Q-883



მუქი ყავისფერი ოქროტვიფრული ყდა (ხის დაფები თხელია, ირიბადაა მოთლილი); ყდის ზედაპირზე გამოყენებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტები; ქვედა ფრთის ცენტრში ამოტვიფრულია ვარდული ტიპის მედალიონი, რომელზეც მხედრულით იკითხება: „ზოსიმე“; ყუაზე რელიეფურია შეკერვის 4 ადგილი, ამოტვიფრული; ძაფებისაგან დაწნულ კაპტალებს ფარავს ყუიდან გადმოსული ტყავი.

ოთხთავი. XVII ს.

ყდა: XVIII ს., ზომა: 12×8.5 სმ.

H-2127



ყავისფერი ტყავავგადაკრული მუყაოს ოქროტვიფრული ყდა; ზედა ფრთაზე ამოტვიფრულია ოვალურ მედალიონში ჩასმული ჯვარცმა, ქვედა ფრთაზე კი – ოვალურ მედალიონში გამოსახულია ორი მდგომარე ადამიანის ფიგურა, ერთ-ერთი მათგანი ნიმბოსანია. კუთხებში ამოტვიფრულია ქერუბიმები. კაპტალი არ აქვს. ფურცლების ჩამონაჭერი დაჭრელებულია; მცირე ზომის წიგნი ჩადებულია ფარჩისგან დამზადებულ ბუდეში; ყდა განიცდის ევროპულ გავლენას.

დაუჯდომელი. 1747 წ.

ყდა: XIX ს., ზომა: 5×3.5 სმ.

Q-369




თეთრი ფერის ტყავგადაკრული ოქროტვიფრული ყდა (ხის დაფები ირიბადაა მოთლილი); არშიად მიუყვება მაქმანისმაგვარი ნაზი ორნამენტი. ზედა ფრთის ცენტრში გვხვდება ჯვარცმის სიუჟეტი, ქვედა ფრთაზე კი – ღვთისმშობელი ყრმით; ყუაზე რელიეფურია შეკერვის ადგილები, რომელთა შორის ამოტვიფრულია მცირე ზომის მცენარეული ორნამენტის შემცველი რომბისა და კუთხის ტვიფრები (იყითხება განმარტებითი წარნერა ლათინური ასოებით); აქვს ზოლებიანი ქსოვილის კაპტალი, ფორზაცებად გამოყენებულია XIX საუკუნის მარმარილოს ქალალდი; წიგნი იკვრება ორი მეტალისთავიანი ტყავის თასმით; კიდეების ჩამონაჭერი ოქროტვიფრულია.

ოთხთავი. 1719 წ.

ყდა: XIX საუკუნის II ნახ., ზომა: 14.5×10 სმ.

Q-85



ლია ფერის ტყავგადაკრული
ოქროტვიფრული ხის ყდა. ზედა ფრთაზე
ამოტვიფრულია ჯვარი, ქვედაზე –
ბარძიმი. ყუაზე გვხვდება ლათინური
ასოებით ამოტვიფრული განმარტებითი
წარწერა. ევროპული ყდა.

ჭილ-ეტრატის იადგარი. X ს.

ყდა: XIX ს., ზომა: 12×10 სმ.

H-2123



წითელი ფერის ტყავგადაკრული
ოქროტვიფრული მუყაოს ყდა; ყდის
ზედაპირს კიდეზე მიუყვება ორმაგი
არშია: I. მცენარეული ორნამენტის
უწყვეტ მწერივს წარმოადგენს, II. მაქმანის
მსგავსს. კუთხეებში გამოყენებულია
დეკორატიული შემავსებელი ტვიფრები,
ცენტრში ამოტვიფრულია განსხივებული
ჯვარი, თავზე გვირგვინით, რომელსაც
აკრავს მცირე ზომის დეკორატიული
ბურთულები. ქვედა ფრთაზე არშიები
იგივეა, ცენტრში გამოსახულია გვირგვინი;
ყუა ამოტვიფრულია; კაპტალი არ აქვს;
ფორზაცად გამოყენებულია XIX ს.
ცისფერი სქელი ქაღალდი; ფურცლების
კიდეების ჩამონაჭერი ოქროტვიფრულია.
ტიპური ევროპული ყდა.

მექორწინეთა ყურადღება. 1831-1832 წწ.

ყდა: XIX ს., ზომა: 16.5×10.7 სმ.

Q-1484



ხელნაწერი ჩასმულია მუქი მწვანე ფერის ოქროტვიფრულ მუყაოს ყდაში; არშიად მიუყვება დეკორატიული ჯაჭვისებური ორნამენტი, კუთხეებში თითო ყვავილოვან-მცენარეული აქცენტია, ყუა – ამოტვიფრული; ყუაზე გვხვდება წითელი ტყავი, რომელზეც იკითხება რუსული განმარტებითი წარწერა; აქვს ღრმად ჩამჯდარი კაპტალი; ფორზაცად გამოყენებულია XIX საუკუნის ჭრელი ქაღალდი, ფურცლების ჩამონაჭერი იქროტვიფრულია; ხელნაწერი რესტავრირებულია XIX საუკუნეში; ტიპური ევროპული ყდა. წიგნი დევს ტყავგადაკრულ ტვიფრულ მუყაოს ბუდეში; არშიად მიუყვება მაქმანის მსგავსი ორნამენტი.

სადღესასწაულო. XVIII ს.

ყდა: XIX ს., ზომა: 20×15 სმ.

A-1491

ძირითადი პიპლიოგრაფია

1. აბულაძე ი., ნერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ შრომები, XXXIX, თბ., 1950.
2. აბულაძე ი., ქართული ნერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი), თბ., 1973.
3. აბულაძე თ., ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, მეცნიერება, თბ., 1990.
4. არაქელიანი ბ., კინძვის ხელოვნება შუასაუკუნეების სომხეთში: მატენადარანის მოამბე, 4, ერევანი, 1958 (სომხურ ენაზე).
5. ახალი აღმოჩენები სინის მთაზე, ქართულ ხელნანერთა აღნერილობა, შეადგინეს: ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანნა და მ. ქავთარიამ, ათენი, 2005 (ბერძნულ-ქართულ-ინგლისური კატალოგი).
6. ახალციხის მუზეუმის ხელნანერთა აღნერილობა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1987.
7. ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის ნიგნთა კრებულიდან, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექ-სიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთოთ თ. ბრეგაძემ, თბ., 1964.
8. გამყრელიძე ალ., უძველესი ქართული ნარწერების აღმოჩენა პალესტინაში, „ლიტერატურული გაზეთი“, N24, 15. XI, 1956.
9. გამყრელიძე თ., ნერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, ანბანური ნერის ტიპოლოგია და ნარმომავლობა, თბ., 1989.
10. გვახარია ალ., „იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1958.
11. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნანერთა აღნერილობა, მ. ქავთარ-იას რედაქციით, თბ., 2002.
12. გრიგორ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნანერთა აღნერილობა, ხელნანერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთოთ თ. ბრეგაძემ, თბ., 1988.
13. დავით და ოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთოთ ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1967.
14. დანელია კ., სარჯველაძე ზ. ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
15. დიდი ხელისაწყალის, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ, თბ., 1975.
16. დიდი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიობი დაურთოთ ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2002
17. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963-1965.
18. კარანაძე მ., ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბ., 2002.
19. კეველიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I-II, თბ., 1980-1981.
20. კობიძე დ., შაპ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1952.
21. მამაცაშვილი მ., გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“, თბ., 1977.
22. მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატირიარქოს წიგნსაცავის ქართული ხელნანერების მოკლე აღნერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ელ. მეტრეველმა, თბ., 1955.
23. მაჭავარიანი ე., ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნანერების მიხედვით (V-XII სს.): მრავალთავი, II, თბ., 1973.
24. მაჭავარიანი ე., მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები: მრავალთავი, III, თბ., 1973.
25. მაჭავარიანი ე., ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982.
26. მაჭავარიანი ე., ქართული ხელნანერები, თბ., 1970.
27. მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნანერი (მეცნიერული აღნერილობის ცდა): ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 2007.

28. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, XI-XIII სს., თბ., 1962.
29. პალეოგრაფიული ძიებანი, კრებული, N1-2, თბ., 1965-1969.
30. პატარიძე რ., ქალალდის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში: პალეოგრაფიული ძიებანი, 1, 1965.
31. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), თბ.: ტ. 1 (1), ელ. მეტრეველის რედაქციით – 1973; ტ. 1 (2) ელ. მეტრეველის რედაქციით – 1976; ტ. 1 (3), ელ. მეტრეველის რედაქციით – 1980; ტ. 1 (4) ელ. მეტრეველის რედაქციით – 1985; ტ. 2 (1), ელ. მეტრეველის რედაქციით – 1986; ტ. 2 (2) მ. ქავთარიას რედაქციით – 2003; ტ. 4, კ. კეკელიძის რედაქციით – 1954; ტ. 5 კ. კეკელიძის რედაქციით – 1955.
32. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის (H) კოლექცია, თბ., ტ. 1, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით – 1946; ტ. 2, ილ. აბულაძის რედაქციით – 1951; ტ. 3, კ. კეკელიძის რედაქციით – 1948; ტ. 4, კ. კეკელიძის რედაქციით – 1950, ტ. 5, ა. ბარამიძის რედაქციით – 1949; ტ. 6, ა. ბარამიძის რედაქციით – 1953.
33. ფსალმუნი. ახალი შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2002.
34. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960.
35. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ახალი (Q) კოლექცია. ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., ტ. 1 – 1957; ტ. 2 – 1958.
36. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., I, კ. კეკელიძის რედაქციით – 1960; II მ. ნიკოლეიშვილის რედაქციით, – 1964.
37. სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
38. ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965.
39. ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კატალოგი, ტექსტები, ალბომი შეადგინეს ლამარა ქავაიამ, ხათუნა გაფრინდაშვილმა, ციცინო გულედანმა, ნათია მიროტაძემ, დალი ჩიტუნაშვილმა და ირმა ხოსტაშვილმა, თარგმნა თამარ ულენტმა, თბ., 2017.
40. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ელ. მეტრეველის რედაქციით, I, თბ., 1986.
41. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობის (S) კოლექციისა. ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., ტ. 1 – 1959; ტ. 2 – 1961; ტ. 3 – 1963; ტ. 4 – 1965, ტ. 5 – 1967; ტ. 6 – 1969; ტ. 7 – 1973.
42. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., ნაკვ. 1 – 1978; ნაკვ. 2 – 1979; ნაკვ. 3 – 1987.
43. ქაჯაია ლ., განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1, 1965.
44. ქაჯაია ლ., ადიშის ოთხთავის რედაქციის ახლად გამოვლენილი ხანძეტი ფრაგმენტი: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 8, 2003.
45. ქაჯაია ლ., წმ. ქრისტინას ხანძეტი რედაქცია: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, 2006.
46. შანიძე ა., ქართული ხელნაწერები გრაცში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929.
47. შანიძე ა., რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არმაზის ბილინგვა“, „მნათობი“, N9, თბ., 1949.
48. შანიძე ა., უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957; თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.
49. შანიძე ა., ხანძეტი მრავალთავი: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.
50. შანიძე ა., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.
51. შარაშიძე ქრ., ქართული ანბანი მეცნრამეტე საუკუნემდე: ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, თბ., 1941.
52. ჩაგუნავა რ., ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო მოღვაწეობა /საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა/, თბ., 1990.
53. წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა: ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942.
54. წერეთელი გ., უძველესი ქართული ნარჩერები პალესტინიდან, თბ., 1960.
55. წერეთელი კ., საქართველოში აღმოჩენილი არამეული ნარჩერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა: სემიტოლოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები, თბ., 2001.
56. ჭუმბურიძე ზ., ქართულ ხელნაწერთა კვალდაკვალ, თბ., 2000.
57. ხუსკივაძე ი., ქართული საერო ლიტერატურა, XVI-XVIII საუკუნეები, თბ., 1976.

58. ჯავახიშვილი ივ., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.
59. ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996.
60. ჯანაშვილი მ., რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი: „ივერია“, 1887.
61. Birjall J. N. *Khanmeti Fragments of the Senoptoc Gospels from Ms. Vind Georg. 2*: Oriens Christianus, B 55, 1977.
62. Birjall J. N. *Palimpsest Fragment of a Khanmeti Georgian Version of I Esdras*: Le Museon, LXXXV, 1-2, 1972.
63. Blake R. P. *Khanmeti Palimpsest Fragmenter of old Georgian Version of Jeremiah*: The Harvard Theological Review, XXV, N 3, July, 1932.
64. Boeder W. *Zur Analyse des altgeorgischen Alphabets*: Zeitschrift fur Russischunterstehung: Hamburg, 1975.
65. Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliotheque patriarcale greque à Jérusalem, par R. P. Blake, Revue de L'Orient chrétien, t. III(XXIII) 1922-23, n.3-4; t. IV(XXIV), 1924, n. 1-4; t. V (XXV), 1925-26 n. 1-2.
66. Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliotheque de la laure d'Iviron au Mont Athos, par Blake R. P., Revue de L'Orient chrétien, t. XVIII(XXVIII), 1931-32, n. 3-4; t. IX (XXIX), 1933-34, n. 1-2; t. IX(XXIX), 1933-34, n. 3-4.
67. Esbroek M. van, *Les plus anciens Homeliaires georgiens*, Louvain – la-Neuve, 1975.
68. Garitte G. *Catalogue des manuscrits géorgiens Litteraire du Mont Sinaï*, Louvain, 1956.
69. Garitte G. *Un index géorgien des lectures evangélique selon l'ancien rite de Jérusalem*: Le Muséon, t, LXXXV, fasc. 3-4, Louvain, 1972.
70. Guignard J. *Reliure, Encyclopaedia universalis*, vol. 14, Paris, 1975.
71. Monumanta Iberica antiquiora, *Textus chanmetti et haemetti ex inscriptionibus, s. Biblic's et Patribus*, Collegit et in linguam latinam convertit addito Glosario Joseph Molitor, Louvain, 1956.
72. Regemorter B. van, *La reliure des manuscrits Grecs*, Scriptorium, vol. 8, 1954.
73. Regemorter B. van, *La reliure Byzantine*, Revue Belge d'Archéologie et d'Histoire de l'Art, vol. 36 (1967), Bruxelles, 1969.
74. Salia K. *Note sur l'origine et l'age l'alphabet géorgien*: Bedi Kartlisa, 15-16, (N43-44), Paris, 1963.
75. *The Old Georgian Palimpsest Codex Vindobonensis georgicus 2*, v. 1, ed. by Jost Gippert, in co-operation Zurab Sarjveladze and Lamara Kadjaia: Monumanta Paleografica Mediaeaevi, s. Iberici-Caucasica, Brepols, 2007.
76. Гамкрелидзе Т. Происхождение и типология алфавитной системы письма: Вопросы языкоznания, Москва, №5-6, 1988.
77. Джанашвили М. Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. III, Тифлис, 1908.
78. Жордания Ф. Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I-II, Тифлис, 1902.
79. Кения Р. Особенности декоративного убранства окладов Евангелий, IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси. 1983.
80. Киселева Л. Западно-европейская книга XIV-XV вв., Ленинград, 1985.
81. Mapp H. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М-Л., 194.
82. Саминский А. *Местийское евангелие. Лик Грузии на фоне Византии*. Древнерусское искусство. С. Петербург. 2002.
83. Саминский А. *Оклад лабскалдского евангелия Грузинской константинопольской рукописи второй четверти XII в.* Древнерусское искусство, С. Петербург. 2004.
84. Такаишвили Е. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения (I- 1902-1904, II-1906-1912).
85. Цагарели А. Сведения о памятниках грузинской письменности (I – 1886, II – 1889, III – 1894).
86. Церетели Г. *Армазская билинга. Двуязычная надпись, найденная при археологических раскопках в Мцхета-Армази*, Тбилиси, 1941.
87. Церетели Г. Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита: Эпиграфика Востока, 2, Ленинград, 1948, 3, Ленинград, 1948.
88. Цагарели А. Памятники грузинской древности в Святой земле и на Синае: Православный Палестинский Сборник, СПб., 1888.
89. Цагарели А. Памятники грузинской древности в Святой земле и на Синае: Православный Палестинский Сборник, СПб., 1888.
90. Шаниძэ А. Данные греко-пехлевской билингвы из Армази для истории термина *ეზოსმოდღუარი* в древнегрузинском: საქ. მეცნ. აკად. განყ. მოამბდე, N1, 1960.
91. Шварц Е. М. *О Византийском влиянии на русский переплет*. Вспомогательные исторические дисциплины, XXI, Ленинград, 1991.
92. Шмерлинг Р. Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв., Тбилиси, 1979.

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
ქართულ ხელნაწერთა შექმნისა და გადანაცვლების რუკა (V-XVII სს.).....	6
ძართული ცერილობითი კულტურის სათავეები. დამცარლობის წარმომობა (ნესტან ჩხიოვაძე).....	7
სასულიერო ხელნაწერები (ნესტან ჩხიოვაძე, ლელა შათირიშვილი).....	13
საერო ხელნაწერები (თამარ აბულაძე).....	91
საცერი მასალა (ნესტან ჩხიოვაძე).....	135
ყდა (მაია კარანაძე)	149
ძირითადი ბიბლიოგრაფია	186

საგამომცემლო ჯგუფი
ირმა პერიპეტ
ლანა გრძელიშვილი
ვლადიმერ პერანიძე
ვიოლა ტუღუშვი

ფოტოები
დიმიტრი გურგენიძე
მირიან კილაძე



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS